

აუცილებელი ბაერო A5



"მესამე რომი" B1



ტელეკომპანია 202 B2


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი, 2005 წელი. №226 (1086)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### არჩევნების შედეგები „ნაციონალების" კანდიდატების სასარგებლოდ



როგორც მოსალოდნელი იყო, წინასწარი პროგნოზი გამართლდა და ოთხივე რაიონში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატებმა გაიმარჯვეს.

A2

## სპორტი

### კურიოზი



კურიოზი ჩვენს ეროვნულ ჰიმნს უკავშირდება. რატომღაც, შეხვედრის დაწყების წინ ახალი ჰიმნის ნაცვლად კოტე ფოცხვერაშვილის "დიდება" აჟღერდა. ფედერაცია არაფერ შუაშია.

A6

## რევიუ

### ქართული ფოლკლორი რევოლუციისთვის ემზადება



A7

## ამინდი

| | 12/10 | 13/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 22 |
| ტყიბული | 23 | 25 |
| სოხუმი | 23 | 23 |
| დმანისი | 18 | 21 |
| გორი | 18 | 21 |
| ონი | 17 | 18 |
| ზუგდიდი | 27 | 26 |
| ახმეტა | 21 | 21 |
| გაგრა | 21 | 21 |
| სამტრედია | 26 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1858 |
| ბირთანქა სტერლ. | 3.1712 |
| რუბლი | 0.0632 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| ტენდერი | B 2 |
| ავტომობილი | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# სამშვიდობოებისთვის წამზომი ჩაირთო

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს პარლამენტი კონფლიქტის ზონებში რუსი "ცისფერჩაფხუტიანების" თერთმეტწლიან საქმიანობას და მანდატით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას "მკვეთრად უარყოფითად" აფასებს. მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში პროგრესის არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება 2006 წლის 10 თებერვლიდან ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტას მოითხოვს. აფხაზეთში განთავსებულ რუს სამშვიდობოებს "გამოსასწორებლად" ცოტა უფრო მეტი ვადა - ცხრა თვე - ეძლევათ. ამ შინაარსის დადგენილება პარლამენტმა გუშინ ერთსულოვნად, 143 ხმით მოიწონა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



უმრავლესობა კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი დარჩა.

# "გაზპრომი" საქართველოსთან ურთიერთობის გარკვევას ჩქარობს

### ექსპერტები თანხმდებიან, რომ "გაზპრომთან" ურთიერთობა ნაჩქარევად არ უნდა დარეგულირდეს

მაია ურუშაძე

*ბუნებრივი გაზის საფასურის გაძვირება იმ თემად იქცა, რომელიც ხელისუფლებასა და ექსპერტებს "გაზპრომთან" ურთიერთობის დარეგულირებაზე ფიქრს აიძულებს. "მესიჯი", რომ "გაზპრომი" საქართველოს მხრიდან კონკრეტულ წინადადებებს ელოდება, და თან, რაც შეიძლება სწრაფად (დეკემბრამდე), დღესავით ნათელია. ეს გუშინ კიდევ ერთხელ გაჟღერდა "გაზპრომის" შვილობილი "გაზექსპორტის" ქართველი წარმომადგენლის დავით მორჩილაძის მხრიდან. თემა, რომელიც საქართველოს უამრავ თავსატეხთა შორის უკვე რამდენიმე წელია, რაც დომინირებს, ბოლოს და ბოლოს, უნდა ამოიწუროს და "გაზპრომთან" გრძელვადიანი ხელშეკრულება გაფორმდეს – ასეთია მორჩილაძის პოზიცია, რომელსაც ექსპერტები დაფიქრებასა და მეტ სიდინჯეს ურჩევენ.*

გაგრძელება A2 გვერდზე




მორჩილაძე კონკრეტულ წინადადებებს ელოდება.

# არ შეიძლება ძაღლმა, ცხენმა და ადამიანმა ერთად ისეირნონ

თამარ დვალი

*იპოდრომთან დაკავშირებული აჟიოტაჟი კვლავ გრძელდება. გუშინ საბურთალოს რაიონის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია პარლამენტის შენობასთან გამართა. მოსახლეობის ინფორმაციით, პარლამენტარი გივი თარგამაძე ლობირებს იპოდრომის ტერიტორიაზე დაგეგმილ მშენებლობებს, რასაც თარგამაძე კატეგორიულად უარყოფს. მოსახლეობა დეპუტატის გამოსვლას რამდენიმე საათის განმავლობაში ელოდა, თუმცა ამაოდ. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ჩვენთან იპოდრომის განაშენიანების გეგმაზე საუბარი ისურვა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილია.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ზაზა ბეგაშვილი: თქვენ აქ ხედავთ ხეებს?

# თურქეთიდან და რუმინეთიდან ქათმის პროდუქციის შემოტანა იკრძალება

*საქართველოში თურქეთიდან და რუმინეთიდან ქათმის პროდუქციის შემოტანა აიკრძალება. ამის მიზეზი თურქეთსა და რუმინეთში ქათმის გრიპის შემთხვევების დაფიქსირება გახდა. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ხევიაშვილმა განაცხადა, საქართველოს საზღვრებთან აღმოჩენილი დაავადება საფრთხეს ქმნის, რომ ეს საშიში დაავადება საქართველოშიც შეიძლება გავრცელდეს.*

პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი ხევიაშვილის განცხადებით, ვალეს საბაჟო მსგავსი პროდუქციის იმპორტისთვის უკვე ჩაკეტილია. აუცილებელია ბათუმის საბაჟოს ჩაკეტვა და კარანტინის გამოცხადება. კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საბაჟო ტერმინალებზე შემოსული ავტომობილების სპეციალური ხსნარით დამუშავებაც აუცილებელია. **"საბაჟოზე კარანტინი გამოცხადდება და საბაჟო ტერმინალებზე შემოსული მანქანები სპეციალური ხსნარით დამუშავდება,"** - აღნიშნა ხევიაშვილმა. მისივე თქმით, შესაბამისი სტრუქტურები მზად უნდა იყვნენ, რათა დაავადების კერის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი ლიკვიდაცია მოახდინონ. კომიტეტის თავმჯდომარე მონადირეებს გარეულ ფრინველებზე ნადირობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს.

ფრინველის გრიპის დაავადების შემთხვევების დაფიქსირების გამო განგაშია ევროკავშირის ქვეყნებშიც. ევროკომისიამ თურქეთიდან ცოცხალი ფრინველის იმპორტი აკრძალა. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ბრიუსელში ევროკავშირის ჯანდაცვის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომისიის პრესმდივანმა ფილიპ ტოდმა გააკეთა. თურქეთის მთავრობა ევროკავშირის ვეტერინარებს თურქეთში გამოვლენილი ფრინველის გრიპის შემთხვევების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას გადასცემს.

*24 საათი*

# მეტალურგიული კომბინატი აუქციონზე იყიდება

### ქართულ-ჰონკონგური ინტერესები რუსთავში

მაია მოსიაშვილი

დღეს დილით რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ქონება აუქციონზე უნდა გაიყიდოს. ქარხნის საწყისი ფასი 22 მილიონი დოლარია. მეტალურგიული კომბინატი ამჟამად გაკოტრების რეჟიმში იმყოფება. მისი კრედიტორული დავალიანება 160 მილიონი ლარია, თუმცა ეს საბოლოო ციფრი არ არის. სასამართლომ უკვე დაადგინა გაკოტრების ტაბულა, რომლის მიხედვით, აუქციონიდან შემოსული თანხით პირველი რიგში მუშა-მოსამსახურეების სამთვიანი სახელფასო დავალიანება და საბიუჯეტო ვალი უნდა დაიფაროს, რაც ჯამში 85 მილიონი ლარია.

დღევანდელ აუქციონში, თუ კი ის ჩატარდება, მხოლოდ ერთი მყიდველი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 22 მილიონი დოლარით 6 ათასი ყოფილი მეტალურგის სამი თვის ხელფასი და საქართველოს ბიუჯეტის დავალიანების ნაწილი გასტუმრდება, დანარჩენი კრედიტორები კი ვერაფერს მიიღებენ.

**"გასაყიდი ფასი დადგინდა აუდიტორული შეფასებიდან, რომელიც ითვალისწინებს მის საბაზრო ფასს და არა საჯართოს. როგორც ჯართი, შეიძლება მეტიც ღირდეს,"** - განაცხადა "24 საათთან საუბარში საწარმოს გაკოტრების მმართველმა მალხაზ ალბორიშვილმა. მისივე თქმით, აუქციონი კომბინატის მიზნობრიობის შენარჩუნებას არ ითვალისწინებს და მას მხოლოდ "იმედი აქვს, რომ ახალი მეპატრონე მას ამუშავებს, როგორც საწარმოს".

არის კი "იმედი" გარანტია იმისა, რომ ახალი მეპატრონე, დიდი მოგების სურვილით, ქარხანას ჯართად არ დაჭრის?! ამ კითხვაზე ჯერჯერობით მხოლოდ სავარაუდო პასუხი არსებობს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დემოკრატიული გარდაქმნები და სამხედრო ბაზები

### ვის დარჩება ცენტრალური აზია?

*ვაშინგტონის ოფიციალური ინფორმაციით, ცენტრალური აზიის ქვეყნებში ჩასულ კონდოლიზა რაისს ორი რამ აინტერესებდა – დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობა და ტერორიზმსა და კონტრაბანდასთან ბრძოლის საკითხები. რასაკვირველია, ამ უკანასკნელის გადაწყვეტა, მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფოს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანსაც წარმოადგენს, მაგრამ ამისთვის, თუ თეთრი სახლის ბოლოდროინდელ სტრატეგიას გავიხსენებთ, რეგიონში აშშ-ს პოზიციების უპირობო გამყარებაა საჭირო. ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ კონდოლიზა რაისს სტრატეგიულ რეგიონში ამერიკული სამხედრო ბაზების ყოფნის ბედი უფრო აწუხებს, ვიდრე ცენტრალური აზიის დემოკრატიული გარდაქმნების.*

ნიკა თარაშვილი

უკანასკნელ წლებში ენერგორესურსებით მდიდარ გეოპოლიტიკურ "ჰართლენდში" სამი მთავარი მოთამაშე გამოიკვეთა – აშშ, რუსეთი და ჩინეთი (რომლის შესაძლებლობებიც წლიდან წლამდე მატულობს). რუსეთი, უკვე თითქმის ორი საუკუნეა, მყარად ინარჩუნებს პოზიციებს შუა აზიაში.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, რეგიონში ამერიკელი სამხედროებიც გამოჩნდნენ.

მზარდ ჩინეთსაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებს მეზობელი ქვეყნების მიმართ (თუმცა, ჩინეთის შემთხვევაში, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ალბათ, მხოლოდ ეკონომიკურ ექსპანსიაზე შეიძლება ლპარაკი).

თითოეული მათგანი ირწმუნება, რომ მისი ერთადერთი ინტერესი რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება და ეკონომიკის განვითარებაა. ასევე კეთდება განცხადებები, რომ დიდი სახელმწიფოების ინტერესებს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. მაგრამ, გასულ ზაფხულში რეგიონის ქვეყნებმა (ფაქტობრივად კი, რუსეთმა და ჩინეთმა) ამერიკელებს დელიკატურად მიანიშნეს, რომ "ისინი მხოლოდ სტუმრები არიან და დროა შინ დაბრუნდნენ".

გაგრძელება A5 გვერდზე

**მოკლედ**

## თბილისს ხვალ თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები ეწვევიან

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს სექტორის ამოქმედებასთან დაკავშირებით დღეს, თბილისში, თურქეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები აჰმედ ნეჯეთ სეზერი და ილჰამ ალიევი ჩამოვლენ.

დაგეგმილია თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტების გარდაბანში გამგზავრება, სადაც ნავთობსადენის ამოქმედების საზეიმო ცერემონია გაიმართება. დღის მეორე ნახევარში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევსა და თურქეთის პრეზიდენტ აჰმედ სეზერს პირისპირ შეხვდება. **ინტერპრესნიუსი**

## რუსეთის ფედერაციის საბჭოში საქართველოს საკითხზე იმსჯელებენ

**თბილისი.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აპირებს, ფედერაციის საბჭოს დსთ-ს წევრი ქვეყნების მიმართ რუსეთის პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს. ზედა პალატის წინაშე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დღეს წარდგება. ლავროვი მიწვეულია სხდომაზე, რომელიც "სამთავრობო საათის" ფარგლებში ჩატარდება. იგი მოხსენებით დახურულ კარს მიღმა გამოვა. დსთ-ს საქმეთა პალატის კომიტეტის თავმჯდომარე, სენატორი ვადიმ გუსტოვი აცხადებს, რომ სხდომის დახურვა რუსეთისა და თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ურთიერთობებში დაგროვებულმა არაერთმა დელიკატურმა საკითხმა განაპირობა. გუსტოვის განცხადებით, დსთ-ს წევრი ქვეყნების მიმართ რუსეთის პოლიტიკას გარკვეული ნიუანსები ახასიათებს. სენატორები აპირებენ, ლავროვს აფხაზეთთან და "სამხრეთ ოსეთთან" დაკავშირებით კითხვები დაუსვან.

ისინი, აგრეთვე, დაინტერესებულნი არიან კონფლიქტის ზონებიდან რუსი სამშვიდობოების შესაძლო გაყვანის საკითხით. საქართველოს გარდა, რუსეთის ფედერაციის ზედა პალატის წევრები შეშფოთებულნი არიან უკრაინის ხელისუფლების პოლიტიკითაც, რადგან, როგორც ისინი აცხადებენ, კიევი შავი ზღვის ფლოტის თერთმეტი ხელშეკრულების ხელმოწერას აფერხებს, ამასთან, ფედერაციის საბჭოს წევრებისთვის 2008 წლისთვის ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში უკრაინის შესაძლო გაწევრიანებაც შემაშფოთებელია. **მედიანიუსი**

## მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საკითხებზე ბაქოში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება

**თბილისი.** აშშ-ს სანაპირო დაცვის სამსახურის ორგანიზებით, 12-13 ოქტომბერს ბაქოში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას შავი და კასპიის ზღვების აუზების ქვეყნების სანაპირო დაცვის სამსახურების ხელმძღვანელი პირები მიიღებენ.

კონფერენციის მთავარ თემას წარმოადგენს ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

შეხვედრაზე ქართულ მხარეს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი დავით გულუა უხელმძღვანელებს. **პრაიმ-ნიუსი**

## მასხადოვის მემკვიდრემ საქართველოში საპატიო კონსული დანიშნა

**თბილისი.** ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დევნილმა პრეზიდენტმა და მოკლული ასლან მასხადოვის შემცვლელმა აბდულ-ხალიმ საიდულაევმა საქართველოში ე.წ. საპატიო კონსულად ყოფილი პარლამენტარი, წინა მოწვევის პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" წევრი გერმანე ფაცაცია დანიშნა.

საქართველოში ჩეჩნურ-ქისტური სათვისტომოს ხელმძღვანელის ხიზრი ალდამოვის განცხადებით, გერმანე ფაცაცია მისი ახლო მეგობარია, მისი პარლამენტარობის დროს ერთად არაერთხელ ჩასულან ჩეჩნეთში და აბდულ-ხალიმ საიდულაევთან ფაცაციას კანდიდატურას სწორედ მან უშუამდგომლა.

"გერმანე ჩემი თანაშემწე იქნება," - აცხადებს ხიზრი ალდამოვი, თავად გერმანე ფაცაცია გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს. მისი თქმით, საპატიო კონსულობა ჩეჩნებთან მეგობრობის სიმბოლური ნაბიჯია.

"ეს არის სიმბოლურად მხარდამჭერი ნაბიჯი ურუსეთო, უიმპერიო კავკასიისკენ. მე თეორიულადაც და ფიზიკურადაც მიბრძოლია კავკასიელების ერთიანობისთვის. თავად ჩეჩნების სურვილი იყო, რომ დამკისრებოდა ეს საპატიო მისია, რასაც ადრე, პრაქტიკულად, ისედაც ვასრულებდი. ჩეჩნები კავკასიელი პარტრიოტები არიან, ხიზრი ალდამოვი და ახმედ ზაკაევი ჩემს ძმადნაფიცებს წარმოადგენენ, ამიტომ მათ თხოვნას დავემორჩილე," - განაცხადა გერმანე ფაცაციამ.

მისივე თქმით, ქართულ-ჩეჩნურ ურთიერთობებთან დაკავშირებით და, საერთოდ, კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ პოზიციას ის სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის, პრესკონფერენციებზე დააფიქსირებს.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს გარდა, საპატიო კონსულები თურქეთსა და გერმანიაშიც დაინიშნებიან: თურქეთში - მედეთ ონლუ, გერმანიაში კი - ეკკეხარდ მაასი.

იჩქერიის დევნილი პრეზიდენტის ამ ბრძანებულების აღსრულებაზე კონტროლი საიდულაევის ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილეს ახმედ ზაკაევს დაევალა. **მედიანიუსი**

## გაერო-მ აფხაზეთის საკითხში სასურველ პროგრესს ვერ მიაღწია

**ნიუ-იორკი.** გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი აცხადებს, რომ გაერო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიზნით მუშაობას გააგრძელებს. "მართალია, სასურველ პროგრესს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ მუშაობა გრძელდება," - ეს განცხადება კოფი ანანმა ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მისი თქმით, აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის თბილისში აქტიურად მუშაობს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი.

ამასთან, კოფი ანანი კმაყოფილებით შენიშნავს, რომ რეგულარულად იმართება საქართველოს საკითხებში გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის სხდომები, რომელშიც კონფლიქტის ორივე მხარის წარმომადგენლები მონაწილეობენ. მეგობარი ქვეყნების ჯგუფი აერთიანებს რუსეთს, აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, გერმანიას და საფრანგეთს. **მედიანიუსი**

## "თბილსრესის" მეოთხე ბლოკი ჩაირთო

გუშინ "თბილსრესში" მეოთხე ენერგობლოკი "გაუშვეს". ჯერჯერობით, ბლოკი 90 მეგავატის სიმძლავრეს გამოიმუშავებს, თუმცა ნელ-ნელა ის 110-მეგავატიან ნიშნულზე გავა და ზამთრის პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემას ამ ოდენობის ბაზისური ელექტროენერგიით მოამარაგებს.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ამ ენერგობლოკის რეაბილიტაცია მიმდინარე ზაფხულში უკრაინულმა კომპანიამ კონტრაქტორებთან ერთად განახორციელა. ბლოკი ჯერ კიდევ ხუთ ოქტომბერს უნდა ჩართულიყო, თუმცა, დამატებითი ტექნიკური სამუშაოების გამო, პროცესი შეფერხდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ოქტომბრის ბოლოს იგეგმება "თბილსრესში" კიდევ ერთი სახელმწიფო ბლოკის, მე-3 ენერგობლოკის ჩართვა, რომელიც 120 მეგავატის სიმძლავრით იმუშავებს.

"თბილსრესის" სახელმწიფო ბლოკები ბუნებრივი აირით კვლავ "თბილგაზიდან" მომარაგდებიან. თითოეულის დღე-ღამური მოხმარება ერთი მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირია. "თბილსრესს" კომპანია "თბილგაზთან" გაზის მოწოდებაზე ხელშეკრულება უკვე გაფორმებული აქვს. ტარიფს, რომელშიც ის ბუნებრივ აირს შეისყიდის, სემეკი მომავალ კვირას დაამტკიცებს. **24 საათი**

აბიტურიენტი 2005
გთავაზობთ
აბიტურიენტებისა და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთათვის
სავალდებულო სახელმწიფო ტესტირების მოსამზადებელ კურსებს შემდეგ დისციპლინებში:
ქართული ენა, ინგლისური ენა, ზოგადი უნარები, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია.
17 ოქტომბერს, 15 ოქტომბერს, 15 საათამდე
თბილისი, ტელ: 93 40 75; 99 04 50; 899 19 07 67
ბათუმი, ტელ: 3 15 85; 899 57 41 38

# არჩევნების შედეგები „ნაციონალების" კანდიდატების სასარგებლოდ

ნანა ქადაგიშვილი

*საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ პირველ ოქტომბერს ჩატარებული მაჟორიტარული და შუალედური არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმი დაამტკიცა. ჯერჯერობით, ოთხი საარჩევნო ოლქის შედეგები შეჯამდა. როგორც მოსალოდნელი იყო, წინასწარი პროგნოზი გამართლდა და ოთხივე რაიონში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატებმა გაიმარჯვეს.*



*ცესკო მომხრეა.*

ოთხ საარჩევნო ოლქში (ისანი, ტყიბული, ბათუმი, შუახევი) ჩატარებული არჩევნების შედეგებს ცენტრალური საარჩევნო კომისია სამი დღის შემდეგ პარლამენტს გადაუგზავნის. ცესკო-ს მონაცემებით, ისნის რაიონში გამარჯვებულმა დეპუტატობის კანდიდატმა ბიძინა ბრეგაძემ 8 783 ხმა მიიღო; აღნიშნულ რაიონში კენჭისყრაში მონაწილე დანარჩენი კანდიდატებიდან "მემარჯვენე" გიორგი მოსიძემ - 5 811 ხმა, "ეროვნულ-დემოკრატმა" გიორგი გოგნიაშვილმა - 370, "საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის" ჟიული საყმაშვილმა – 167, საინიციატივო ჯგუფის კანდიდატმა რობერტ არუთინიანმა კი – 667.

ტყიბულის საარჩევნო ოლქში "ნაციონალმა" კუბლაშვილმა 9 306 ხმა მიიღო, "მემარჯვენეების" წარმომადგენელმა ნინო ქვარიანმა კი – 1 954.

ბათუმში: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა ჯემალ იმნაიშვილმა – 8 243, "საქართველოს კონსერვატიული პარტიიდან" ჯუმბერ თავართქილაძემ – 1 930 , "საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიიდან" თეიმურაზ სამნიძემ - 164, ხოლო საინიციატივო ჯგუფის კანდიდატებმა, თამაზ გოგიტიძემ – 150 ხმა, ალექსანდრე ჩიტიშვილმა - 154 და გია სიხარულიძემ - 108.

შუახევის საარჩევნო ოლქში: "ნაციონალმა" ელგუჯა მაკარაძემ – 5 353, "მემარჯვენეების" წარმომადგენელმა ედვარდ ნიჟარაძემ – 2045, ხოლო საინიციატივო ჯგუფის კანდიდატმა ვლადიმერ მუმლაძემ – 207.

რაც შეეხება ქობულეთს, ცენტრალური საარჩევნო კომისია სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის, "კონსერვატიულმა პარტიამ" არჩევნების შედეგები გაასაჩივრა. შეგახსენეთ, რომ ამ ოლქში კენჭს იყრიდა სამი კანდიდატი: "ნაციონალურ მოძრაობიდან" - კობა ხაბაზი, "საქართველოს კონსერვატიულ პარტიდან" - ჯიმშერ ჯინჭარაძე და კი საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი - ავთანდილ მიქელაშვილი.

მომავალი კვირის ბოლოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ხუთივე საოლქო კომისიის წევრებს შეხვდება და არჩევნების დადებით და უარყოფითი მხარეებს შეაფასებს.

# მეტალურგიული კომბინატი აუქციონზე იყიდება

პირველი გვერდიდან

### ვინ ყიდულობს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს?

რამდენიმე თვის წინ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მეტალურგიული კომბინატის ქონების ყიდვის სურვილი ხუთმა კომპანიამ დააფიქსირა: უკრაინულმა "დონბასის ინდუსტრიულმა კავშირმა", იტალიურმა "მეტალ ჯგომ", ინდურ-ინგლისურმა "ეს-ელ გრუფმა", ჰონგ-კონგურმა "აზიის განვითარების ფონდმა" და დუბაიში რეგისტრირებულმა "გლობალ სტილ ჰოლდინგმა".

დაინტერესება დიდი იყო, თუმცა საქმე აუქციონზე მიდგა და სიტუაცია მთლიანად შეიცვალა. კომბინატის გაკოტრების მმართველის, მალხაზ ალბორიშვილის ინფორმაციით, აუქციონზე საწარმოს მთლიანად შეძენის სურვილი მხოლოდ ერთმა და ისიც ქართულმა შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" გამოთქვა. მათ გაკოტრების მმართველს ყველა საჭირო დოკუმენტი 6 ოქტომბერს წარუდგინეს და გადაიხადეს ბე - 2 მილიონ 200 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

ჯერ კიდევ 3 ოქტომბერს, ანუ ერთი კვირის წინ, გაკოტრების მმართველი ყველაზე რეალურ მყიდველად უკრაინულ კომპანიას, "დონბასის ინდუსტრიულ კავშირს" ასახელებდა. მისივე თქმით, უკრაინელები თანახმანი იყვნენ, ქართველების ყველა პირობა ხელშეკრულებით გაეფორმებინათ.

"უკრაინელები თანახმანი არიან, პენსიონერების პენსიები გადაიხადონ, შეინარჩუნონ პროფილი და დაასაქმონ ადგილობრივი მუშახელი. ისინი ერთი კვირა იყვნენ ქარხანაში, დეტალურად შეისწავლეს და კმაყოფილები წავიდნენ," - ამბობდა მაშინ ალბორიშვილი. დღეს ის აცხადებს, რომ უკრაინელები აღარ გამოჩნდნენ და არც თავად დაკავშირებია მათ, რადგან ეს მისი საქმე არ იყო.

სამაგიეროდ სრულიად მოულოდნელად არენაზე გამოჩნდა ქართული შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი". გაკოტრების მმართველთან შესულია მეორე ქართული კომპანიის, შპს "თედ ოილის" განაცხადიც, რომელსაც კომბინატის მხოლოდ ერთი ნაწილის ყიდვა სურს და მზად არის, კირისა და დოლომიტის საამქროში მილიონი დოლარი გადაიხადოს.

**"ამჟამად გვყავს მხოლოდ ერთი ინვესტორი - "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი". ის "თუჯი XXI"-ს აქციათა მფლობელია. აქამდე მათთან ჩვენ სულ სხვა ურთიერთობა გვქონდა, როგორც ქარხნის ტერიტორიის შიგნით მყოფ მეზობელ კომპანიასთან,"** - ამბობს ალბორიშვილი. მისივე ინფორმაციით, ეს ქართული კომპანია დაკავშირებულია ჰონგ-კონგის ჯგუფთან, რომელიც ინტერესთა გამოხატვის კონკურსში მონაწილეობდა და ეკონომიკის სამინისტროს ფავორიტადაც მოიაზრებოდა, ანუ ეს იგივე ჰონგ-კონგური ჯგუფია.

რატომ არ იღებს მონაწილეობას აუქციონში ჰონგ-კონგური კომპანია პირდაპირი გზით?

**"ჰონგ-კონგში რეგისტრირებული "აზიის განვითარების ფონდი" აპირებს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებას შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსში". ბუნებრივია, ის არის უცხოური კომპანია, "ენერგია და ინდუსტრია" კი საქართველოს რეზიდენტი პირია, ამიტომ გაცილებით მარტივი იქნებოდა, პროცედურის კუთხითაც, რომ აუქციონში მათ მიეღოთ მონაწილეობა,"** - ასე ხსნის სიტუაციას გაკოტრების მმართველი. ის არ მალავს, რომ მეტალურგიული კომბინატის 22 მილიონ დოლარად შეძენის მსურველი შპს-ს მესვეურებთან შეხვედრა არ ჰქონია და მხოლოდ მიმოწერითი ურთიერთობით დაკმაყოფილდა.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის აუქციონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიშლება, თუ დღეს "ენერგია და ინდუსტრიას" და "თედოილის" წარმომადგენლები ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში არ გამოცხადდებიან, ან საჭირო დოკუმენტაციას ვერ წარადგენენ, ანდა სულაც გადაიფიქრებენ. გაკოტრების მმართველი აზრით, ესეც შესაძლებელია.

**"შემოსულ განაცხადებს ვერ გაჩვენებთ, რადგან შეიძლება გადაიფიქრონ და არ მოვიდნენ აუქციონზე,"** - განუცხადა მან გუშინ "24 საათს".

# "გაზპრომი" საქართველოსთან ურთიერთობის გარკვევას ჩქარობს

პირველი გვერდიდან

ეს ყველაფერი გუშინ, "გაზექსპორტის" საქართველოს წარმომადგენლობაში ექსპერტებისა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთათვის გამართულ სემინარზე ითქვა. შეხვედრა "გაზექსპორტის" ქართული წარმომადგენლობის ინიციატივით, "გაზპრომისთვის" ქართული მხრიდან შესათავაზებელი წინადადებათა პაკეტის შემუშავების ფორსირების მიზნით შედგა.

შეხვედრაზე ექსპერტთათვის მთავარი თემა "გაზპრომთან" ურთიერთობის საქართველოსთვის მისაღებ ფორმებზე მსჯელობა იყო. ბუნებრივია, ითქვა, რომ ვალების დაგროვების ტენდენცია, რომელიც უკვე ათი წელია, გვახრჩობს, ადრე თუ გვიან, რუსულ ენერგოგიგანტთან უპირობო კაპიტულაციამდე მიგვიყვანს. ამის გამო მთავარი საკითხი, რაზეც დღეს ექსპერტები აქტიურად ფიქრობენ, ის მექანიზმებია, რომელთა მიხედვითაც რუსული ენერგოგიგანტის ვალების გასტუმრება უნდა მოხერხდეს.

შედეგად, ექსპერტთა დიდი ნაწილი "გაზპრომთან" გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმების წინააღმდეგ გამოდის და ხელისუფლებას ერთგვარი "გარდამავალი შეთანხმების" გზით წასვლას ურჩევს. საქმე ის გახლავთ, რომ თავად "გაზპრომის" არსიდან გამომდინარე (როგორც ცნობილია, რუსული ენერგოგიგანტის აქციათა საკონტროლო პაკეტი სახელმწიფო საკუთრებაშია, მას კრემლი განკარგავს და, შესაბამისად, "გაზპრომის" ეკონომიკური პოლიტიკა კრემლის განწყობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული), ექსპერტები მასთან პარტნიორობას მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობის ჭრილში არ განიხილავენ და "გაზპრომთან" 10-წლიანი ხელშეკრულების გაფორმება, რასაც საქართველოს მთავრობა გეგმავს, უადგილოდ მიაჩნიათ. **"გაზპრომის" არსიდან გამომდინარე, ანუ იმის გამო, რომ ეს ორგანიზაცია კრემლის პოლიტიკას ატარებს, მასთან გრძელვადიანი ხელშეკრულების ასე ნაუცბათევად, ექსტრემალურ რეჟიმში გაფორმება საქართველოსთვის მიზანშეწონილი არ იქნება. უმჯობესია, თუ გაფორმდება რაღაც შუალედური ხელშეკრულება მცირე ვადით და დაიწყება მუშაობა იმ მიმართულებებზე, რაზეც ამ კომპანიასთან შეთანხმება საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით პრობლემებს არ შეუქმნის,"** – აცხადებს ერთ-ერთი ექსპერტი.

ასევე, გრძელვადიანი ხელშეკრულების ნაუცბათევად გაფორმების წინააღმდეგია ექსპერტი თემურ გოჩიტაშვილიც. როგორც იგი აცხადებს, **"ამ ეტაპზე გაზის ფასი ევროპაში მაქსიმალურ ნიშნულზეა ასული. უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ – მომავალი წლისთვის, მოსალოდნელია ინდექსის ვარდნა და, შესაბამისად, "გაზპრომთან" გაზის ტარიფზე სასაუბროდ გაისად საქართველო უფრო მომგებიან პირობებში აღმოჩნდება."**

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ტარიფის დაანგარიშების მექანიზმად "გაზპრომთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ევროინდექსის მიხედვით გათვლილი ფორმულა ჩაიდება და არა ტარიფის ოდენობა, შესაძლოა, საქართველო ამჟამად მომგებიან პირობებშიც კი აღმოჩნდეს. რასაკვირველია, თავად ფორმულას გააჩნია.

ტარიფის ოდენობა ის ერთადერთი თავსატეხი არ არის, რომლის გამოც ხელისუფლება ენერგოგიგანტთან ურთიერთობის გაოფიციალურებას თავს არიდებს. ექსპერტ ლიანა ჯერვალიძის მოსაზრებით, "გაზპრომისგან" თავის შორს დაჭერა საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს, მაგრამ აუცილებელია ევროპული გამოცდილების გათვალისწინება და "გაზპრომისგან" მისაღები გაზის ოდენობის ლიმიტირება. **"ევროპა "გაზპრომისგან" მისთვის საჭირო გაზის მხოლოდ 25 პროცენტს ყიდულობს. დეფიციტის დანარჩენ მოცულობას სხვა წყაროებიდან ივსებს. გაზის მომწოდებლის დივერსიფიცირებაზე ზრუნვა - ეს ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხია. მიმაჩნია, რომ ჩვენც ამ გზით უნდა წავიდეთ. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ "გაზპრომის" წინააღმდეგ გამოვდივართ. უბრალოდ, ვითვალისწინებთ, რომ საქართველო ენერგოდეფიციტური ქვეყანაა და გვსურს, ამ სფეროში რამდენიმე პარტნიორი გვყავდეს,"** – აცხადებს ექსპერტი.

გაზის მოწოდების დივერსიფიცირებაზე საუბრობს ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძეც, რომლისთვისაც ერთმნიშვნელოვანია, რომ "გაზპრომთან" საერთო ენა აუცილებლად უნდა გამოიძებნოს. **"გაზპრომთან" საერთო ენა რომ უნდა გამოიძებნოს, ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ, პარალელურად, საქართველომ გაზმომარაგების ალტერნატიული წყაროებიც უნდა მოიძიოს."**

ამ ალტერნატივად, სამწუხაროდ, არ გამოდგება მხოლოდ შაჰდენიზის გაზსადენი, საიდანაც საქართველოს წელიწადში მაქსიმუმ 2,6 მილიარდი გაზის მიღება შეეძლება. საქმე ის გახლავთ, რომ უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში გაზის მოხმარების ზრდა ექსპერტთა მიერ ოთხ მილიარდ კუბურ მეტრამდეა ნავარაუდევი. ალტერნატივად ჯერ არ მოიაზრება არც ყაზახეთის გაზი, რომლის იმპორტის არც თვითღირებულება და არც ტრანსპორტირების გზები ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ამიტომ თვალჭრელიძის რეკომენდაციაა, რომ საქართველომ გაზის წილი ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფაში შეამციროს და სხვა ალტერნატიული საშუალებებით, მაგალითად – ჰიდროენერგიით ჩაანაცვლოს, რისი პოტენციალიც, ექსპერტის თქმით, ქვეყანაში უხვად არსებობს.

აგრეთვე, ალტერნატივებს შორის ექსპერტი ნავთობმოპოვებით სექტორს ასახელებს. მისი თქმით, საქართველოში ნავთობმოპოვებითი სამუშაოების ფორსირებაა აუცილებელი და მას არ ესმის, რატომ არ სთხოვს ხელისუფლება შავი ზღვის შელფის ოფშორული რესურსების მომპოვებელ კომპანია "ანადარკოს", ან ნავთობმოპოვება რეალურად დაიწყოს, ან კიდევ ლიცენზია ჩააბაროს. ლიცენზიის პირობების თანახმად, მას სამუშაოები ჯერ კიდევ 2003 წელს უნდა დაეწყო. **"ამ კომპანიამ 99,9 პროცენტით დაადასტურა, რომ შავი ზღვის შელფზე არსებული ნავთობის მარაგი ერთი მილიარდი ტონაა. კომპანია "ბი-პის" თურქულმა წარმომადგენლობამ უკვე დაიწყო ბურღვა თურქეთის აკვატორიაში, საქართველოდან 1000 მეტრის დაშორებით, "ანადარკოს" კი საქართველოში ჯერ პლატფორმაც არ შემოუტანია,"** - განაცხადა თვალჭრელიძემ. პირველი ოფშორული ნავთობის მოპოვებას, ექსპერტის აზრით, 30-70 მილიონი დოლარი დასჭირდება.

თუმცა, მანამდე, სანამ ენერგიის ალტერნატიული წყარო ჯერ ნაპოვნი არ არის, "გაზპრომთან" კი ურთიერთობები დაულაგებელია, ხელისუფლებას საფიქრალი არ ელევა. თუ "გაზპრომი" წლის ბოლომდე გრძელვადიან ხელშეკრულებას არ "გაინაღდებს", გარანტია იმისა, რომ "ცისფერი ოქროს" ექსკლუზიური მომწოდებელი ამ ზამთარს პრობლემებს არ შეგვიქმნის, არ იარსებებს. მეორე მხრივ კი, გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს მხრიდან პოზიციების დათმობას და ენერგოკომპლექსის მომსახურების თვითღირებულების დადგენის მთავარი მექანიზმის უცხო ქვეყნის კომპანიისთვის გადაცემას ნიშნავს.

**მოკლედ**

## საქართველოს ეროვნულ ბანკში სტრუქტურული რეორგანიზაციის მეორე ეტაპი დასრულდა

საქართველოს ეროვნულ ბანკში დასრულდა სტრუქტურული რეორგანიზაციის მეორე ეტაპი. არსებული 18 სამმართველოს, 53 განყოფილებისა და 7 რეგიონული ფილიალის ნაცვლად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2005 წლის 6 ოქტომბრის N170 ბრძანებით, 13 დეპარტამენტი და ექვსი რეგიონული ფილიალი ჩამოყალიბდა.

თითოეულ განყოფილებას უფროსი და მისი რამდენიმე მოადგილე ჰყავდა. განყოფილებების სტრუქტურაში შედიოდა სხვადასხვა სექტორები თავისი ხელმძღვანელებით. დეპარტამენტების ჩამოყალიბების შემდეგ აღნიშნული საშტატო ერთეულები ოპტიმიზაციას დაექვემდებარება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის განცხადებით, **„ეროვნულ ბანკში ყოველ რიგით თანამშრომელზე ორი უფროსი მოდიოდა. კადრების ოპტიმიზაციის შედეგად, ჩვენ გვინდა ბანკი მაღალპროფესიული კადრებით დავაკომპლექტოთ. ეროვნულ ბანკში ყველას უნდა შეეძლოს საქმის კეთება და არა მხოლოდ დირექტივების გაცემა."**

*24 საათი*

## გარდაბანში ბთჯ-ს საქართველოს მონაკვეთის გახსნის ცერემონია გაიმართება

დღეს გარდაბნის რაიონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის გახსნის საზეიმო ცერემონია გაიმართება. როგორც პრაიმ-ნიუსს "ბიპის" წარმომადგენლობიდან აცნობეს, ცერემონიაში, რომელიც გარდაბანში, ნავთობსაქაჩი სადგურის ტერიტორიაზე გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები მიხეილ სააკაშვილი, ილჰამ ალიევი და აჰმედ ნეჯეთ სეზერი. ღონისძიებას ასევე დაესწრებიან აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი და სენატის წარმომადგენლები, ასევე, სტუმრები დიდი ბრიტანეთიდან, კომპანია "ბი-პი"-ს ხელმძღვანელი პირები. პროგრამის თანახმად, სტუმრების სიტყვით გამოსვლის შემდეგ სამი ქვეყნის პრეზიდენტების მონაწილეობით შედგება ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის ექსპლუატაციაში გაშვების ცერემონია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა 2002 წელს დაიწყო. მშენებლობის ძირითადი სამუშაოები $500 მილიონით საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დააფინანსეს. მისი კრედიტორები ასევე არიან ECDG, A\SACE, HERMES, Ex-Lm, OPIC, City Group, Royal Bank of Scotland. პროექტის მთლიანი ღირებულება 3,5 მილიარდი დოლარია.

*პრაიმ-ნიუსი*

**ორი სიტყვით**

**თბილისი.** დღეს, დილის 11 საათიდან საღამოს 16 საათამდე "თბილგაზი" ვაზისუბანში გადართვით სამუშაოებს ჩაატარებს. შედეგად, მოსახლეობას გაზმომარაგება შეუწყდება. 11-დან 16 საათამდე გამორთული იქნება ვაზისუბნის I, II, III და IV მიკრორაიონები. "თბილგაზში" აცხადებენ, რომ სამუშაოები გაზმომარაგების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება, ბუნებრივი აირის მიწოდება კი 16 საათიდან, ეტაპობრივად დაიწყება. ამ დროისთვის "თბილგაზი" მომხმარებელს გაზის ონკანების მიმართ მაქსიმალურ ყურადღებას სთხოვს. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ მიიღო აშშ-ს ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაცია, რომელსაც მისი დირექტორი მაიკლ ქელეჰერი ხელმძღვანელობდა. შეხვედრაზე განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული კანონპროექტების საკანონმდებლო ორგანოში წარდგენამდე განხილვის საკითხიც. მხარეები, ასევე, საქართველოს ეროვნულ ბანკში სხვადასხვა თემატური სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებაზეც შეთანხმდნენ. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ დილით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტს გერმანიის ფედერაციის ფრანკფურტის აეროპორტის სასაზღვრო სამსახურის დელეგაცია ეწვია. გერმანელი სტუმრები თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოქმედ სერვისს გაეცნენ. ისინი ქართველ კოლეგებს აეროპორტისა და საერთაშორისო რეისების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შესახებ გამოცდილებას გაუზიარებენ. ამჟამად ქართველი მესაზღვრეები, გერმანელ კოლეგებთან ერთად, ახალ სასაზღვრო კანონმდებლობას ამზადებენ, რომელიც ძველისგან საკმაოდ განსხვავებულია. გერმანული მხარის განცხადებით, კანონის დამტკიცების შემდეგ მესაზღვრეებს უფრო მეტი ფუნქციები დაეკისრებათ. ეს მოდელი გერმანიაში საკმაოდ წარმატებულად მუშაობს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო საავიაციო გამოფენაში, რომელიც დუბაიში 2005 წლის 20 ნოემბერს ჩატარდება, სს "თბილავიამშენი" ახალ ხუთადგილიან სამგზავრო თვითმფრინავს "ტამჯეტის" მოდელს წარადგენს. თვითმფრინავს ორი რეაქტიული ძრავა აქვს და შემუშავებულია ამერიკული თვითმფრინავის "მავერიკის" მოდელის საფუძველზე. "ტამჯეტის" ფასი 1 250 ათასი დოლარია. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ევრობანკის ტოპ-მენეჯმენტი საქართველოში ჩამოვიდა

გოგა კალაძე

*ევრობანკის დირექტორთა საბჭოს წევრების ვიზიტის მთავარი შედეგი საქართველოში ბანკის მომავალი საკრედიტო პორტფელის განსაზღვრა იქნება. ამჟამად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 207,7 მილიონი ევროს ღირებულების პროექტებს ახორციელებს. საკრედიტო პორტფელის მოცულობა სამომავლოდ შეიძლება გაიზარდოს. თუმცა, კონკრეტული პროექტები, რომელიც შეიძლება აღნიშნულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ დააფინანსოს, ჯერ ცნობილი არ არის.*

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭო თითოეულ მის წევრ ქვეყანაში ევრობანკის პროექტების მუშაობას ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იხილავს. მის დასკვნაზე კი ბევრადაა დამოკიდებული, ამა თუ იმ ქვეყანაში ევრობანკის სამომავლო საქმიანობის პერსპექტივები. 2005 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოში ევრობანკის საკრედიტო პორტფელის მოცულობა 207.7 მლნ ევროს შეადგენს. მათ შორის, საფინანსო ინსტიტუტებისთვის გახსნილია 52 მლნ ევროს ოდენობის საკრედიტო ხაზები, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურისათვის გამოყოფილია 124.2 მლნ ევროს, სატრანსპორტო სექტორისათვის 20.6 მლნ ევროს, ხოლო საწარმოების მხარდასაჭერად და აგრობიზნესისათვის 10.9 მლნ ევროს მოცულობის სესხები.

წელს ევრობანკის დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითია - ევროპის საინვესტიციო ბანკის საბჭოს დირექტორი ტარენსე ბრაუნი, კანადასა და მაროკოს დირექტორი სკოტ კლარკი, ავსტრიის, კვიპროსის, მალტის, ყაზახეთის, ბოსნია და ჰერცეგოვინას დირექტორი მიხეილ ნეუმაიერი, უკრაინის, რუმინეთის, მოლდოვას, საქართველოსა და სომხეთის დირექტორი იგორ პოდოლიევი, გერმანიის დირექტორი პიერ სტანკინა, ესპანეთისა და მექსიკის დირექტორი გონზალო რამოსი, პორტუგალიისა და საბერძნეთის დირექტორი ხოსე ვეიგა დე მაკედო და კავკასიის რეგიონის დირექტორი მიხეილ დეივი. ეს კი საქართველო-ევრობანკის თანამშრომლობის ისტორიაში უპრეცედენტოა.

პირველი შეხვედრა ევრობანკის ხელმძღვანელებს ეროვნულ ბანკში ჰქონდათ. თითქმის ერთსაათიანი დახურული შეხვედრის შემდეგ განცხადება ორივე მხარემ სიამოვნებით გააკეთა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს დელეგაციის წევრებმა კმაყოფილებით მიიღეს ინფორმაცია საქართველოში ეროვნული ვალუტის - ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობისა და ინფლაციის ზომიერი დონის შესახებ. **„ევრობანკი საქართველოში საბანკო სისტემის მდგომარეობის გაძლიერებით არის დაინტერესებული. ჩვენი ვიზიტის მიზანი ეკონომიკის ამ და სხვა სექტორებში არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, მათთვის დამატებითი საფინანსო რესურსების გამოყოფაში მდგომარეობს,"** – აღნიშნა დელეგაციის ხელმძღვანელმა პიერ სტანკინამ.

**„მე ვთხოვე ევრობანკის დირექტორთა საბჭოს დელეგაციას, ქართული კომერციული ბანკებისათვის სესხები რაც შეიძლება დაბალი საპროცენტო განაკვეთით გასცენ, რათა შემდეგ აღნიშნული რესურსები მეწარმეებმა შეღავათიანი პირობებით მიიღონ,"** – აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა. მისი თქმით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი რამდენიმე ქართული კომერციული ბანკის თანამესაკუთრეა. **„აღნიშნული ავტორიტეტული საფინანსო ინსტიტუტი მონაწილეობს ამ ბანკების მენეჯმენტის საქმიანობის სრულყოფა-გაუმჯობესებაში, რასაც საქართველოს ეროვნული ბანკი მიესალმება,"** – აღნიშნა რომან გოცირიძემ.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ევრობანკის დირექტორთა საბჭოს დელეგაცია შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებსა და ბიზნეს-საზოგადოებას.

# სამშვიდობოებისთვის წამზომი ჩაირთო

პირველი გვერდიდან

**"გაყინული კონფლიქტები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ანექსიაში გადაიზარდა. სახეზეა ცინიკური სიტუაცია, როდესაც კონფლიქტების მონაწილე მხარე ამ კონფლიქტების მომრიგებლად გვევლინება. რუსები არანაირ სამშვიდობო ფუნქციას არ ასრულებენ, ისინი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ანექსიას ახორციელებენ,"** - ასე ხსნის ზემოთ აღნიშნული დადგენილების მიღების საჭიროებას, მიზანშეწონილებასა და აუცილებლობას საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი.



დებატები ხუთი საათი გრძელდებოდა.

იგი იქვე აზუსტებს, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტული რეგიონის მოსახლეობის წინააღმდეგ არ არის მიმართული და ადგილობრივი კრიმინალური კლანების ხელისუფლებიდან ჩამოცილებას ისახავს მიზნად. **"ეს ხელისუფალნი მოსკოვის მარიონეტები არიან,"** - აცხადებს გაბაშვილი.

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ანექსიის დასტურად დადგენილებაში მოყვანილია შემდეგი არგუმენტები: **"რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ხელისუფლება, ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით, ინტენსიურად აგრძელებს კონფლიქტის ზონებში დღეს დარჩენილი მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მასობრივად, გამარტივებული წესით მინიჭებას;"** აგრეთვე ის, რომ **"ცხინვალსა და სოხუმში უმაღლეს თანამდებობებზე ინიშნებიან რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც შეთავსებით აგრძელებენ მუშაობას რუსეთის ფედერაციის ძალოვან უწყებებსა და სპეცსამსახურებში."**

საპარლამენტო უმრავლესობის "წიაღში" შემუშავებულ დადგენილებას, მთლიანობაში, ოპოზიციაც ეთანხმება, ოღონდ, ხელისუფლების ოპონენტებმა გუშინდელ სხდომაზე ცალკეული მუხლების კიდევ უფრო გამძაფრება მოითხოვეს. მაგალითად, "კონსერვატორების" ლიდერი კობა დავითაშვილი ამტკიცებდა, რომ **"ეს არ არის გადაწყვეტილება რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ, ამ დადგენილებით პარლამენტი თავის თავს ავალდებულებს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალი წლის 10 თებერვალს მიიღებს".**

დადგენილების საერთო პათოსს ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" თავმჯდომარე დავით გამყრელიძეც მიესალმა და რუსი სამშვიდობოების გაყვანას მხარი დაუჭირა, მაგრამ, ამასთან, მოითხოვა, რომ ეს ნაბიჯი სასწრაფოდ, დღესვე გადადგმულიყო და არა 10 თებერვლიდან.

**"გაუგებარია, რატომ უნდა ველოდოთ 10 თებერვალსა და 15 ივლისს. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დღეებში რუსებზე კიდევ ერთხელ გავბრაზდეთ?"** - დამატებით კიდევ რამდენიმეთვიან ლოდინში რეზონს ვერ ხედავს გამყრელიძის თანამებრძოლი ფიქრია ჩიხრაძე.

"რესპუბლიკელი" ივლიანე ხაინდრავას თქმით კი, ვინაიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს სხვადასხვა ანატომია აქვს, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ თითოეული მათგანის შესახებ ცალკე დადგენილება იქნებოდა მიღებული.

**"თუ აფხაზეთის ხელისუფლებაში მყოფ ყველა ადამიანს - ბაგაფშს, ანქვაბს, ლაკერბაიას და სხვებს კლანური, კრიმინალური და დიქტატორული ხელისუფლების წარმომადგენლებად მოვნათლავთ, მაშინ ვისთან უნდა ვაწარმოოთ მოლაპარაკებები კონფლიქტის მოგვარების თაობაზე?"** - ეკითხებოდა უმრავლესობის წარმომადგენლებს ხაინდრავა.

**"მაგათი საქმე ეგ არის, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული დოკუმენტები აკრიტიკონ. აბა, სხვა რა უნდა ქნან? პირდაპირ ტაშს ხომ არ დაუკრავენ?"** - ოპოზიციის მხრიდან კრიტიკა სულაც არ გაკვირვებია კოტე გაბაშვილს.

უმრავლესობის მეორე წარმომადგენელი, ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე კი ოპოზიციასთან ოპონირებაში ჩაება. იგი მათ გულდასმით უხსნიდა, რომ ოთხთვიანი "გამოსაცდელი" ვადის დაწესება რუსი "ცისფერჩაფხუტიანებისთვის" შეღავათი სულაც არ არის.

**"ამ ვადას, რუს სამშვიდობოებთან ერთად, საკუთარ თავსაც ვუწესებთ, რათა კონფლიქტის ზონებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველვყოთ,"** - განმარტავდა დავით ბაქრაძე.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციის ალტერნატიული წინადადებები პარლამენტმა არ მიიღო (33 მომხრე, 14 წინააღმდეგი, კვორუმი - 79), "კონსერვატორები", "რესპუბლიკელები" და "მემარჯვენეები" უმრავლესობას აღარ აუხირდნენ და სახელისუფლებო გუნდის მიერ შემუშავებულ დადგენილების პროექტს ხმა მისცეს.

ერთი სიტყვით, რუსი სამშვიდობოებისთვის წამზომი უკვე ჩართულია. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს, საქართველოს ხელისუფლებას აქტიური დახმარება გაუწიოს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში, ოფიციალური მოსკოვისგან კი სპიკერი სამშვიდობო ვალდებულებების შესრულებას ითხოვს.

**"ამ დადგენილებას აუცილებლად ექნება საერთაშორისო მხარდაჭერა და ეს მისი წარმატებით შესრულების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა,"** - ოპტიმისტურად არის განწყობილი კოტე გაბაშვილიც.

## დიმიტრი ავალიანის სვეტი

# ოცნება თვითმმართველობაზე

იპოდრომის გადატანის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის მონაწილეები გუშინ პარლამენტის შენობასთან მივიდნენ. და არა ქალაქის მერიასთან, იმის მიუხედავად, რომ მათი პრობლემა სწორედ მერიის უშუალო კომპეტენციაა. მივიდნენ იქ, სადაც, მათი აზრით, პრობლემის მოგვარება შეიძლება.

ქალაქის დღევანდელი ხელმძღვანელობა საკუთარი გადაწყვეტილებების მიზეზებს, აუცილებლობას და მოტივებს იშვიათად განმარტავს. მერი, თუნდაც საკრებულოს (არჩეული საკრებულოს!) მიერ არჩეული, სხვანაირად მოიქცეოდა. მას ამომრჩევლებისთვის განმარტება მოუწევდა ნებისმიერი გადაწყვეტილებისა, რომელიც შესაძლოა, სადავო გამხდარიყო, ასეთები კი მოქმედმა ხელმძღვანელობამ არაერთი მიიღო.

კი ბატონო, "მარშრუტკების" მოძალება ქალაქს პრობლემას უქმნის. შეიტანე წინასაარჩევნო პროგრამაში ეს საკითხი. დაჰპირდი ამომრჩეველს, რომ ქალაქს გაათავისუფლებ. მართალია, უკმაყოფილებაც იქნება - "მარშრუტკების" მფლობელებს და მძღოლებს ოჯახები ჰყავთ, მათი მომსახურებით მოსახლეობის დიდი ნაწილი სარგებლობს. იყოს დებატები. დაარწმუნე მოქალაქეები, რომ შენი პოზიცია მართალია, რადგან სწორედ მათი, მოქალაქეების ინტერესების დასაცავადაა მიმართული.

გამოჩნდეს სხვა კანდიდატი, რომელიც "მარშრუტკების" მხარეს დაიჭერს. და გადაწყვიტოს ამომრჩეველმა, რომელია მათ შორის მართალი, ანუ როგორი უნდა იყოს ქალაქი.

არჩევითი ხელისუფალი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საკითხსაც სხვაგვარად მიუდგებოდა. ჯერ ერთი, თავიდანვე იქნებოდა ცნობილი, ეს ვისი იდეა იყო. მეორე – მერი, რომელიც თავს ვალდებულად თვლის ამომრჩევლების, და არა პრეზიდენტის, წინაშე, თუნდაც ის არ იყოს წმინდანი და ძალიან უნდოდეს ასიამოვნოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, შეეცდებოდა მაინც საზოგადოებისათვის იმის განმარტებას, თუ რატომ არის ბალეტი ქვეყნისა და ქალაქის პრიორიტეტი.

ასევე მოუწევდა იმის ახსნა და განმარტება, რატომ უნდა აშენდეს ახალი ცათამბჯენი მაინცდამაინც შუა 26 მაისის მოედანზე, ან რითია უკეთესი ქალაქგარეთ გადატანილი ზოოპარკი და იპოდრომი, რომელთა ადგილზეც ახალი ელიტური საცხოვრებელი კორპუსები უნდა აშენდეს.

ეს მოქმედი კანონმდებლობის პირობებში. თორემ, ქალაქის მასშტაბით რეფერენდუმის ჩატარება რომ შესაძლებელი იყოს, ეს ხომ ბევრ კითხვას საერთოდ მოხსნიდა.

მოკლედ, იქნებოდა ის, რასაც ჰქვია თვითმმართველობა... რომელიც როგორც დედაქალაქის, ასევე სხვა ქალაქების დონეზე ამჟამად ოცნების საგანია; რადგანაც დღევანდელი მერია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფილიალს უფრო ჰგავს, სადაც იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელთა მოტივაცია თვით ამ გადაწყვეტილებების მიმღებისთვისაც უცნობია; რადგან ქუჩაში დაყრილი ნაგვისა თუ ქუჩის ნათურების გამოცვლის პრობლემა აუცილებლად პრეზიდენტმა, მისი დანიშნული ჩინოვნიკის მეშვეობით უნდა მოაგვაროს.

კანონი, რომლითაც მომავალი საკრებულოსა და მერის არჩევა უნდა მოხდეს, როგორც საერთაშორისო ექსპერტები ამტკიცებენ, "არადემოკრატიული არ არის". ალბათ, ენა არ მოუბრუნდათ, მისთვის "დემოკრატიული" ეწოდებინათ.

თბილისს, ფაქტობრივად, ერთი პარტიის მიერ დაკომპლექტებული საკრებულო ეყოლება, რომელიც თავისი რიგებიდან მერს აირჩევს. იმის ალბათობა კი, რომ ეს პარტია რომელიმე სხვა პარტია იქნება, გარდა დღევანდელი მმართველი ძალისა, პრაქტიკულად არ არსებობს. თუ, რა თქმა უნდა, მანამდე ქართულ პოლიტიკაში რაიმე სასწაული არ მოხდა.

ადგილობრივი ხელისუფალი, პირველ რიგში, იმის ერთგული იქნება, ვინც ის ამ თანამდებობაზე მოიყვანა - ამომრჩეველი იქნება ეს თუ პრეზიდენტი. ამომრჩევლები მომავალ არჩევნებზე მხოლოდ სტატისტები იქნებიან, რომელთა მოვალეობა "მასოვკის" ჩვენება იქნება. პრეზიდენტზე კი ის იქნება დამოკიდებული, ვინ იქნება დეპუტატობის თუ მერობის კანდიდატი. ანუ, შესაბამისად, დეპუტატი და მერი. ვის უფრო გაუწევენ ისინი ანგარიშს ამ არჩევნების შემდეგ? პასუხი ნათელია.

ანუ საპროტესტო აქციები ამა თუ იმ მშენებლობის, მორიგი პარკის ლიკვიდაციისა თუ მორიგი სატრანსპორტო რევოლუციის გამო კვლავ პარლამენტთან და კანცელარიასთან გაიმართება.

# არ შეიძლება ძაღლმა, ცხენმა და ადამიანმა ერთად ისეირნონ

პირველი გვერდიდან

*"მაგათ გულის გასახეთქად სწორედაც რომ დავიწყებთ იპოდრომზე მშენებლობებს. უახლოეს საკრებულოს სხდომაზე იპოდრომს სტატუსსაც შევუცვლით და ის სარეკრეაციო ზონა აღარ იქნება. იქ აშენდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, კინოთეატრები, გაკეთდება შადრევნები და აშენდება სახლები. რაც შეეხება ხეებს, ათჯერ მეტი ხე დაირგვება, ვიდრე დღეს არის," – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ზეგაშვილმა.*

**"იპოდრომი თავის დროზე უკანონოდ იქნა გასხვისებული. არ შეიძლება ეს ხალხი იპოდრომის მეპატრონეები იყვნენ. მე ადრეც ბევრჯერ ვკითხე იპოდრომის დირექტორს ჯაიანს, თუ რას აპირებდა, თუმცა მისგან პასუხი ვერ მივიღე. დღეს ეს ადამიანი აღარსად ჩანს. ჯერ გააკეთონ ახალი იპოდრომი და მერე დაიწყონ საუბარი ამ იპოდრომის ათვისებაზე. იპოდრომს აქვს ტყე-პარკის სტატუსი და იქ რამის აშენება არ შეიძლება. ასე თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ნაკრძალებს უჭირავს და მაშინ იქაც დავიწყოთ აგარაკების მშენებლობა. ეს ხელისუფლება შეუჩერებელი აგრესიით გვემუქრება და რამე უნდა ვიღონოთ,"** - განაცხადა გუშინ პარლამენტის შენობასთან გამართულ აქციაზე იპოდრომის დამფუძნებლის, კაპიტონ ნაჭყებიას შვილმა ოთარ ნაჭყებიამ.

აქციის მონაწილეებთან სასაუბროდ გამოვიდა "კონსერვატორი" კობა დავითაშვილი, თუმცა რაიმე დამაიმედებელი ინფორმაცია არ გამოუტანია. მოსახლეობას შეხვდა მმართველი პარტიის წარმომადგენელი გია თორთლაძეც.

**"ჩვენ აუცილებლად მოვიწვევთ კომიტეტის სხდომას და ორივე მხარეს მოვუსმენთ. დარწმუნებული ვარ, რომ სიტუაცია არც ისე საგანგაშოა, როგორსაც მოსახლეობა ხატავს. რამდენიმე მეპატრონეს ვესაუბრე და მითხრეს, რომ აქვთ დამტკიცებული პროექტი, სადაც ნაჩვენებია, რომ იპოდრომის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს აუზი, სპორტული მოედნები და ა.შ. არანაირი ბინათმშენებლობა იქ არ იგეგმება. იქ სახლები თუნდაც იმიტომ ვერ აშენდება, რომ ეს რეკრეაციული ზონაა,"** – აღნიშნა გია თორთლაძემ.




აქცია პარლამენტთან.

თორთლაძისგან განსხვავებით, სხვა ინფორმაციას ფლობს თბილისის საკრებულოს თავჯდომარე ზაზა ზეგაშვილი. მისივე თქმით, უახლოეს საკრებულოს სხდომაზე იპოდრომის ტერიტორიას სტატუსს შეუცვლიან და ის სარეკრეაციო ზონა აღარ იქნება. ბატონმა ზაზამ გაზეთ "24 საათს" თავად გააცნო ის პროექტი, რომელიც მას დღეს უდევს მაგიდაზე.

**"იპოდრომზე არსებული ტერიტორიის 60 ჰექტარიდან, 30 ჰექტარი იქნება მწვანე ზოლი. თამარაშვილის ქუჩიდან გზა ბახტრიონის ქუჩას შეუერთდება. გზა იპოდრომზე ამჟამად დანგრეული ტრიბუნების უკან გაივლის. საბურთალოს ქუჩის პარალელურად, ასევე იპოდრომის ტერიტორიაზე გაივლის მეორე გზაც. იპოდრომის შუაში იქნება 100 მეტრის სიგანის და 2 კილომეტრის სიგრძის სკვერი. აქ იქნება კაფე-ბარები, კინო-თეატრები და რა თქმა უნდა, ხეები. აქვე გაკეთდება ორი სპორტული მოედანი და შადრევანი. თქვენ აქ ხედავთ ხეებს? მე ვერ ვხედავ. პროექტის მიხედვით კი, მთელ ამ მოედანზე იქნება მწვანე ზოლი. ის ადამიანები, რომლებიც აქ სეირნობენ, უკეთესად მოვლილ სკვერში ისეირნებენ. სახლები კი ამ სკვერის გარშემო აშენდება. ქედზე არის "გავერანებული" ადგილი და შეიძლება ეს ბუჩქნარი ქალაქის ფილტვებად ჩაითვალოს? რომ ამბობენ, თითქოს აქედან სუნთქავს ქალაქი, არ შეესაბამება სიმართლეს,"** – აღნიშნა ზეგაშვილმა. მისი აზრით, იპოდრომის ამ სახით დატოვება, მხოლოდ იმისთვის, რომ ხუთმა კაცმა ცხენები ასეირნოს, წარმოუდგენელია. **"ვისაც უნდა სეირნობა, წავიდეს და თბილისის ზღვაზე ისეირნოს,"** – აცხადებს საკრებულოს თავჯდომარე. მისივე თქმით,

ვინც ამ პროექტს განახორციელებს, თბილისის ზღვაზეც ის გააკეთებს იპოდრომს.

**"მე, როგორც თბილისის საკრებულოს თავჯდომარეს, მაწუხებს ის, რომ ქალაქის ცენტრში არის ტერიტორია, სადაც ყველაფრით არიან დაკავებული, გარდა ცხენოსნობისა. ამ 20 ცხენის გამო, ჩვენ ქალაქის ცენტრში 60 ჰექტარ მიწის ტერიტორიას ვერ დავტოვებთ ისე, როგორც დღეს არის. რეალურად იპოდრომზე გვაქვს ნაგვის ბუდე, სადაც რაიმე განსაკუთრებული გამწვანება არ არსებობს. ჩვენ ვეუბნებით მესაკუთრეს, ან მოუვლი ამ ტერიორიას, ან შეგიქმნით პრობლემებს. თუ როგორ შევუქმნით, ამას გადავწყვეტთ. მე კარგად ვაცნობიერებ, რომ ჩემი საუბარი არის არაპოპულარული, მაგრამ გავა წლები და ხალხი გააცნობიერებს, რომ ეს იყო ერთადერთი გამოსავალი ამ ადგილის გადასარჩენად. არ შეიძლება ძაღლმა, ცხენმა და ადამიანმა ერთად ისეირნონ. ძაღლმა რომ შეუყეფოს ცხენს, ის გადათელავს ბავშვებს. მსგავსი შემთხვევა უკვე იყო,"** – ასე ფიქრობს ზეგაშვილი იპოდრომზე.

იპოდრომთან დაკავშირებით, გუშინ კომენტარი თბილისის ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსს, ნიკოლოზ ჩხაიძესაც უნდა გაეკეთებინა, თუმცა პრეს-კონფერენცია გადაიდო. როგორც ჩხაიძემ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, ამის მიზეზი იმ პროექტის დაგვიანება იყო, რომელიც მათ სამსახურში უნდა შესულიყო.

**"უახლოეს დღეებში ჩვენთან შემოვა პროექტი, სადაც მოცემული იქნება, თუ რა გაკეთდება იპოდრომის ტერიტორიაზე,"** – განაცხადა ჩხაიძემ.

**P.S მოსახლეობა აქციის გამართვას დღესაც გეგმავს. ისინი საღამოს 6 საათისთვის იპოდრომის შესასვლელთან, საბურთალოს ქუჩაზე შეიკრიბებიან.**

# საქართველო კონფლიქტების დარეგულირებაში იუნესკო-ს როლის გაძლიერებას ითხოვს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ჩვენს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში იუნესკო-ს როლის გაძლიერებას ითხოვს.

იუნესკო-ს გენერალური კონფერენციის 33-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ზურაბიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იუნესკო-ს, ამ რეგიონებში მისი კომპეტენციის სფეროებში, თავისი მანდატის ფარგლებში მეტის გაკეთება შეუძლია.

**"ჩვენ გვჭირდება იუნესკოს დახმარების ხელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში, ვინაიდან სეპარატისტული რეჟიმები მნიშვნელოვნად აფერხებენ ქვეყნის განვითარებას, დემოკრატიულ პროცესებს და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას,"** - თქვა მან.

ზურაბიშვილის თქმით, სეპარატისტულ რეგიონებში, სადაც უკანონო "მთავრობებმა" აპარტეიდის რეჟიმები შექმნეს, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში საგანგაშო მდგომარეობაა.

ზურაბიშვილმა სხდომაზე გამოსვლისას ასევე აღნიშნა, რომ საქართველომ დაადასტურა თავისი დაინტერესება იუნესკო-ს გენერალურ კონფერენციაზე წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და ბიუჯეტის პროექტის მიმართ.

მისივე თქმით, დემოკრატიის განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა და ეფექტური მმართველობა აუცილებელი პირობაა იუნესკოს მიზნების მისაღწევად და ამ რთულ პროცესს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომა ესაჭიროება.

იმავე დღეს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა იუნესკო-ს შტაბ-ბინაში შეხვედრა გამართა ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან კოიჩირო მაცუურასთან, სადაც განხილულ იქნა უინესკო-ს მოსკოვის ბიუროდან საქართველოს გამოსვლისა და ამ ბიუროს მიერ გასულ კვირას ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული რუკის საკითხები.

განხილულ იქნა ასევე განათლებისა და კულტურის სფეროებში იუნესკო-ს და საქართველოს თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, დადასტურდა მისი გააქტიურების ორმხრივი სურვილი.

გუშინ სალომე ზურაბიშვილი სამუშაო ვიზიტით დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში გაემგზავრა, 13 ოქტომბერს კი ის ირლანდიის რესპუბლიკაში ჩავა.

გუშინ მან ლონდონში შეხვედრები გამართა თავდაცვის სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან, პარლამენტის წევრთან დონ თოჰიგთან და საერთაშორისო უშიშროების პოლიტიკის გენერალურ დირექტორ სარა ბივერთან, საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრთან ევროპის საკითხებში, პარლამენტის წევრთან დაგლას ალექსანდერთან. გაიმართა დიდ ბრიტანეთისა და საქართველოს შორის ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა.

გუშინვე ზურაბიშვილი სიტყვით გამოვიდა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სამეფო ინსტიტუტში. დღის ბოლოს კი შეხვდა ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, პარლამენტის წევრს გარეთ ტომასს.

დღეს დაგეგმილია ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების ერთობლივი შეხვედრა.

შეხვედრები ასევე გაიმართება კონსერვატიული პარტიის ჩრდილოვანი კაბინეტის საგარეო საქმეთა მდივნის მოადგილესთან ევროპისა და ევროკავშირის საკითხებში გრემ ბრედისთან, ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ჩრდილოვანი კაბინეტის საგარეო საქმეთა მდივან მენზის კემბელთან.

13 ოქტომბერს დუბლინში ზურაბიშვილი შეხვდება ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრ დერმოთ აჰერნის და სახელმწიფო მინისტრ კონორ ლენიჰანს. აგრეთვე, ირლანდიის პარლამენტის სპიკერს, დოქტორ რორი ოჰანლონს. დაესწრება ირლანდიის პარლამენტის ზედა და ქვედა პალატების ევროპულ საქმეთა კომიტეტების ერთობლივ სხდომას.

14 ოქტომბერს, ლონდონში, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს საელჩოსა და ქართულ-ბრიტანული საზოგადოების მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო საღამოს დაესწრება.

ზურაბიშვილი საქართველოში 15 ოქტომბერს დაბრუნდება.

*24 საათი*

## პოლიციელთა გადაჭარბებული მონდომება, შესაძლოა, სისულელემდე მივიდეს

უჩვეულო მონდომება გამოიჩინეს კალიფორნიის შტატის ქალაქ იოჰანესბურგის პოლიციელებმა. მათ 50 დოლარით დააჯარიმეს ქათამი, რომელმაც აკრძალულ ადგილას გადაკვეთა მანქანების სავალი ქუჩა; ოღონდ, საჯარიმო ქვითარი, ცხადია, ქათამმა კი არა, მისმა პატრონმა მიიღო, რომელმაც პოლიციელთა მონდომება სათანადოდ ვერ შეაფასა და სასამართლოში იჩივლა.

კალიფორნიის შტატის კანონმდებლობის თანახმად, სამანქანო გზებზე საქონლის შემჩნევა დასჯადია. შტატის ქუჩებში გამოჩენის უფლება მხოლოდ შინაურ ცხოველებს ეძლევათ. ჰოდა, პოლიციელები ამტკიცებენ, რომ ქათამი, სახელად ოფელია, საქონელია და მან კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი. ქათმის, უფრო სწორად, მისი პატრონის ადვოკატი კი ირწმუნება, რომ ოფელია მხოლოდ და მხოლოდ შინაური ფრინველია და საგზაო მოძრაობის წესებში არსებული აკრძალვები მას არ ეხება.

მოსამართლემ, რომელმაც ეს კურიოზული საქმე განიხილა, ოფელია დამნაშავედ არ ცნო. საინფორმაციო საშუალებები არ აკონკრეტებენ მოსამართლის რეაქციას იმაზე, რომ პოლიცია, საქმის კეთების ნაცვლად, ქათმებს აჯარიმებს. სამაგიეროდ, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში პოლიციელთა მსგავსი მონდომება, უფრო სწორად კი, აშკარა სისულელე არაერთხელ გამხდარა სასამართლო და საპარლამენტო განხილვის საგანი. კერძოდ, 2005 წლის იანვარში პოლიციამ 60 ფუნტი სტერლინგით დააჯარიმა 23 წლის ექთანი, რომელმაც მანქანით ისე მოუხვია, რომ ხელში ვაშლი ეჭირა. ამ საქმეზე მტკიცებულებების შეგროვებას კი იმავე პოლიციამ 10 ათასი ფუნტი სტერლინგი და ერთწლიანი მუშაობა მოანდომა. საგზაო პოლიციელთა ყურადღება სარა მაკეფრიმ იმით მიიპყრო, რომ მანქანით მარცხნივ მოუხვია და ამ დროს მარჯვენა ხელში ვაშლი ეჭირა. მისი მხრიდან საგზაო წესების დარღვევით აღშფოთებულმა პოლიციელმა ქალი 30 ფუნტი სტერლინგით დააჯარიმა. მაგრამ, მაკეფრი ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და ჯარიმის შესახებ გადაწყვეტილების სამართლიანობის დასადგენად სასამართლოს მიმართა. იმისათვის, რომ საკუთარი სიმართლე დაემტკიცებინათ, პოლიციელებს აეროფოტოგადაღებებისთვის ვერტმფრენი და თვითმფრინავიც კი დასჭირდათ. შედეგად, სულ რაღაც 30 ფუნტ სტერლინგად ღირებული საქმისთვის პოლიციელებმა 10 ათასი ფუნტი დახარჯეს.

**“ჩემი კლიენტის წინააღმდეგ პოლიციის მთელი აპარატი იმის გამო დაირაზმა, რომ მან წინააღმდეგობა გაბედა და თქვა, რომ პოლიცია სისულეებით არის დაკავებული. პოლიციაში კი ეს არ უყვართ”**, - აცხადებს მაკეფრის ადვოკატი ჟოფრეი ფორესტერი. თუმცა, ჯარიმის გადახდით საქმე არ დასრულებულა. ახლა არანაკლებ სერიოზული გამოძიება ემუქრებათ თავად პოლიციელებს – პოლიციის დეპარტამენტი შიდა გამოძიებას იწყებს საბიუჯეტო თანხების არარაციონალური გამოყენების გამო. მაგრამ, ბრიტანელი პოლიციელები ერთმანეთის შეცდომებზე არ სწავლობენ და მაკეფრის პროცესის დასრულებიდან სულ რამდენიმე დღეში პოლიციამ საკუთარი სისულელის რეკორდი მოხსნა – საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და ქუჩის დანაგვიანებისთვის ერთი წლის ბავშვი დააჯარიმა. 16 თვის ელიონ ნაითინგეილი სულელური ჯარიმების დაკისრების ბრიტანული ტრადიციის ჯერჯერობით უკანასკნელი მსხვერპლია - მას 50 ფუნტის გადახდა დაეკისრა.

ელიონმა “დანაშაული” მამასთან ერთად სეირნობისას ჩაიდინა. 21 წლის მამამ ბავშვს ეტლში გამაგრილებელი სასმელის ცარიელი ბოთლი ჩაუდო, რადგანაც გზად ნაგვის ურნა ვერ იპოვა. პატარამ კი, რატომღაც, ბოთლით სეირნობა არ ისურვა და ბოთლი ბუჩქებში მოისროლა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ყურადღებიანი პოლიციელი და გაოგნებულ მამას 50-ფუნტიანი საჯარიმო ქვითარი მიაჩეჩა. “დამნაშავის” მამამ უკვე განაცხადა, რომ ვერაფრით გაიგო, რატომ ცდება პოლიცია ასეთ “იდიოტობებზე”.

**“ჩემს შვილს, ცხადია, არ ესმის, რა ჩაიდინა, ის ძალიან პატარაა; თანაც, მე თავად ვაპირებდი გადაგდებული ბოთლის აღებას, მაგრამ ბუჩქი ეკლიანი აღმოჩნდა და ვერ მოვახერხე, ამ დროს კი პოლიციელიც გამოჩნდა”**, - ამბობს ელიონის მამა. მიუხედავად ამისა, პოლიცია ბოდიშის მოხდას არ აპირებს და მიიჩნევს, რომ სრულიად კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო.

*24 საათი*

### მოკლედ

#### ზუგდიდის საპყრობილეში შიდსით დაავადებული ორი პატიმარი იმყოფება

ზუგდიდის N4 საპყრობილეში შიდსით დაავადებული ორი პატიმარი იმყოფება, ხოლო სამი პატიმარი ვირუსით ინფიცირებულია. ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი და ინფორმაცია შიდსის ცენტრის ზუგდიდის წარმომადგენლობამ გაავრცელა.

პატიმრებს გამოკვლევები ჩაუტარდათ და დადგინდა, რომ ორი მათგანი - ჯანო ცხონდია და რევაზ მიქავა შიდსის ვირუსით დაავადებულები, ხოლო სამი პატიმარი, რომელთა ვინაობა არ სახელდება, ინფიცირებულნი არიან.

შუამდგომლობა პატიმრების გათავისუფლების შესახებ უახლოეს დღეებში დადგება. აღსანიშნავია, რომ რევაზ მიქავას, ფაქტობრივად, ბოლო სტადია აღენიშნება და იგი მძიმე მდგომარეობაშია.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, მიქავა შიდსის ვირუსის მატარებელია, თუმცა იგი სტაციონარულ პირობებში მკურნალობას და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას არ საჭიროებს.

პატიმარი რევაზ მიქავა ყაჩაღობაშია ბრალდებული და იგი საპყრობილეში 2005 წლის ივლისიდან იმყოფება. **ინტერპრესნიუსი**

#### სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს

სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, თბილისის შს სამმართველოსა და მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, გამსახურდიას გამზირზე 16 წლის ლევან ოგანეზოვი და 18 წლის დავით კუჭავა დააკავეს.

პოლიციის ინფორმაციით, მათ გუშინწინ, ღამით 27 წლის ზორო აბულაძეს ურთიერთშელაპარაკებისას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის შემდეგაც ოგანეზოვმა აბულაძეს დანით გულმკერდსა და თავის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. აბულაძე სავადმყოფოში გარდაიცვალა. **ინტერპრესნიუსი**

#### დიდი ოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი გაანადგურეს

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ გუშინ გორში განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი გაანადგურა.

რუსული წარმოების 250 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტის განადგურების ღონისძიებას ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ლევან მხეიძე, სამხარეო სამმართველოს უფროსი ზურაბ არსოშვილი და ადგილობრივი სამართალდამცავი სტრუქტურების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

როგორც ზურაბ არსოშვილმა განაცხადა, რუსული წარმოების "ტროიკა", "ნოვოსტი", "იავა", "კენტი" და სხვა დასახელების სიგარეტი სხვადასხვა დროს ცხინვალის რეგიონიდან კონტრაბანდული გზით არის შემოტანილი და დამნაშავეებიც უკვე დაისაჯნენ. **ინტერპრესნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** მარნეული-სადახლოს საავტომობილო გზაზე დააკავეს ავტომანქანა, რომლის მძღოლს, მარნეულის რაიონში მცხოვრებ, 20 წლის აგასი ტოროსიანს უსაბუთოდ გადაჰქონდა 800 ლარის ღირებულების ავტონაწილები. დააკავეს აგრეთვე, ავტომანქანა, რომლის მძღოლს, თბილისში მცხოვრებ 38 წლის არკადი ჯაბრიშვილს უსაბუთოდ გადაჰქონდა 2 500 ლარის ღირებულების 1 600 ლიტრი ავტომანქანის ზეთი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საპატრულო პოლიციის რეზერვის შესავსებად კონკურსი გამოაცხადა. მსურველთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შესაბამისი დოკუმენტაცია საპატრულო პოლიციის რეგიონალურ განყოფილებებში 26-დან 28 ოქტომბრამდე მიიღება. კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე მსურველებმა ფიზიკური ნორმატივები უნდა ჩააბარონ, შემდეგ კი გასაუბრებას გაივლიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველომ გორში 250 000 კოლოფი, ძირითადად, რუსული წარმოების უაქციზო სიგარეტი გაანადგურა. შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსის ზურაბ არსოშვილის განმარტებით, აღნიშნული სიგარეტი ბოლო ხუთი თვის განმავლობაშია ამოღებული და მათი მფლობელები სასამართლოს განჩინებით პატიმრობაში იმყოფებიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველომ გასული დღე-ღამის განმავლობაში აღურიცხავი პროდუქციით დატვირთული სამი ავტომანქანა დააკავა. დაკავებისას მძღოლებმა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ტვირთის წარმომავლობის ვერანაირი დოკუმენტაცია ვერ წარუდგინეს. ავტომანქანები ძირითადად სამრეწველო და საყოფაცხოვრებო პროდუქციით იყო დატვირთული. ყველა დაკავებული ავტომანქანა ტერმინალშია გადაყვანილი და ტვირთს ექსპერტიზა უტარდება, რაც სამართალდამრღვევების მიმართ ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს. **მედიანიუსი**

## აშშ-ს პრეზიდენტის ტერაქტში ბრალდებულის დაცვაზე მეორე ადვოკატმა უარი განაცხადა

*10 მაისს თავისუფლების მოედანზე, ჯორჯ ბუშის სიტყვით გამოსვლისას, ტერორისტული აქტის მცდელობაში, პოლიციელის განზრახ მკვლელობაში და იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებაში ბრალდებული ვლადიმერ არუთინიანის ყოფილი ადვოკატი ალექსი არქანია დაკავებულის უფლებების დარღვევებზე საუბრობს და საჩივარი გენერალურ პროკურატურაში შეაქვს.*



*ვლადიმერ არუთინიანის ინტერესებს მესამე ადვოკატი დაიცავს.*

როგორც არუთინიანის ყოფილმა ადვოკატმა ალექსი არქანიამ განაცხადა, იგი ერთი თვისა და ერთი კვირის განმავლობაში იცავდა დაკავებულს, თუმცა აღნიშნულ პერიოდში მას არც ერთხელ არ მისცემია დაკავებულთან მეთვალყურეების გარეშე შეხვედრის საშუალება. შეგახსენებთ, დაკავების შემდეგ არუთინიანმა ორი ადვოკატი გამოიცვალა. ლექსო არქანია, რომელიც არუთინიანის მეორე ადვოკატი იყო, აშშ-ს პრეზიდენტის ტერაქტში ბრალდებულს დაცვას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჰპირდებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ არქანიას არუთინიანის დაცვის სრულყოფილად და კანონით გათვალისწინებული ნორმების განხორციელების საშუალება არ მიეცა, მან პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა მისი დაცვის ქვეშ მყოფის ადვოკატობაზე. არქანიას არგუმენტებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, მას თავის დაცვის ქვეშ მყოფთან მარტო შეხვედრის უფლება გააჩნია. გარდა ერთი შემთხვევისა - თუ ამას გამოძიების მოტივირებული დადგენილება კრძალავს. თუმცა, როგორც იგი აცხადებს, ამგვარი დადგენილება საქმეში არ არსებობს, მაგრამ პატიმართან დამოუკიდებლად შეხვედრის უფლებას სამართალდამცველები მაინც არ აძლევდნენ, რაც საბოლოოდ, არუთინიანის დაცვაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. მისივე თქმით, არუთინიანს იგი განმარტოებით ვერ ხვდება, მათი შეხვედრები გაძლიერებული დაცვის თანხლებით მიმდინარეობს. როგორც არქანია აცხადებს, მის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის დაწერილ მიმართვას, რომ კანონით მინიჭებული ნორმით დაცვის უფლება განახორციელოს, დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის ერთი და იგივე პასუხი მოსდევს – ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი არ არის. სამწუხაროდ, არქანიას თქმით, იგი ადვოკატისთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს ვერ ახორციელებს – პატიმართან განცალკავებით შეხვედრას ვერ ახერხებს.

ლექსო არქანიას თქმით, იგი დიდი ხანია, რაც არუთინიანისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს, თუმცა საქმის გამომძიებლის გიორგი ჩივიაშვილის დადგენილებით, ვინაიდან, ბრალდებული ფსიქიატრიულ დაწესებულებაში აღრიცხვაზე არ იმყოფება, ბრალდება ექსპერტიზის დანიშვნაზე უარს აცხადებს. არადა, აღიშნული არგუმენტი კანონის არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. ამის გამო ადვოკატმა აღნიშნული დადგენილება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაასაჩივრა. გარდა ამისა, ადვოკატი პროკურატურაში ბრალდებულის განცხადებასაც შეიტანს, რომლითაც არუთინიანი იმ ვიდეო-მასალის ექსპერტიზას მოითხოვს, სადაც დაკავებული ციხიდან გაქცევის თაობაზე საუბრობს და რომელიც გადაცემა “პატრულში” იყო ნაჩვენები.

**"არუთინიანს მიაჩნია, რომ აღნიშნული ვიდეო-მასალა მონტაჟია და მასში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება,"** - განაცხადა არქანიამ, მაგრამ მისივე განცხადებით, დაცვის არც ერთ საპროტესტო განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია.

შეგახსენებთ, რომ არუთინიანი სამართალდამცველებმა 20 ივლისს ვაშლიჯვარში, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან დააკავეს, რა დროსაც, სამართალდამცველების მტკიცებით, ორმხრივი სროლისას ერთი პოლიციელი გარდაიცვალა. სპეცოპერაციისას არუთინიანიც დაიჭრა, რის გამოც იგი მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ე.წ. “რესპალნიცაში” გადაიყვანეს და როგორც მისი ადვოკატი აცხადებს, მას საკანში დღემდე გაძლიერებული დაცვა იცავს.

სხვათა შორის, 10 მაისს, აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის მცდელობის საქმეს უშიშროების განყოფილება იძიებს, არუთინიანის დაკავების დღეს მომხდარი ანტიტერორისტული ცენტრის მაღალჩინოსნის მკვლელობის საქმე კი, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტი. არადა, კანონმდებლობით ერთი პიროვნების მიმართ აღძრული საქმეები ერთი საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარე უნდა იყოს. ანუ, არუთინიანის წინააღმდეგ აღძრული საქმეები ერთ საქმედ უნდა გაერთიანებულიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, არუთინიანის საქმეში ბევრი გაურკვეველი საკითხია, რასაც იმედია, მომავალში მაინც მოეფინება ნათელი.

*24 საათი*

## გაქცეული ჯარისკაცები ხელმძღვანელობას ჩააბარეს

*დედოფლისწყაროში განლაგებული სამხედრო ნაწილიდან თვითნებურად წამოსული ათი სამხედრო მოსამსახურე უკვე ჩაბარდა იმ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას, საიდანაც ისინი რამდენიმე დღის წინ გამოიქცნენ. თუმცა, ამ დრომდე უცნობია, დააბრუნეს თუ არა ისინი უტილიზაციის ცენტრის დაცვის ოცეულში, სადაც ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში მსახურობდნენ.*



*დედოფლისწყაროს სამხედრო ნაწილიდან გაქცეული ჯარისკაცები.*

როგორც ცნობილია, ათმა აზერბაიჯანელმა ჯარისკაცმა რამდენიმე დღის წინ სამხედრო ნაწილი თვინებურად დატოვა და პირდაპირ სახალხო დამცველის აპარატს მიაკითხა.

ჯარისკაცების განცხადებით, მათ გაქცევა სამხედრო ნაწილში შექმნილმა გაუსაძლისმა პირობებმა აიძულა.

ძველი ტანსაცმელი, შიმშილი და რაც მთავარია, ეროვნული ნიშნით დამცირება - ეს ის პრეტენზიებია, რომლებიც ჯარისკაცებმა მედიის თანდასწრებით ოფიციალურადგანაცხადეს. გაქცეულები იმასაც ამბობდნენ, რომ ხელმძღვანელები მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ და მორალურ ზეწოლასაც ახორციელებდნენ. თუმცა, გაქცეულთა ხელმძღვანელები, რომლებიც ომბუდსმენის აპარატში მივიდნენ, ჯარისკაცთა ქმედებას ჩვეულებრივი დაუმორჩილებლობით ხსნიან და არგუმენტად ქართული ენის უცოდინარობას ასახელებენ. **“აზერბაიჯანელმა ჯარისკაცებმა ქართული არ იცოდნენ და ბრძანებებს ხშირად საპირისპიროდ ასრულებდნენ”**, – თავს იმართლებდნენ მაღალჩინოსანი სამხედროები და იქვე აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის საქართველოში ვიზიტის წინ კარგად ორგანიზებულ პროვოკაციაზეც საუბრობენ.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატში ჯარისკაცებისთვის შექმნილ არცთუ სახარბიელო პირობებში ეჭვი არ ეპარებათ, აზერბაიჯანელი სამხედროები საბოლოოდ მაინც სამხედრო პოლიციაში აღმოჩნდნენ, სადაც მათი დაკითხვა გვიან ღამემდე გრძელდებოდა და მეორე დღეს, ანუ გუშინ დასრულდა.

როგორც თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, სამხედრო პოლიცია კანონით გათვალისწინებულ შესაბამის საგამოძიებო პროცედურებს ახორციელებს, რომლის ფარგლებში ჯარისკაცების და მათი მეთაურების დაპირისპირებაც მოხდება.

სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელის ალეკო სუხიტაშვილის განცხადებით კი, აღნიშნულ საკითხზე სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და გამოძიება დაწყებულია. სუხიტაშვილი პირობას იძლევა, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართება და დანაშაულში მონაწილე ნებისმიერი პიროვნება დაისჯება. არ აქვს მნიშვნელობა იგი ჩინიანი სამხედრო მოსამსახურე იქნება, თუ ჩვეულებრივი ჯარისკაცი. თუმცა, ვისი მხრიდან ჰქონდა კანონის დარღვევას ადგილი, მისი ინფორმაციით, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია.

გაქცეული ჯარისკაცების დაკითხვის პროცესს სამხედრო პოლიციის ყაზარმაში სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს ხელმძღვანელი გოგა ონიანიც დაესწრო. მისი სურვილი იყო თავად ყოფილიყო ზედამხედველი თავდაცვის სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. მართალია, საბოლოო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებული არ არის, მაგრამ საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებისას ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენელს პრეტენზიები არ გამოუთქვამს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატი თავდაცვის სამინისტროსგან დამოუკიდებლად თავადაც აწარმოებს გამოძიებას.

რა შედეგით დასრულდება ორი სხვადასხვა ფუნქციის მქონე უწყების გამოძიება, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

*24 საათი*

## სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას სპეციალური კომისია შეისწავლის

ვიდრე ევროპის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლო სულხან მოლაშვილის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მისივე წარმომადგენლების მითითებით ქართველი ექიმები კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ჯანმრთელობას იკვლევენ. სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად მიმდინარე კვირაში სპეციალური კომისია შეიქმნება, სადაც სამი ექიმი დაცვის, ხოლო სამი ბრალდების მხარის მიერ იქნება მოწვეული. მათი ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

კომისიამ მოლაშვილის მკურნალობის კურსის გაგრძელებისა და მისი სამკურნალო დაწესებულებაში დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს. როგორც ცნობილია, მოლაშვილს ციხის საავადმყოფოს ექიმებმა რამდენიმე დაავადების დიაგნოზი უკვე დაუსვეს. ამიტომ წელიწადზე მეტია, რაც იგი სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება. სამედიცინო კომისიის შექმნის რეკომენდაცია ქართულ მხარეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მისცა, სადაც მოლაშვილის მიმართ დროებითი ღონისძიების გამოყენების საკითხი 27 სექტემბერს განიხილეს. სტრასბურგის სასამართლოს რეკომენდაციით, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე 30 ოქტომბრამდე უპირობოდ დარჩება. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სულხან მოლაშვილმა საქართველოს წინააღმდეგ სარჩელი უკანონო პატიმრობის მოტივით შეიტანა. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე 2004 წლის 22 აპრილს დააკავეს. საქართველოს მართლმსაჯულებამ მას ცხრაწლიანი განაჩენი თანამდებობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფოსა და სხვადასხვა იურიდიული პირებისთვის 3 მლნ ლარის ზარალის მიყენების გამო გამოუტანა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ინსტანციაშია გასაჩივრებული.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# დემოკრატიული გარდაქმნები და სამხედრო ბაზები

პირველი გვერდიდან

ჯერ კიდევ ბიშკეკის აეროპორტში დაშვებამდე კონდოლიზა რაისი კატეგორიულად აცხადებდა, რომ აშშ არ ცდილობს ვინმეს (იგულისხმებოდა რუსეთი) ინტერესების წინააღმდეგ წასვლას რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობისას. **"ყირგიზეთს არ აქვს იმის საბაბი, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის არჩევანი გააკეთოს. ჩვენ მშვენიერი ურთიერთობები გვაქვს რუსეთთან და, ყირგიზეთსაც კარგი ურთიერთობები უნდა ჰქონდეს მასთან,"** - ამბობდა სახელმწიფო მდივანი. ცხადია, დიპლომატის ეს განცხადება კრემლის გასაგონად უფრო გაკეთდა, ვიდრე ბიშკეკში მსხდომი პოლიტიკოსებისა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ უზბეკეთის მაგალითით შეშინებული ამერიკელები ვერ დაუშვებენ ჯერ კიდევ "ერთგულ" ყირგიზეთთან ურთიერთობის გაფუჭებას.

ბუნებრივია, პოსტსაბჭოთა სივრცეში კიდევ ერთი "ფერადი რევოლუციის" ლიდერებთან - პრეზიდენტ კურმანბეკ ბაკიევთან და პრემიერ-მინისტრ ფელიქს კულოვთან შეხვედრისას, ამერიკელი სტუმარი, პირველ რიგში, დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობაზე საუბრობდა. გუშინ გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, აშშ-ს სურს რეგიონში პლაცდარმი ყირგიზეთი გახდეს, ამისთვის კი მზადაა სერიოზული დახმარებაც გაუწიოს. **"ჩვენ გვინდა დავეხმაროთ ყირგიზეთს ძლიერი და ქმედითი ეკონომიკის ქვეყნად ჩამოყალიბებაში,"** - ხაზი გაუსვა კონდოლიზა რაისმა პრეზიდენტ ბაკიევთან შეხვედრის შემდეგ. კერძოდ, აშშ მზადაა, დახმარება გაუწიოს "პოსტრევოლუციური" ქვეყნის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ისევე როგორც დაეხმაროს სოფლის მეურნეობის სფეროში.

სხვათა შორის, ყირგიზეთის ხელისუფლებაც მეტად ფრთხილად საუბრობდა ამერიკასთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე. **"მოსაზრება, რომ ყირგიზეთი პრიორიტეტს მიანიჭებს აშშ-ს, რუსეთთან ან სხვა მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობების საზიანოდ, არასწორია,"** - განაცხადა ბაკიევმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე. ყირგიზეთის პრეზიდენტის თქმით, ისინი ეცდებიან თანაბრად კარგი ურთიერთობები იქონიან ყველა მეზობელ თუ არამეზობელ სახელმწიფოსთან.

ერთი შეხედვით, აშშ-ს პოზიციების გამყარება ცენტრალურ აზიაში არ აშინებს რუსეთსაც, ყოველ შემთხვევაში ასეთ განცხადებას აკეთებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. **"რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტზე ლაპარაკი ზედმეტია,"** – ასეთი კომენტარი გააკეთა პარიზში მყოფმა ლავროვმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის შუააზიურ ტურნესთან დაკავშირებით. ალბათ, კრემლში დარწმუნებლნი არიან ბაკიევის "ერთგულებაში". სხვათა შორის, გუშინ კურმანბეკ ბაკიევი პეტრე დიდის ორდენით დააჯილდოვეს – "რუსულ-ყირგიზული ურთიერთობების გაღრმავებასა და გაძლიერებაში შეტანილი უზარმაზარი წვლილისთვის" (პეტრე დიდის ორდენი რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ჯილდოა საზოგადო მოღვაწეებისთვის. ამ ორდენით უცხოელებსაც ხშირად აჯილდოებენ.).

კონდოლიზა რაისის ტურნეს ერთი მნიშვნელოვანი ასპექტიც ახლდა თან. შუა აზიის ქვეყნებში ვიზიტების დროს აშშ-ს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა შესაძლოა, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის და ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების (ევრაზესი) ალტერნატიული სტრუქტურის შექმნის საკითხი წამოჭრას. ამასთან დაკავ-



აშშ მზადაა, ყირგიზეთს რეგიონში უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულებაში დაეხმაროს.

შირებით მინიშნებები რაისის მოადგილეებმა დენ ფრიდმა და ჯოზეტ შეიერმა უკვე გააკეთეს. როგორც შეიერმა განაცხადა, ოთხივე ქვეყანაში, რომლებსაც სახელმწიფო მდივანი ეწვევა, "რეგიონული სავაჭრო შეთანხმების საკითხები განიხილება".

სავარაუდოდ, საქმე ეხება შუა აზიის რეგიონის ქვეყნებს შორის ვაჭრობაში საკანონმდებლო და საგადასახადო ბარიერების თანდათანობით ლიკვიდაციას. ვაშინგტონის ერთ-ერთი ინფორმირებული წყარო ვარაუდობს, რომ **"აშშ-ს ადმინისტრაცია ცდილობს, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის და ევრაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური ალტერნატივა შექმნას, რათა რეგიონის ქვეყნები მოსკოვის და პეკინის გავლენის ქვეშ არ დატოვოს".**

თავად ამერიკელი დიპლომატები ვიზიტის წინ ამტკიცებდნენ, რომ სულაც არ არიან შეშფოთებული მოსკოვის შუა აზიის ქვეყნებთან დაახლოებით და რეგიონში გავლენისთვის რუსეთთან ბრძოლას აშშ სულაც არ აპირებს. **"შუა აზიას დიდი თამაშის საგნად არ განვიხილავთ,"** - განაცხადა დენ ფრიდმა. თუმცა, მანვე აღიარა, რომ აშშ-ს ცენტრალურ აზიაში საკუთარი ინტერესები აქვს, რომელიც რუსეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, კერძოდ, ესაა "ისლამურ ექსტრემიზმთან და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ბრძოლა". თუმცა ის, თუ რის ფასად დაიცავს აშშ თავისი ინტერესებს რეგიონში – ანუ შეეწირება თუ არა სტაბილურობას დემოკრატიზაცია - ჯერ კიდევ უცნობი რჩება.

აღსანიშნავია, რომ, თავდაპირველად, იმ ქვეყნების სიაში, რომლებსაც რაისი უნდა სწვეოდა, უზბეკეთიც შედიოდა, მაგრამ შემდეგ ის დემონსტრაციულად იქნა ამოღებული ვიზიტის პროგრამიდან. ვაშინგტონმა ამგვარად გამოხატა "ანდიჟანის მოვლენებით შეშფოთება". ვარაუდობენ, რომ შუა აზიაში ტურნეს დროს რაისი უზბეკეთში მდებარე "ყარში-ხანაბადის" ამერიკული სამხედრო ბაზის რეგიონის სხვა ქვეყანაში გადატანის საკითხსაც წამოწევს. ამ ობიექტის დაუყოვნებლივ გატანას ოფიციალური ტაშკენტი მოითხოვს.

## ორი სიტყვით

გაეროს ცნობით, ეკოლოგიური ვითარების გაუარესებამ შესაძლოა 2010 წლამდე 50 მილიონამდე ადამიანს მიატოვებინოს საცხოვრებელი ადგილები და შექმნას ადგილნაცვალი პირების ახალი კატეგორია -"ეკოლოგიური მიგრანტები".

ანგარიშში, რომელიც ეფუძნება გაეროს გარემოსა და ჰუმანიტარული უსაფრთხოების ინსტიტუტის ბოლოდროინდელ კვლევას, აღნიშნულია, რომ უდაბნოს გაფართოების, ზღვის დონის ამაღლების, წყალდიდობებისა და გრიგალების შედეგად, რაც კლიმატურ ცვლილებებს უკავშირდება, შესაძლოა მილიონობით ადამიანს მოუწიოს მიგრაცია. განსაკუთრებული საფრთხე შეინიშნება ჩინეთში, გობის უდაბნოში, რომელიც წელიწადში 10 000 კვადრატული კილომეტრით ფართოვდება. გაეროს ანგარიშში ნათქვამია, რომ ეკომიგრანტებს ისეთივე დახმარება და ხელშეწყობა სჭირდებათ, როგორც პოლიტიკურ მიგრანტებს, ომებსა და ჩაგვრას რომ გაურბიან. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**ევროპა.** ევროპელი დიპლომატების აზრით, ბელორუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ აუცილებელია მკაცრი ღონისძიებების გატარება. შესაძლო ზომებს შორის არის სანქციების შემოღება ვაჭრობის სფეროში და უცხოური აქტივების გაყინვა. ამ შინაარსის რეკომენდაციები გამოთქვეს პრაღაში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციის "ფორუმ-2000"-ის მონაწილეებმა. დიდი ბრიტანეთის ელჩმა მინსკში ბრაიან ბენეტმა განაცხადა, რომ ბელორუსში დღითიდღე უარესდება ვითარება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. კონფერენციის კიდევ ერთმა მონაწილემ, რუსმა პოლიტიკოსმა ბორის ნემცოვმა ბელორუსს "ჭეშმარიტი დიქტატურა" უწოდა. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**ერაყი.** გუშინ განხორციელებული ტერაქტების სერიამ ათობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქვეყნის დასავლეთში მდებარე ქალაქ თალ-აფარის ბაზარში დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც, ტელეარხ "ალ-ჯაზირას" მონაცემებით, 30 ადამიანი დაიღუპა და 35 დაიჭრა. ამავდროულად, ბაღდადში კამიკაძე-ტერორისტმა დანაღმული ავტომანქანით ერაყელ ჯარისკაცებზე მიიტანა იერიში. წინასწარი მონაცემებით, 25-ზე მეტი ადამიანია დაღუპული.

რამდენიმე კვირის წინ აშშ-ს და ერაყის ჯარებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს ქალაქ თალ-აფარში, რომელიც ერაყში სუნიტური წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ ცენტრად ითვლება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ჰააგა**. გაეროს სამხედრო ტრიბუნალზე დაიწყო ყოფილი იუგოსლავიის არმიის სამი ოფიცრის სასამართლო პროცესი 1991 წელს ვუკოვარში მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით. ვუკოვარი ხორვატიაში მდებარეობს. სამ ოფიცერს - სამივე ეთნიკური სერბია - წაყენებული აქვს სამხედრო დანაშაულების და კაცობრიობის წინაშე დანაშაულების ბრალდება იმის გამო, რომ ჯარისკაცებს ნება დართეს, ვუკოვარის საავადმყოფოდან არასერბი პაციენტები და სხვა არასერბები წაეყვანათ მეზობლად მდებარე ბანაკში, 1991 წლის ნოემბერში. მოგვიანებით, სულ მცირე 264 ადამიანი, უმეტესწილად ხორვატები დახოცეს და მასობრივ საფლავში ჩამარხეს. სამივე სერბი ბრალდებებს უარყოფს. **24 საათი**

# აუცილებელი გაერო

სექტემბრის სამიტმა, რომელიც გაერო-ს დაარსებიდან სამოც წელს მიეძღვნა, ამ ორგანიზაციის ის მრავალმხრივი ძლიერი მხარეები და მნიშვნელობა აჩვენა, რაც საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს. სამწუხაროდ, სამიტმა გაერო-ს სისუსტეები და შეზღუდული შესაძლებლობებიც წარმოაჩინა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსგავსი საშინელების თავიდან ასაცილებლად შექმნილმა გაერო-მ, დღეისთვის საგრძნობლად გააფართოვა მანდატი მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად. მაგალითად, ახალ ათასწლეულში განვითარების მიზნების პროგრამამ, რომელსაც მხარი დაუჭირეს ხუთი წლის წინ ათასწლეულის სამიტზე, წარმოაჩინა საერთაშორისო თანამშრომლობის მტკიცე ნება, ებრძოლოს ნებისმიერი ფორმით გამოვლენილ სიღარიბეს მსოფლიოში და 2015 წლისთვის მიზანს მიაღწიოს.

არ არის იოლი ამგვარ საკითხებში პოლიტიკური თანხმობის მიღწევა, მით უმეტეს, თუ ინტერესთა მრავალფეროვნებას გავითვალისწინებთ, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. წარმატება დიპლომატიასა და მოთმინებას მოითხოვს, და ბოლო სამიტზეც გაერო-მ გააგრძელა სვლა იმ გზაზე, რომელიც მთელი კაცობრიობის კეთილდღეობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნას გულისხმობს.

უნდა ვაღიაროთ, რომ გაერო-ში აშშ-ს ელჩის ჯონ ბოლტონის მცდელობამ, ბოლო მომენტში სამიტის დასკვნით დეკლარაციაში ასობით ცვლილება შეეტანა, შეთანხმება, შესაძლოა წინასწარგანზრახულადაც, მოსალოდნელზე ნაკლებად დამაჯერებელი გახადა.

მართლაც, ბოლტონი ლამის განვითარების მიზნების ახალ ათასწლეულში მიმართული ყველა მინიშნების ამოღებას შეეცადა.

მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში შეერთებულ შტატებს ამ მორალური იმპერატიულობის დათმობა მოუწია. სამიტის დეკლარაციამ დახვეწილ დიპლომატიურ ენაზე ახალი წესები და მოვალეობები აღიარა. ვგონებ, ჩვენ ბოლოს და ბოლოს იმ სამყაროდ ვყალიბდებით, რომელშიც თითოეული ჩვენგანი თავისი ძმების დამცველია.

ბევრი ამტკიცებს, რომ ერაყის ომმა გაერო-ს უსარგებლობა და უუნარობა აჩვენა.

მე, პირიქით, ვამტკიცებ, რომ ერაყის ფიასკომ გვაჩვენა გაერო-ს დიდი მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა მომავალში მის კიდევ უფრო გაძლიერებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გაერო-მ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. გაერო-ს



სამწუხაროდ, გაერო-მ ვერ მოახერხა აეცილებინა საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო მოქმედებები აშშ-სა და სხვა ქვეყნების მხრიდან.

სთხოვეს შეეფასებინა მსოფლიოში უშუალო საფრთხე, რომელიც საომარ მოქმედებას საჭიროებდა. ყველა მონაცემის განხილვის შემდეგ, გაერო მივიდა დასკვნამდე, რომ ომის დასაწყებად დამაჯერებელი საფუძველი არ ყოფილა, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უეჭველად მისაღები იყო უწესრიგობის რისკი, რომლის შესახებაც ექსპერტების უმეტესობა აღნიშნავდა აღნიშნულ რეგიონში.

იმ დროიდან გაჩნდა ინფორმაცია არა მარტო მასობრივი განადგურების იარაღის არარსებობის შესახებ, არამედ იმის შესახებაც, რომ ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობებმა დამახინჯებული და დამაბნეველი ინფორმაცია გაავრცელეს. ისევე, როგორც არსებობს მრავალი მტკიცებულება, რომ ერაყის ხელისუფლებასა და "ალ-ქაიდას" შორის, პრაქტიკულად, არანაირი კავშირი არ ყოფილა - ყოველ შემთხვევაში ომამდე მაინც.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეთანხმებულმა დემოკრატიამ, - ალბათ, თვითნებური, გაუაზრებელი მოქმედებების ყველაზე მნიშვნელოვანმა წინააღმდეგობის გარანტიამ, იმუშავა გაერო-ში, მაგრამ არა აშშ-ში. სამწუხაროდ, გაერო-მ ვერ მოახერხა აეცილებინა საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო მოქმედებები აშშ-სა და სხვა ქვეყნების მხრიდან.

მას შემდეგ განვითარებული მოვლენები ცნობილია. როცა მასობრივი განადგურების იარაღი არ აღმოჩნდა, აშშ-მ და არცთუ ისე დიდმა "მსურველთა კოალიციამ" (უკვე შეთხელებულმა) თავდასხმის ახალი მიზეზი წარმოაჩინა - დემოკრატიისთვის ბრძოლა. ეს რომ თავდაპირველი ამოცანა ყოფილიყო, ბუნებრივია, ბევრი ქვეყანა დაუდგებოდა მათ გვერდში და, არა გვგონია ერაყი აღმოჩენილიყო პოტენციური სამიზნეების სიის სათავეში. ავტორიტარული რეჟიმების გადაყენება გაერო-ს მანდატს კიდევ უფრო გააფართოებდა, რაც ჩემი აზრით, აშშ-ს მხარდაჭერას სულაც არ დაიმსახურებდა.

ე.წ. დემოკრატიზაციის პროექტით დემოკრატიული პროცესების უარყოფა გაერო-ში, კარგს არაფერს უქადდა მსოფლიოს. აშშ-მ გარკვევით მიანიშნა, რომ გაერო-ს მხოლოდ ერთ გადაწყვეტილებასთან ითანამშრომლებენ - პრინციპი, რომლის შესაბამისად არც ერთ დემოკრატიულ ორგანიზაციას არ შეუძლია იმოქმედოს, რადგან გადაწყვეტილება, რომელიც ერთი წევრის სურვილს ეთანხმება, დიქტატურაა. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, თუ რა ძნელია თუნდაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოსთვის, დაამყაროს სტაბილური დემოკრატიული რეჟიმი.

ამგვარად, ერაყმა დაგვანახა გაერო-ს როგორც ძალა, ასევე შესაძლებლობების შეზღუდულობა. ამერიკელების უმრავლესობამაც კი უარი განაცხადა, გაერო-ს მანდატის გარეშე გაეგზავნათ ჯარი ერაყში. დემოკრატიული შეთანხმების პროცესმა თავისი გააკეთა და მისი საშუალებით სწორი პასუხი მივიღეთ, ამან უნდა განამტკიცოს გაერო-ს რწმენა.

მაგრამ აუცილებელია, გაერო გაძლიერდეს - თუნდაც სამშვიდობო ძალების მუდმივი დაფინანსების გზით. ხშირად გაერო-ს სამშვიდობო მისიების გაგზავნა განვითარებული ქვეყნების თანხმობას მოითხოვს, რაც პრაქტიკულად მათ (ამ ქვეყნებს) უფლებას აძლევს, ვეტო დაადონ გაერო-ს მოქმედებას.

ამავე დროს, გაძლიერებული ეკონომიური და ფინანსური საბჭო გაერო-ს საშუალებას მისცემს, რომ უფრო ეფექტური დებატები ჩაატაროს მსოფლიოს ეკონომიკური და ფინანსური სისტემის რეფორმებისთვის. დღეს ასეთი დებატები ხშირად საერთაშორისო სავალუტო ფონდზეა დამოკიდებული, სადაც განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ინტერესებია განმსაზღვრელი.

საბოლოო ჯამში ეს რეფორმები განხორციელდება. გლობალიზაცია უფრო მჭიდრო საერთაშორისო ინტეგრაციას გულისხმობს, რაც თავის მხრივ ერთობლივი მოქმედებების აუცილებლობას ნიშნავს. გაერო ამ მიზნისთვის შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციაა და მსოფლიოს ცვლილებასთან ერთად ისიც იცვლება. მაგრამ ნებისმიერი მნიშვნელოვანი რეფორმებისთვის ჩვენ მოგვიწევს ცდა, ვიდრე ამერიკის ადმინისტრაციის სათავეში არ მოვლენ ისინი, ვინც გლობალური ინტეგრაციის იდეას საქმით და არა მხოლოდ სიტყვით დაამტკიცებს.

*ჯოზეფ შტიგლიცი*
*ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში; კოლუმბიის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი.*
პროექტი სინდიკატი, 2005

# უცნობი თავისუფლება

გადაცემის სტუმარია პარლამენტარი მარიკა ვერულაშვილი

**ალექსანდრე ელისაშვილი** - საქართველოს პარლამენტი დღეს აპირებს რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით დადგენილების მიღებას. თქვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით, ეთანხმებით თუ არა ამ დადგენილებას?

**მარიკა ვერულაშვილი** - რა თქმა უნდა. ეს საკმაოდ კრიტიკული დადგენილებაა და საკმაოდ დროულიც. ჩემი მოსაზრებით, საკმაოდ სწორიც.

**ალექსანდრე ელისაშვილი** - მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ასევე მუშაობს პარლამენტი, უკავშირდება საბაჟო ტერმინალ "ოპიზას". უნდა დაკომპლექტდეს საპარლამენტო კომისია, რომელიც აღნიშნულ ტერმინალთან დაკავშირებულ სკანდალს გამოიკვლევს.

**მარიკა ვერულაშვილი** - ვთვლი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტმა ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან სიმართლე არის ერთი და ის გაირკვევა მაშინ, როდესაც აღნიშნული სამუშაო ჯგუფი დასკვნას დადებს. ყველა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. მით უმეტეს, თავად კობა ბექაური მომხდარზე აცხადებს, რომ მას არაფრის ეშინია. მინდა მჯეროდეს, რომ მას მართლაც არაფრის ეშინია და დიდი იმედით ველოდები კომისიის დასკვნას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ობიექტური იქნება. ყველას ინტერესშია, რომ დადგინდეს სიმართლე და არ აქვს მნიშვნელობა, კომისიის შემადგენლობაში ოპოზიციის წარმომადგენლები იქნებიან თუ პოზიციის.

**ალექსანდრე ელისაშვილი** - მე მახსოვს მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის პერიოდი, როდესაც თქვენ მასთან პრესმდივნად მუშაობდით. მაშინ მე აღფრთოვანებული ვიყავი იმით, რომ ეს უფერული თანამდებობა - იუსტიციის მინისტრის თანამდებობა, სააკაშვილის მისვლით ერთ-ერთ გამორჩენილ თანამდებობად იქცა. მაინტერესებს, ვინ გეგმავდა თანამიმდევრულ, ძალიან მიზანმიმართულ და ეფექტურ პიარს, რამაც მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი კიდევ უფრო გაზარდა?

**მარიკა ვერულაშვილი** - მიხეილ სააკაშვილმა მართლაც ძალიან კარგად იცის ის საქმე, რასაც ჩვენ ერთად ვაკეთებდით. თავიდან, მე ვიყავი ძალიან კარგი შემსრულებელი და დამხმარე. შემდეგ უკვე ჩვენ ერთად ვგეგმავდით ამ ყველაფერს. მაგრამ დამერწმუნე, ეს არ იყო მხოლოდ პიარი, ჩვენ მართლაც საქმეს ვაკეთებდით.

**ალექსანდრე ელისაშვილი** – და, ჩემი აზრით, ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი - ძალოვანი სამინისტროების პრესმდივნებთან მიმართებაში პირადად მე ძალიან ბევრი საყვედური მაქვს. მათ ეს სტრუქტურები, ფაქტობრივად, დახურეს და მხოლოდ იმ შემთხვევაში გვეკონტაქტებიან, როდესაც მათ ეს სურთ.

**მარიკა ვერულაშვილი** – ამასთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული საუბრებია და ახლა მნიშვნელოვან პროექტზე ვმუშაობთ. სავარაუდოდ, იქნება ადმინისტრაციის და ყველა უწყების პრესსამსახურის კოორდინირება. სხვათა შორის, მათთან ურთიერთობა მეც მიჭირს. დღეს არის შექმნილი რაღაც მონსტრი, რომელსაც დაერქვა პრესსამსახური და რომელმაც დაბლოკა და ყველას აუკრძალა ინფორმაციის ჟურნალისტებისთვის მიწოდება.

დამერწმუნეთ, რომ შემუშავებული პროექტით, უმოკლეს ვადებში ეს პრობლემა მოგვარდება, რადგან ჩემი მიზანია, ჟურნალისტებს მუშაობა გავუადვილო.

**ალექსანდრე ელისაშვილი** – "ვარდების რევოლუციის" პერიოდი რომ გავიხსენოთ. მაშინაც კი, მიხეილ სააკაშვილმა პიარით ათასჯერ დაჩაგრა მთელი ხელისუფლება. როგორ ახერხებდით მაშინ ამ ყველაფერს?

**მარიკა ვერულაშვილი** – ნამდვილად არ ვიცი, რა გითხრათ. ჩვენ ვმუშაობდით ჩვეულებრივ რიტმში და, უბრალოდ, საქმეს ვაკეთებდით. მგონი, კარგადაც გამოგვივიდა.

**ალექსანდრე ელისაშვილი** – ყოფილ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ტრადიცია ჰქონდა, ყოველ ორშაბათს რადიოინტერვიუს ატარებდა, რის შემდეგაც იყო ოფიციალური პრესკონფერენცია, შეხვედრა ჟურნალისტებთან. მსგავსი ტრადიციის დამკვიდრებას ხომ არ გეგმავს მიხეილ სააკაშვილიც?

**მარიკა ვერულაშვილი** – ახალ ინიციატივებზე მსჯელობა მიდის და ვფიქრობ, რამდენიმე კვირაში გადაწყვეტილება ნამდვილად იქნება მიღებული.


## ENGURI REHABILITATION PROJECT

The Independent Engineer Stucky JV SEE is seeking for a

**Junior Geologist**

The ideal candidate should have approximately 3 to 5 years practical field experience as Geologist. Further he should bilingual, Georgian and English, so that he could communicate with the Expatriate Staff.

Start of Work: As soon as possible
Working Place: Enguri Dam Site, Potsko-Etseri
Position: Site Geologist
Applications with CV shall be addressed to:

Mr. Martin Buchli, Resident Project Manager, e-mail: mbuchli@stucky.ch or

Mr. Martin Buchli
C/o PIU Office
50 Chavchavadze Ave.
0179 TBILISI

**For further information you can call Mr. M. Buchli, Tel. 8 215.5.22.93 (Site Office)**

## ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტი

დამოუკიდებელი ინჟინერი, ერთობლივი საწარმო "შტუკი" აცხადებს ვაკანსიას

**უმცროსი გეოლოგის თანამდებობაზე**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს 3-დან 5 წლამდე სამუშაო გამოცდილება აღნიშნულ სფეროში და უნდა ფლობდეს ინგლისურ და ქართულ ენებს.

სამუშაოს დაწყება: შეთანხმებისთანავე
სამუშაო ადგილი: ენგურჰესის კაშხალი, წალენჯიხის რ-ნი, ფოცხო-ეწერი.
თანამდებობა: უმცროსი გეოლოგი

განაცხადები რეზიუმესთან ერთად უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართებზე:

ბ-ნი მარტინ ბუქლი, პროექტის ადგილობრივი მენეჯერი, ელ. ფოსტა: mbuchli@stucky.ch ან

პროექტის აღმასრულებელი ბიურო
ჭავჭავაძის გამზ. 50
0179 თბილისი

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 8 215.5.22.93**

*მოკლედ*

## ბირმინგემში ტაისონის ქველმოქმედება არ სურთ

ინგლისის ქალაქ ბირმინგემის მცხოვრებლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ინტერნეტ-გამოკითხვაში, ერთსულოვნება გამოიჩინეს და მათ ქალაქში მაიკ ტაისონის ვიზიტის საწინააღმდეგოდ ხმათა 97 პროცენტი დააგროვეს. “რკინის მაიკს” ბირმინგემში სამი დღე უნდა დაეყო და ერთ-ერთ საქველმოქმედო ნადიმზე 60 ათასი ფუნტ სტერლინგის სანაცვლოდ საკუთარ ცხოვრებაზე საუბრით უნდა შეექცია საზოგადოება.

საქველმოქმედო ნადიმზე დასწრების მსურველს კი სანაცვლოდ 130 ფუნტი სტერლინგი უნდა გადაეხადა. მაგრამ ეგაა, ტაისონის ნადიმზე დასწრების შესაძლებლობამ რიგი საზოგადოებებისა თუ ორგანიზაციების მხრიდან მოწინააღმდეგეთა ტალღა ააგორა - გასამართლებული მოძალადის საქველმოქმედო საღამოზე არათუ დასწრება, არამედ ქვეყანაში შემოშვებაც არ შეიძლებაო. ასე რომ, მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის საქველმოქმედო აქციაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა, ჯერჯერობით, ჰაერშია გამოკიდებული. ტაისონის ბრიტანეთში ჩაყვანის ორგანიზატორის რეის ფიშერის თქმით, “რკინის მაიკი” ბირმინგემში ყოფნისას მონაწილეობას მიიღებს ქალაქის კეთილდღეობისთვის გათვალისწინებულ ღონისძიებებში.

## ჩია ჩინელის დიდი რეკორდი

ჩინელმა ძალოსანმა ქალმა იან ლანმა ორი ცდის ჯამში - აკვრასა და ატაცში 215 კილოგრამი დაძლია. წონა იმდაა მნიშვნელოვანი, რომ ის მსოფლიოს რეკორდის ტოლფასია. მსოფლიოს რეკორდი კი დამყარდა სრულად ჩინეთის მეათე ოლიმპიურ თამაშებზე. ამასთან ყველაზე მსუბუქ 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

უწინდელი რეკორდი - 210 კილოგრამი თურქ ნურკან ტაილანს ეკუთვნოდა და იგი შარშან ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დამყარდა.

## კოტ დ`იუარელები მსოფლიო ჩემპიონატს კავალრებად ეწვევიან

კოტ დ`იუარის პრეზიდენტმა ლორან გბაგბომ საკუთარი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების წევრები, მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გასვლისთვის ფულადი პრემიებით დააჯილდოვა. L`Equipe-ის ცნობით, თითოეული ფეხბურთელი 45 ათას ევროს მიიღებს. ასეთივე ფულადი პრემიები გადაეცემა გუნდის შტაბს. გარდა ამისა, მოთამაშეები და სამწვრთნელო შტაბის წევრები ქვეყნის უმაღლესი ჯილდოს კავალრებიც გახდნენ. ეგაა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ანრი მიშელი დაჯილდოების ცერემონიას ოჯახური პირობების გამო არ დასწრებია.

## ამერიკელებს სოფტბოლისა და ბეისბოლის დაბრუნება უნდათ

აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტი 2012 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სოფტბოლისა და ბეისბოლის ჩასმისთვის აქტიურად იბრძოლებს.

“ასოშეიტედ პრესის” ცნობით, ამის თაობაზე აცხადებს აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი პეტერ უბეროტი: “ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ ივლისის გადაწყვეტილებაზე ვიქონიოთ გავლენა (საქმე ისაა, რომ ივლისში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით სოფტბოლი და ბეისბოლი ოლიმპიური პროგრამიდან ამოიღეს.რედ.).

და კიდევ, საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ბეისბოლის მეიჯორ ლიგა (MLB) თავად გამოდის ლიგის მოთამაშეთა ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის წინააღმდეგ, უბეროტი განმარტავს, რომ MLB ასეთ პოზიციასთან დაკავშირებით საკუთარ მიდგომას გადახედავს.

## ტორინო-2006 ხელისუფლება ბიუჯეტს უკვეცავს

ტორინოს ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები, იტალიის ხელისუფლების წინადადებას 16 მილიონი ევროთი შემცირდეს თამაშების ბიუჯეტი, შეშფოთებას გამოთქვამს. “ასოშეიტედ პრესის” ცნობით, თამაშებისთვის გათვალისწინებული ფულადი სახსრების შემცირება, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს აღმოფხვრის. დეფიციტს, რომელსაც ევროკავშირის კანონმდებოლბა ითხოვს.

“რა თქმა უნდა, ამის გამო გულხელდაკრეფილი არ ვიქნებით, - იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჯანი პეტრუჩის სიტყვებს ციტირებს “ასოშეიტედ პრესი”. - იმედი გვქონდა, რომ იტალიაში ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მნიშვნელობა ყველას ჰქონდა გასიგრძეგანებული - დაწყებული ოპოზიციიდან ხელისუფლებამდე. ახლა კი ისევ იმ პრობლემასთან აღმოვჩნდით, რის წინაშეც ადრე ვიდექით”.

## ანრი „არსენალის„ ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე ხდება

ლონდონის “არსენალს” განზრახული აქვს საკუთარ თავდამსხმელს ტიერი ანრის ახალი ხელშეკრულება შესთავაზოს, რომლის მიხედვითაც “მეთოფეთა” ფრანგი ლეგიონერი გახდება კლუბის ისტორიაში ყველაზე მაღალანაზრაურებადი ფეხბურთელი. “როიტერის” ცნობით, “არსენალი” მზადაა, ანრის შესთავაზოს კვირაში 82 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი. საგულისხმოა, რომ ამჟამინდელი ხელშეკრულებით ფრანგი თავდამსხმელი მეთოფეებისგან იღებს 75 ათას ფუნტ სტერლინგს, მიმდინარე ხელშეკრულებას კი ვადა ეწურება 2007 წლის ივნისში.

## რაიკონენი „ფერარიში„ არ გადადისო

ფორმულა 1-ის ბინადარი საჯინიბოს “მაკლარენ-მერსედესის” შეფმა რონ დენისმა უარყო ხმები, რომლის მიხედვითაც გუნდის ფინელი მესაჭე კიმი რაიკონენი 2006 წლის დასრულებისთანავე “ფერარიში” უნდა გადაბარგდეს. დენისის თქმით, მას ესმის ჟურნალისტების, რომლებსაც არ სჯერათ თავად რაიკონენის.

“კიმიც და მისი მენეჯერიც მეუბნებოდნენ, რომ მას “ფერარისთან” არანაირ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია”, - გვარწმუნებს რონ დენისი.

გარდა ამისა, მაკლარენელთა ბოსმა გააკრიტიკა პრესის წარმომადგენლები, რომლებიც რაიკონენის მომავალთან დაკავშირებით ერთი და იგივე კითხვებს სვამენ. საქმე სიაა, რომ რაიკონენის ხელშეკრულებას “მაკლარენ-მერსედესთან” ვადა ეწურება 2006 წლის ბოლოს. საინფორმაციო საშუალებები კი ირწმუნებიან, რომ ფინელი მრბოლი “ფერარიში” გადადის, სადაც მიხაელ შუმახერი უნდა შეცვალოს.

## პოპესკუ პრეზიდენტის სავარძელშია

რუმინეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშე გეორგი პოპესკუ, რომელსაც ნაკრების ღირსება 115 მატჩში დაუცვია, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა. “როიტერის” ცნობით, 37 წლის პოპესკუმ პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ განაცხადა, რომ რუმინული ფეხბურთის პრესტიჟის ამაღლება სურს.

“ჩემი ლოზუნგია - “მე დავიცავ ფეხბურთს”. ჩემი საბოლოო მიზანია - რუმინეთმა უმასპინძლოს 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიას”.

*ფეხბურთი*

# კურიოზი

### საბერძნეთი (ახალგაზრდული) - საქართველო (ახალგაზრდული) 3:0

მიხეილ აბაიშვილი
*ათენიდან*

საბერძნეთის და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩი კურიოზით დაიწყო და გოლით გაგრძელდა. კურიოზი ჩვენს ეროვნულ ჰიმნს უკავშირდება. რატომღაც, შეხვედრის დაწყების წინ ახალი ჰიმნის ნაცვლად კოტე ფოცხვერაშვილის "დიდება" აჟღერდა. ფედერაცია არაფერ შუაშია: ჩვენებმა მატჩის დაწყებამდე ორგანიზატორებს მისცეს ახალი ჰიმნის ვიდეოჩანაწერი, მაგრამ ჰიმნი არა რადიოკვანძის, არამედ ცოცხალი ორკესტრის შესრულებით გაისმა, ბერძნებს კი მხოლოდ ძველი ჰიმნის ნოტები აღმოაჩნდათ.

გოლი კი პირველივე წუთზე გავიდა და, სამწუხაროდ, ჩვენს კარში. ქართველებმა ბურთთან ხეირიანად შეხებაც ვერ მოახერხეს, რომ მასპინძლებმა კუთხური ჩამოაწოდეს და კრისტოდოლოპულოსმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტის აღნიშვნა დამავიწყდა. თამაში გაიმართა სწორედ იმ ავადსახსენებელ "პანიონისის" სტადიონზე, სადაც თბილისის "დინამო" ზუსტად ერთი წლის წინათ სერიოზულ სკანდალში გახვეული აღმოჩნდა. შეგახსენებთ, რომ მაშინ, უეფას თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში, რომელიც ამ სტადიონზე გაიმართა "პანიონისსა" და "დინამოს" შორის, მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2. ამ შედეგის გამო ევროპულმა ტოტალიზატორებმა დაახლოებით 30 მილიონი დოლარი წააგეს და განგაში ატეხეს - გარიგებული თამაში იყოო. უეფამ გამოძიებაც კი წამოიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება. საბედნიეროდ, ევროპული ფეხბურთის მამებმა "დინამო" გარიგებულ თამაშში მონაწილეობაში უდანაშაულოდ სცნეს. გავანებოთ ამ სკანდალს თავი და ისევ გუშინდელ მატჩს დავუბრუნდეთ, რომლის პირველი ტაიმი ჩვენმა ახალგაზრდულმა აშკარად ჩააგდო. იშვიათი გამონაკლისის გარდა, თამაშს მასპინძლები აკონტროლებდნენ და ჩვენს კართან მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. ამ აქტიურობას მალე თოთლაძის კარში კიდევ ერთი გოლი მოყვა: იმავე კრისტოდოლოპულოსმა ზუსტი პასით მოძებნა პეტროპულოსი, რომელმაც ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ორამდე გაზარდა ანგარიში. შუალედში ფიფიამ გოცირიძე ბრწყინვალე პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და "ზესტაფონის" თავდამსხმელმა გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. თუმცა, ეს ეპიზოდური აქტიურობა აღმოჩნდა. ოცდამეათე წუთზე უკვე მეორე გოლის ავტორი პეტროპულოსი გამოირჩა შედეგიანი გადაცემით და პლიაგკარმა მესამედ შეარხია ჩვენი გუნდის კარის ბადე.



*ბერძნებმა ქართველ თანატოლებს შანსი არ დაუტოვეს.*

ტაიმი და თამაშიც ამ ანგარიშით, 3:0 დასრულდა მასპინძელთა სასარგებლოდ. შეხვედრის მეორე ნახევარი მხოლოდ იმით გამოირჩა, რომ შეცვლაზე შემოსული ხოჯავა ორმოცდამეათე წუთზე მსაჯმა წითელი ბარათით დამსახურებულად "დაასაჩუქრა". აღსანიშნავია, რომ ჩვენი ახალგაზრდულის მიერ აწ დასრულებულ შესარჩევ ციკლში ჩატარებული 12 შეხვედრიდან 11-ში ჩვენებმა წითელი ბარათების გამო კაცნაკლულებმა დაასრულეს თამაში.

"საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვენი გუნდის მოთამაშეთა უმეტესობა 1988 წელს დაბადებულია და მეტოქეები ჩვენს ფეხბურთელებთან შედარებით 4-5 წლით უფროსები იყვნენ. წაგება ყოველთვის დასანანია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბერძნებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს." - განაცხადა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა.

***საქართველო:*** *თოთლაძე, კალაძე, ელბაქიძე (ხორგუაშვილი 61), მჭედლიშვილი, ფიფია, ჟღენტი (ხოჯავა, 21), ჭელიძე, გოცირიძე, ლაფერაშვილი (თომაშვილი, 46), გვაძაბია, ჩირიკაშვილი.*

# ბოლო აკორდი

*დღეს ევროპის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის უკანასკნელი ტურის შეხვედრები. გაირკვევა იმ გუნდების ვინაობა ვინც ზაფხულში ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს და გამოვლინდებიან ისინიც, ვინც შეხვედრებში გაითამაშებს ფინალური ეტაპის დარჩენილ საგზურებს.*



*ზიდანის წინამძღოლობით საფრანგეთის ნაკრები კვიპროსის განადგურებას შეეცდება.*

პირველ შესარჩევ ჯგუფში ჰოლანდიის ნაკრებმა უკვე გაინაღდა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური. მეორე ადგილისთვის კი რუმინეთისა და ჩეხეთის ნაკრები გუნდები იბრძვიან. უფრო სწორად, ჩეხები იბრძვიან. რუმინელები კი უბრალოდ განაჩენს ელოდებიან. თუ ჩეხეთის ნაკრები ფინეთში მოიგებს, მაშინ რუმინელები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ჩეხებს, ისევე როგორც რუმინელებს გადათამაშების გარეშეც აქვთ შანსი პირდაპირ მოხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე. თუმცა ამისთვის ფანტასტიკა უნდა დატრიალდეს. შვედებმა შინ ისლანდიასთან მინიმუმ 10 ბურთის სხვაობით უნდა წააგონ.

ჩვენს მეორე ჯგუფში უკრაინის ნაკრებმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ გაინაღდა გერმანიის საგზური. მეორე ადგილისთვის კი უშეღავათო ბრძოლა მიმდინარეობს. ამ ბრძოლაში ფავორიტი თურქეთის ნაკრებია, რომელსაც ალბანეთის დამარცხება მართებს. თუ თურქები ამას ვერ მოახერხებენ, მაშინ მათ ყაზახეთთან გამარჯვების შემთხვევაში დანია გადაასწრებს. ხოლო, თუ დანიამაც ვერ იმარჯვა, მაშინ მეორე ადგილი საქართველოს დამარცხების შემთხვევაში ბერძნებს დარჩებათ.

მესამე ჯგუფში პორტუგალიამ დაიჯავშნა პირველობა და ზაფხულში გემრმანიაში ითამაშებს. მეორე ადგილის ბედი კი ბრატისლავაში გადაწყდება, სადაც ერთმანეთს სლოვაკეთისა და რუსეთის გუნდები შეეჯიბრებიან. სლოვაკებს წარმატების მისაღწევად ფრეც ხელს აძლევს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ ისრაელის ნაკრებს შესარჩევ ტურნირში თამაში არ წაუგია, ის მეოთხე ჯგუფს უდგას სათავეში, მაგრამ ჯგუფიდან ვერ გადის. არავისთვის საოცარი არ უნდა იყოს, რომ საფრანგეთი საკუთარ მინდორზე კვიპროსს იოლად გაუსწორდება. ხოლო, თუ დუბლინში ირლანდიისა და შვეიცარიის მატჩი ფრედ არ დასრულდა, მაშინ ისრაელი ჯგუფში რჩება. დუბლინური მატჩი კი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს. საფრანგეთს კი იმისთვის, რომ პირდაპირ გავიდეს ფინალურ ეტაპზე კვიპროსი 4-ით მეტი ბურთით უნდა დაამარცხოს, ვიდრე შვეიცარია ირლანდიაში გაიტანს. შვეიცარია ირლანდიაში ჩადის. თუ ბრიტანელები თამაშს მოიგებენ, მაშინ შვეიცარია მეოთხე ადგილზე დარჩება, ხოლო ფრის შემთხვევაში შვეიცარიელები ისრაელს უკეთესი მაჩვენებლის წყალობით გადაასწრებენ.

მეხუთე ჯგუფში ყველაფერი ცნობილია. იტალიელებს შეუძლიათ გერმანიის ბილეთები შეუკვეთონ. ნორვეგია კი გერმანიის საგზურისთვის გადათამაშებაში იბრძოლებს. ნორვეგიელებს ქულებით შეიძლება სლოვენია დაეწიოს, მაგრამ სკანდინავიელებს უკეთესი ბალანსი აქვთ ურთიერთშეხვედრებში.

ინგლისის - პოლონეთი რამდენიმე ტურის წინათ გადამწყვეტად მიიჩნეოდა მეექვსე ჯგუფში გამარჯვებულის გამოსავლენად, მაგრამ ახლა ეს შეხვედრა უბრალო ფორმალობად იქცა, რადგან ორივე გუნდმა უკვე გაინაღდა გერმანიის საგზური. ფინიშამდე ერთი ტურით ადრე ცნობილი გახდა, რომ ამ ჯგუფის მეორე ადგილოსანი ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებლის მქონეა შესარჩევ ჯგუფში და საგზურს ავტომატურად ინაღდებს.

სერბებს იმისთვის, რომ ჯგუფში პირველობა მოიპოვონ ყოფილი თანამემამულე ბოსნიის დამარცხება ჰმართებთ. ესპანელებისთვის კი სან-მარინოს ძლევაა აუცილებელი. ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე სერბები გავლენ, ხოლო გადათამაშებაში ძალებს ესპანეთის ნაკრები მოსინჯავს.

ხორვატებს უკვე შეუძლიათ გერმანიის სტადიონებზე საბრძოლველად მოემზადონ. უნგრეთში დამარცხების შემთხვევაში და შვედების ისლანდიაზე გამარჯვების შემთხვევაშიც კი გარანტირებული აქვთ ხორვატებს გერმანიის საგზური. რადგან ისინი პოლონეთისა და ინგლისის ჯგუფის არ იყოს საუკეთესო მეორე ადგილოსნები არიან. თავს მშვიდად შვედებიც გრძნობენ. იმისთვის, რომ სკანდინავიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვონ აუცილებელია მათ შინ არ წააგონ ისლანდიასთან მატჩი 10 და მეტი ბურთის სხვაობით.

სამხრეთ ამერიკის ზონაში ასეთი სიტუაციაა. არგენტინამ, ბრაზილიამ, პარაგვაიმ და ეკვადორმა უკვე გაინაღდეს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები. გადათამაშებაში მოსახვედრად კი ურუგვაი, კოლუმბია და ჩილე იბრძვიან. მიუხედავად იმისა, რომ ურუგვაი მეტოქეებს ერთი ქულით უსწრებს, მას ნამდვილად არ აქვს სახარბიელო მდგომარეობა, რადგან ურუგვაელებს არგენტინის დამარცხება ჰმართებთ. "ჩვენ გვაქვს იმის შემართება, რომ ჩვენი ძალები ერთ მუშტად შევკრათ და არგენტინა დავამარცხოთ" - განაცხადა ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა ხორხე ფოსატიმ. თუ ფოსატის გუნდმა მართლაც იმარჯვა, მაშინ კოლუმბიისა და ჩილეს მონაწილეობით შეხვედრები უბრალო ფორმალობად გადაიქცევა.

აზიიდან მსოფლიო პირველობაზე კვალიფიკაცია იაპონიამ, ირანმა, საუდის არაბეთმა და სამხრეთ კორეამ გაიარეს. ცენტრალური ამერიკიდან მექსიკამ, აშშ-მ და კოსტა-რიკამ. მსოფლიო ჩემპიონატზე კიდევ ერთ საგზურს ამ რეგიონების წარმომადგენლები ურთიერთშეხვედრებში გაითამაშებენ.

კონკაკაფის ზონაში გადათამაშებაში მოსახვედრად ტრინიდადისა და გვატემალას გუნდები იბრძვიან. აზიიდან კი გადათამაშებას ასრულებენ უზბეკეთისა და ბაჰრეინის გუნდები. მათ შორის გამარჯვებული ერთადერთი ვაკანტური საგზურისთვის ტრინიდადი და ტობაგოს ან გვატემალას შეხვდება. უნდა ითქვას, რომ საშინაო ფრის შემდეგ - 1:1 უზბეკეთის ნაკრების შანსი განმეორებითი მატჩის წინ მნიშვნელოვნად შემცირდა. შეგახსენებთ, რომ ბაჰრეინში გუნდები დღეს ითამაშებენ.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

**"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (სსე) - სახელმწიფო კომპანია, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის გადაცემას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:**

**პროექტების მენეჯერი**

**როლი:**

პროექტების მენეჯერი პირდაპირ ანგარიშვალდებული იქნება გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის აღმასრულებელ დირექტორთან და პასუხისმგებელი იქნება გადაცემის სისტემაში მიმდინარე მთავარი პროექტების განხორციელებაზე სსე-ს პოლიტიკისა და ბიზნეს სტრატეგიის გათვალისწინებით.

მისი მოვალეობები მოიცავს პროექტების მოცულობის განსაზღვრას, პროექტების აღწერილობას, დიზაინს, დანახარჯების გამოთვლას, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას, ტენდერის შედეგების ანალიზსა და კონტრაქტორების მართვას.

**მოთხოვნები:**

კანდიდატი უნდა ფლობდეს უნივერსიტეტის საინჟინრო კვალიფიკაციას და სულ მცირე 10 წლის მუშაობის გამოცდილებას ელექტროენერგეტიკულ ინჟინერიაში, რომლიდანაც 5 წელი დიზაინისა და პროექტების მენეჯმენტის სფეროში მიღებული გამოცდილება იქნება.

გარკვეული უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს, ვინც მოახდენენ პროექტების მენეჯმენტში თვალსაჩინო გამოცდილების დემონსტრაციას და შეეძლებათ თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა და განახორციელონ დასახული ამოცანები.

**ანაზღაურება შრომის ბაზარზე მიღებული ანაზღაურების კონკურენტუნარიანი და გამოცდილებისა და გაწეული სამუშაოს შესაბამისი იქნება.**

**განაცხადის ფორმა:**

განაცხადის ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ კადრების განყოფილებაში. რეზუმეები (CV) გაუგზავნეთ კადრების აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ გულსუნდა ტოლიაშვილს ფოსტით შემდეგ მისამართზე: თბილისი, ბარათაშვილის ქ. 2, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა," ან ელექტრონული ფოსტით: gulsunda.toliashvili@gse.com.ge. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 26 ოქტომბერი.

# ქართული ფოლკლორი რევოლუციისთვის ემზადება

სოფო კილასონია

*ზუსტად არ ვიცი, მსმენელი რამდენად იცნობს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს. არც ის ვიცი, რამდენად დაინტერესებულია საზოგადოება ჩვენი ფოლკლორული ხელოვნების პრობლემებით. თუმცა, სიტყვა-პრობლემები-ტყუილად არ მითქვამს. ისინი ნამდვილად არის და ამის შესახებ შესაძლოა, ცოტანი, მაგრამ მაინც მსჯელობენ.*

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს დაარსების დღიდან გიორგი უშიკიშვილი ხელმძღვანელობს. მათ მიერ არაერთი მნიშვნელოვანი პატარა პროექტი განხორციელდა, მაგალითისთვის. ისინი უკვე დიდი ხანია, რაც რეგიონებსა და სოფლებში ხალხურ სიმღერებს იწერენ, არქივების ჩანაწერებს აახლებენ და დისკებად ავრცელებენ. ამჯერად ცენტრი ბევრად უფრო მასშტაბურ და ფართო პროექტს შეეჭიდა. მან ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალი წამოიწყო. რეგიონალური კონკურსები საბოლოოდ შეჯამდება, გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან, ერთმანეთს მოუსმენენ და საბოლოოდ ის სინამდვილე და ჭეშმარიტება გამოჩნდება რაც ქართველებს გაგვაჩნია, რაც ჩვენს ჭეშმარიტ ფოლკლორს წარმოადგენს. დათვალიერება-ფესტივალი მთელი წელი გაგრძელდება, მისი პრეზენტაცია კი ბათუმში გალა კონცერტით გაიხსნა. 30 სექტემბერს საღამოს, ბულვარის ცენტრში მოწყობილ სცენაზე რეგიონებიდან ჩამოსული ხელოვანები ავიდნენ და ბათუმლებს ისეთი ლამაზი კონცერტი აჩუქეს, როგორიც მათ დიდი ხანია, აღარ ახსოვდათ. საკონცერტო პროგრამა ერთგვარი ორიგინალობით გამოირჩეოდა. კონცერტი გახსნა ანსამბლმა "ბერმუხამ" ხულოდან. მისი წარმომადგენლები 70-80 წლისანი არიან, მიუხედავად ამისა, მოცეკვავეები დიდი ენთუზიაზმით გამოირჩეოდნენ, მონაწილეებს შორის იყვნენ ხარაგაულის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც დიდი ტრადიციები და ისტორია ჰქონია, ათწლიანი შესვენების შემდეგ სუხიშვილებისა და "ერისიონის" ყოფილი მოცეკვავე ომარ ხუბაევი ისევ სცენაზე ავიდა და მთელი ხუთი წუთიც ერებზე იარა. ისეთი ოსური ცეკვა გვაჩვენა, როგორიც კარგა ხანია, რაც არ გვინახავს. კიდევ იყვნენ ანსამბლები მესტიიდან, ოზურგეთიდან. კონცერტში მონაწილეობდნენ "თბილისელი" ანსამბლებიც. მათ შორის "როკვა" თავისი უკვე პოპულარული რაჭული ცეკვით, "ფესვები" - იმერული სიმღერების იმპროვიზირებით და, რაღა თქმა უნდა, კონცერტი თავად "ლაშარმა" დაამშვენა. ფესტივალი დათვალიერება მშვენივრად გაიხსნა და წინ პატარ-პატარა რეგიონალურ-რაიონული კონცერტები იქნება.

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის მიზანია, ქართული, ასევე საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის, ფოლკლორის დარგებისა და ჟანრების ნიმუშთა მოძიება-გამომზეურება და დღეს არსებული ცოცხალი ფოლკლორული ყოფის რეალური სურათის წარმოჩენა. დათვალიერება-ფესტივალში მონაწილე მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ კოლექტივებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს მოეთხოვებათ" ფოლკლორის სიწმინდის დაცვა, თავისი კუთხის ტრადიციების მოძიება და გაცოცხლება, ხალხური საშემსრულებლო მანერის შენარჩუნება და კიდევ სხვა მრავალი. ამ ყოველივეს ვკითხულობთ კონკურსის დებულებაში, მაგრამ მხოლოდ დებულების გაცნობით არ შემოვიფარგლებით. გიორგი უშიკიშვილთან ამ კონკრეტულ პროექტზე საუბარმა ფართო ხასიათი შეიძინა, ჩემი რესპონდენტი ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე ალაპარაკდა:

"სახელმწიფო ანსამბლი ამ ყველაფერში არ მიიღებს მონაწილეობას, იგი, ჩემი აზრით, არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნას, რომელსაც ქართული ფოლკლორი ჰქვია. რამდენიმე წელია, არავის ხმა არ ამოუღია იმ უმსგავსობაზე, რომელიც აქ ხდება. მე მინდა, აღვნიშნო ერთი რამ, როცა საუბარი გვაქვს სახელმწიფო დაკვეთაზე, მგონია, რომ შესაბამისი უნდა იყოს მუშაობაც. მაგრამ, როცა გაქვს კომერცია აწყობილი და ამით შოულობ ფულს, ბუნებრივია, რომ უკვე სხვა გზით მიდიხარ და არც არავინ უნდა გკითხოს თუ რა პრინციპით მუშაობ. არადა, აქაც უნდა იყოს დაბრკოლება. ეს არის ეროვნული კულტურის საგანძური. აქედან გამომდინარე, პრობლემა სერიოზულია. მით უფრო, სიმღერაში, რადგანაც აქ სერიოზული კადრების ნაკლებობაა. ფაქტობრივად, 70-იანმა წლებმა სერიოზული დაღი დაასვა სიმღერას. ჩამოყალიბდა დაკომპლექსებული მანერა ქართული სიმღერისა. გააკეთეს ძალიან დიდი გუნდები. მღერის 20 პირველი ხმა, 30 - მეორე, რაოდენობები ძალიან დიდია. ფაქტობრივად სიმღერა დაკომპლექსდა. მეტსაც გეტყვით, 15 წლის განმავლობაში სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს პროგრამა არ შეუცვლია. რომ გადავხედოთ არქივებს, მივხვდებით რამდენი სიმღერა კვდება. როცა სახელმწოფო გაფინანსებს და შენ არ შედიხარ არქივში, არ აღადგენ სიმღერებს, რათა ისინი საზოგადოების მეხსიერებაში მაინც დარჩეს, რა თქმა უნდა, ეს არის დანაშაული. პრობლემები სხვაცაა. რაც არ უნდა სიმღერები გამოვცეთ და უნიკალური ჩანაწერები გავაკეთოთ, თუ არ გვეყოლება თაობა, ეს დარგი მკვდარია. რეგიონებში ამ მხრივ ძალიან რთული სიტუაციაა. სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრი პირდაპირ მოუწოდებს მათ: არ იმღერონ ისე როგორც ამას ერისიონი ქადაგებს! ამიტომაც ისინი ძალიან მარტივ კითხვას სვამენ, - მაშინ რატომაა ის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი? ამიტომ ძალიან ძნელია, ეს ავუხსნათ. ვიგონებთ, რომ ეს არ არის სახელმწიფო სტრატეგია და ა.შ. მე მაქვს ასეთი პოზიცია: ბუნებრივია, უნდა არსებობდეს ალტერნატივა ფოლკლორისა, სწორედ ამად შეიძლება ჩაითვალოს სუხიშვილები, ის უკვე ფოლკლორული ცეკვის ალტერნატივაა, მაგრამ ფაქტი იმისა რომ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ერთი კარგად დაფინანსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც გამოიყენებს იმ ხალხს, რომელიც სახლში ზის, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, და რომ უნდა იყოს სწორად განვითარებული ტენდენციები, რომ უნდა იყოს პროგრამა, რომელიც ახალ სიტყვას იტყვის. რაც მთავარია, ეს უნდა იყოს ახალგაზრდული ანსამბლი, ამის აუცილებლობა აშკარაა. ასე თუ არ მოხდება, მე შემიძლია პირდაპირ გავაკეთო პროგნოზი იმისა, რომ 5-6 წელიწადში ძალიან რთული მდგომარეობა გვექნება."







ფაქტია, რომ სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს ანსამბლი, რომელიც ყოველგვარი გვერდითი ინტერესების გარეშე, ყოველგვარი შოუს ელემენტებისგან დაცლილი და კომერციული ინტერესებისგან შორს იმუშავებს. ნუთუ ამოცანა შეინარჩუნო და განავითარო ხალხური ხელოვნება მთელი თავისი ატრიბუტებითა და სირთულეებით დიდი პასუხისმგებლობაა? დიახ, ასეა, უმრავლესობა ანსამბლებისთვის მოთხოვნები მწირია, მათთვის მეტია საჭირო. საერთაშორისო აღიარება და საავტორო ამბიციები, მათი დამსახურებული წარმატებების გარანტიაა, თუმცა ამით ჩვენს ჭეშმარიტ და უნიკალურ ფოლკლორულ ხელოვნებას დიდი ვერაფერი შეღავათი. იგი დღითი დღე იცვლის სახეს და როგორც რესპონდენტი მეუბნება - იკარგება.

**"მხოლოდ საუბარი არ კმარა და ამიტომაც გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა ეს ფესტივალი. ეს რეგიონების ხალხის დასაქმებაა, მათ უნდა წარმოადგინონ შემოქმედება. იქ ჩავლენ სპეციალისტები, მისცემენ კონსულტაციებს, დაფიქსირდება თუ როგორ მდგომარეობაშია ესა თუ ის დარგი და როგორ უნდა ვითარდებოდეს ის - ეს აუცილებელია. ფოლკლორში არის ერთი პატარა რევოლუცია მოსახდენი. არ შეიძლება ხალხურ სიმღერას მღეროდნენ მხოლოდ ოპერის მომღერლები, არ შეიძლება მღეროდე ისე, რომ არ აზროვნებდე და რაც მთავარია, მღეროდე ყვირილით, დღეს 80 პროცენტი ყვირის. ხალხური სიმღერა არის აზროვნება და იმპროვიზაცია. ისე როგორც ჯაზი, როცა ადამიანი განცვიფრებს აზროვნებით და იმპროვიზაციით, მსგავსია ფოლკლორი და ხალხური სიმღერა. ანსამბლი, რომელიც ხალხურ სიმღერას ფონოგრამაზე იმღერებს, მასზე რაღა უნდა ვილაპარაკოთ? ეს უკვე სირცხვილია."**

**P.S. ფესტივალი-კონკურსი ტარდება ორ ტურად. პირველი იქნება რაიონული ტური. მასში მონაწილეობა შეეძლება ყველა მსურველს, ვინც შეავსებს ცენტრის მიერ წარმოდგენილ ანკეტებს, რომლებიც გაზეთ "24 საათში" დაიბეჭდება. უკვე რეგიონალურ ტურში კონკურსის პარალელურად იგეგმება მასტერკლასები. ფესტივალი დასრულდება 2006 წლის ოქტომბერში. გამარჯვებულ კონკურსანტებს საშუალება მიეცემათ, ჰქონდეთ აუდიო-ვიდეო ჩანაწერები და მონაწილეობა მიიღონ საბოლოო გალა კონცერტებში.**






# კოტე დგებუაძე

## სამი დღე ერთად, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე

ია ვექუა

ქართველი კოტე დგებუაძე დღემდე სოხუმში ცხოვრობს და იმავე ადგილას მუშაობს, სადაც 1993 წლის 27 სექტემბრამდე მუშაობდა. დაბა აგუძერას ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში მის გარდა კიდევ რამდენიმე ქართველი მუშაობს, მაგრამ მათ კოლეგად აღარ ითვლება კოტე სიჭინავა - იგი აფხაზური მხარის მიერ სამხედრო დამნაშავედაა მიჩნეული და ვიდრე კონფლიქტი არ დასრულდება, სოხუმში ვერასდროს ჩავა.

კოტე სიჭინავა თავის ოჯახთან ერთად 12 წლის წინ იძულებით გადაადგილდა და მას შემდეგ ათასობით სხვა დევნილის მსგავსად თბილისში ცხოვრობს - ენატრება ზღვა, ომამდელი სოხუმის ხედებს გონებაში ჩარჩენილი კადრების მიხედვით ხატავს და მხოლოდ დევნილებისთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმით სჯერა.

დედით ქართველი ანატოლი ფაჩულია აფხაზია. ოდესღაც ის და კოტე სიჭინავა ერთად მუშაობდნენ და დღემდე ახსოვთ, როგორ თამაშობდნენ შესვენებაზე ფეხბურთს. დღეს კი ყოფილ მეგობართან მხოლოდ ტელეხიდის მეშვეობით, ისიც მეგობრებისთვის ნაკლებად დამახასიათებელი განწყობით საუბრობს.

ეს ორი ადამიანი იმ დოკუმენტური ფილმის მთავარი გმირები არიან, რომლის ჩვენება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა. ფილმი "ერთად და ცალ-ცალკე" "ინტერნიუსის" საქართველოს ოფისის მიერაა გადაღებული. რეჟისორია ოლეგ ხარენკარი, რომელიც, როგორც ჩანს, შეგნებულად მოერიდა ზედმეტ, ხშირ შემთხვევაში, მომაბეზრებელ სენტიმენტალობას და მაყურებელს ტექნიკურად დაწურული, ადვილად აღსაქმელი და მაქსიმალურად ინფორმაციული ნამუშევარი შესთავაზა.

ფილმის ინფორმაციულობა არ გულისხმობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მიზეზებისა და შედეგების გარჩევას - აქ კარგადაა გადმოცემული ორივე მხარის რიგითი წარმომადგენლების დამოკიდებულებები, ერთმანეთისადმი განწყობა და სურვილები. კოტე სიჭინავა და ანატოლი ფაჩულია თითქმის ერთი საათის განმავლობაში (ფილმში ეს დრო სამ დღეზეა გადანაწილებული) არა მხოლოდ ომსა და შერიგებაზე საუბრობენ, არამედ იმასაც იხსენებენ, ერთად როგორ უსმენდნენ ზღვას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ქართველ კოტეს კიდევ უნდა ამ ხმის მასთან ერთად მოსმენა, ხოლო აფხაზი ანატოლი მის სურვილს პოლიტიკურად დალაგებული ტექსტებითა და მხოლოდ გამარჯვებულისთვის დამახასიათებელი ტონით ეწინააღმდეგება.




*კადრი ფილმიდან.*

ფილმში ჩანართების სახითაა წარმოდგენილი ახლანდელი თბილისისა და სოხუმის კადრები. კოტეს კომენტარის ფონზე ანატოლი ეცნობა, რა ძველი უბანია მთაწმინდა, როგორ გამოიყურება თბილისის ცენტრალური ნაწილი და როგორი ლამაზი გოგონები დასეირნობენ ქუჩებში. ანატოლის კი მისთვის მხოლოდ სოხუმის სანაპიროს შეთავაზება შეუძლია, ქალაქის დანარჩენი ნაწილი ისეთივეა, როგორც ომის შემდგომ პერიოდში. ცენტრში მდებარე შენობები დანგრეული და დამწვარია, ქუჩები მოუწყობელი. თუმცა ბოლოს მაინც სიამაყით აღნიშნავს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ის და მისნაირები დამოუკიდებლები არიან და კარგ საქართველოს აფხაზეთში ცუდად ცხოვრება ურჩევნიათ.

"ეს ბარათაშვილის ქუჩაა!" - კოტე ვერ ითმენს და სოხუმის კადრების კომენტირებას თავად აგრძელებს. "ამ ქუჩას სახელი გადაარქვეს. ახლა არ მახსენდება, რა ჰქვია", - ანატოლი თავის აქტივში მორიგ ქულას იწერს.

სამი დღე მალე გადის და ფილმის გმირები ერთმანეთს ემშვიდობებიან, კოტე ანატოლის სოხუმში სტუმრობას ჰპირდება და ამბობს, რომ ეს იმაზე მალე მოხდება, ვიდრე წარმოუდგენია. ანატოლი კი მას წინასწარ ტრანსპორტის არჩევას სთხოვს: "ამჯერად ტანკებით ნუ ჩამოხვალთ!"

P.S. კოტე ვერ იხსენებს ანატოლის მიერ დასახელებულ კოტე დგებუაძეს. "სიამოვნებით გავიცნობდი ხელახლა", - ამას კოტე სიჭინავა უახლოეს მომავალში გეგმავს.

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## შერიგების ჰიმნი



ჰიმნის პრეზენტაციაზე 87 წლის აფხაზმა ქალმა ტატიანა აქუბამ აფხაზურად ითხოვა, მშვიდობით დამაბრუნეთ ჩემს სახლშიო.

ზაზა ფაჩუაშვილი

ქართულ-აფხაზური შერიგების ჰიმნის პრეზენტაცია ქართულ-რუსულ-აფხაზური ურთიერთობის ფრიად რუხ ფონზე გაიმართა:

სამხრეთ რუსეთის საპარლამენტო ასოციაციამ თავის რიგებში სათათბირო ხმის უფლებით მიიღო აფხაზეთი. ამ ფაქტის კომენტირებისას, ასოციაციის თავმჯდომარემ ვიტალი ლიხაჩოვმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე გაიმართა ცხარე დებატები და კონფერენციაზე რამდენჯერმე გამოცხადდა შესვენება. ბოლოს მაინც გაბედეს და, ლიხაჩოვის თქმით, ეს იმიტომ მოხდა, რომ: "არ უნდა დაგვავიწყდეს, აფხაზეთის ტერიტორიაზე 90 პროცენტი, რუსეთის მოქალაქე ცხოვრობს და ეს რესპუბლიკა რუსეთს უყურებს, როგორც პარტნიორს."

იუნესკო-ს მოსკოვის ბიუროს საიტზე გამოჩნდა რუკა, რომლის თანახმად, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის შემადგენლობაშია მოქცეული. ეს "შეცდომა" მხოლოდ საქართველოს მხრიდან ძლიერი ოფიციალური პროტესტის შემდეგ გაასწორეს.

რუსეთის საინჟინრო აკადემიამ აფხაზეთს სოხუმში ფილიალის გახსნა შესთავაზა.

პოლიტიკოსების მხრიდან კი შემდეგი ხასიათის განცხადებები გაკეთდა: სერგეი ბაბურინი, რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის მოადგილე - "აფხაზეთი იყო და არის მთელი რუსეთის სიამაყე და იმედი. აფხაზეთი ნამდვილი სრულუფლებიანი შემდგარი სახელმწიფოა. აღიარება, არაღიარება... ვინ მოიგონა ეს კლასიფიკაცია? ვინ თქვა, რომ გაეროს წევრობა ნიშნავს არსებობას? გაეროში ისეთი ქვეყნებიცაა, რომლებიც სახელმწიფოს არც კი წარმოადგენენ."

სერგეი ბაგაფში, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი - "1993 წლის 30 სექტემბერს აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორია საქართველოს ოკუპირებისაგან საბოლოოდ გათავისუფლდა. საქართველოს მიერ თავსმოხვეული უსასტიკესი ომი ჩვენთვის გადაიქცა სამამულო ომად დამოუკიდებლობისათვის. გამარჯვება შედეგი იყო ჩვენი გაერთიანებისა ქართველი აგრესორის წინააღმდეგ. გამარჯვებას მივაღწიეთ იმითაც, რომ ჩვენთან ერთად იბრძოდნენ ჩვენი სისხლისმიერი ძმები – ჩრდილო კავკასიელები, კაზაკები და მოხალისეები მთელი რუსეთის ფედერაციიდან.

ჭეშმარიტი გმირობისა და გამძლეობისათვის განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო და გამარჯვება მივულოცო ჩვენს პირველ პრეზიდენტს ვლადისლავ გრიგორის ძე არძინბას..." და ასე შემდეგ.

ეს ის შემთხვევაა, როცა საშინელი ძალა მართლაც უსინდისოდ ხნავს აღმართს და აღმართის პატრონები სულ ფეხებზე ჰკიდია. ერთი წინ ჰყავს გარეკილი, მეორე კი სადღაც შორს, დაბლა დატოვებული, და ასე თანდათან აშორიშორებს ერთმანეთს.

ქართულ-აფხაზური ჰიმნის კლიპის რეჟისორი ირინა ბოკუჩავა აცხადებს, რომ სჯერა ქართველთა და აფხაზთა გონიერებისა. ამას იმიტომ ამბობს, რომ, როგორც ჯერჯერობით ჩანს, ქართველებს და აფხაზებსაც ფეხებზე ჰკიდიათ ერთმანეთი და ამით იმ ურჩხულ ძალას კიდევ უფრო აძლიერებენ. ცხადია, ორივე მხარეს არიან ადამიანები, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება ყოფილი მოძმე ხალხების შერიგებას მიუძღვნეს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. სხვათა შორის, ამ მშვიდობისმყოფელი ადამიანების სახეებს კლიპშიც იხილავთ.

ქართულ-აფხაზური ჰიმნი კი ასეთი ადამიანების მხრიდან შერიგების კიდევ ერთი მოწოდებაა. სხვა თუ არაფერი, იმისთვის მაინც უნდა ვიყოთ მზად, რომ როცა აღმართის მხვნელ ძალას ძალა გამოელევა და ძირს ჩამოგორდება, ერთმანეთისკენ გადავაბიჯოთ.

## შეხვედრა კოდორში

ლელა მარგიანი

*იმ კულტურული აქციის შესახებ, რომელიც აფხაზეთის ახალგაზრდული საქმეების სამმართველომ კოდორის ხეობაში განახორციელა, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ იმ დღეებში არანაკლებ საყურადღებო ფაქტიც მომხდარა. ქართველებთან შესახვედრად სოხუმიდან აფხაზებიც ამოსულან და გულიანადაც უსაუბრიათ. შემდეგ რამდენიმე ქართველი სოხუმშიც წასულა. ამ შეხვედრების შესახებ გვესაუბრება აფხაზეთის ახალგაზრდული საქმეების სამმართველოს ხელმძღვანელი არჩილ ჩხეიძე.*



ფეხით კოდორისაკენ.

არჩილ ჩხეიძე: "სექტემბრის შუა რიცხვებში, ჩვენი სამმართველოს თხუთმეტკაციანი დელეგაცია ოთხი დღის განმავლობაში ხეობაში ვიმყოფებოდით. ყველას საოცარი განცდა დაგვეუფლა, როდესაც ჭუბერი-საკენის უღელტეხილზე იმ ადგილებს შევუყევით ფეხით, სადაც რამდენიმე წლის წინათ, ცნობილი მოვლენების დროს, მშვიდობიანი მოსახლეობა გაუსაძლის პირობებში სამშვიდობოს გადმოდიოდა. უღელტეხილის ყველაზე მაღალ ადგილზე ჩვენ წუთიერი დუმილით და ლოცვით პატივი მივაგეთ იმ დღეებში დაღუპულთა ხსოვნას.

პირველ საღამოს სოფელ ჩხალთაში საკმაოდ გვიან ჩავედით, რის გამოც კოდორის ახალგაზრდობასთან შეხვედრა ვერ მოხერხდა, თუმცა ისინი, თურმე, გვიანობამდე გველოდნენ. მეორე დღეს ჩამოფრინდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი სალომე კაპანაძე. ჩვენ მასთან ერთად მივედით აჟარის საშუალო სკოლაში, სადაც მობრძანდა მეუფე დანიელი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

ჩვენი პირველი შეხვედრა ხეობის ახალგაზრდობასთან და სკოლის მოსწავლეებთან სწორედ აჟარის სკოლაში შედგა. ჩვენ იქაურებს ჩავუტანეთ წიგნები, პირველკლასელებს - ჩანთები და სახელმძღვანელოები. ჩვენმა სამმართველომ ცალკე საჩუქარი მოუმზადა კოდორის ახალგაზრდობას და ამით დანაპირებიც შეუსრულა. აჟარისა და ჩხალთის საშუალო სკოლებს გადავეცით მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, ფრენბურთის ბადეები, სხვა სპორტული ინვენტარი: ბურთები, მაისურები, ჟილეტები, კეტები. ასევე, პირველკლასელებისთვის საკანცელარიო ნივთები (ხეობაში სულ 316 მოსწავლეა).

მეორე დღეს შეხვედრა გვქონდა კოდორის ხეობის ახალგაზრდობასთან. ისინი ძალიან კეთილგანწყობილნი იყვნენ ჩვენს მიმართ, გვქონდა სერიოზული დისკუსიები სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე. მათი საუბრიდან ცალსახად გამოიკვეთა მათი დიდი გულისტკივილი იმის თაობაზე, რომ კოდორის მოსახლეობას ცენტრალური ხელისუფლებისგან მეტი ყურადღება სჭირდება და ეს ყურადღება მხოლოდ ზამთრისთვის საჭირო პროდუქტების ხეობაში შეტანით კი არ უნდა ამოიწურებოდეს, არამედ კოდორელებს, პირველ ყოვლისა, "ცენტრიდან" სულიერი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ.

სულ უბრალო მაგალითიც კი საკმარისია იმის დასტურად, თუ რაოდენ მიტოვებულია კოდორის ხეობა: თუ ჩვენს ტექნიკურ საუკუნეში, დედაქალაქში ველარავის გააკვირვებ კომპიუტერით, კოდორის ხეობაში "წამლად" ერთი კომპიუტერიც კი არა აქვთ. იქ არ არსებობს არც ერთი კლუბი, არ არსებობს არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, არ არის ახალგაზრდობის კულტურული დასვენების არც ერთი კერა.

სწორედ ამიტომ, შევიმუშავეთ ახალგაზრდული კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი კოდორის ხეობის ახალგაზრდობისათვის. გვინდა, ჩვენი ძალისხმევით იქ გავხსნათ კომპიუტერული ცენტრი, ხელი შევუწყოთ ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნას. იქ არც ცეკვის წრეებია და არც მუსიკის მასწავლებელი ჰყავთ. ჩვენ ამაშიც გვინდა დავეხმაროთ კოდორელებს.

**- ვიცი, რომ თქვენ აფხაზებთანაც გქონდათ შეხვედრა.**

- მართალი ბრძანდებით, სწორედ ჩვენი მასპინძლის ვაჟიშვილის საშუალებით მოხერხდა აფხაზ ახალგაზრდებთან შეხვედრა. ოთხი აფხაზი სპეციალურად ჩვენთან შესახვედრად ამოვიდა სოხუმიდან ხეობაში. მათთან დიდხანს ვისაუბრეთ ჩვენს საერთო პრობლემებზე, იმაზე, რაც ჩვენც და აფხაზებსაც გვაწუხებს. ისინი აღიარებდნენ, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ და რომ ისინი გველოდებიან. ჩვენი აზრები ერთ რამეშიც ემთხვეოდა ერთმანეთს, რომ ჩვენ - აფხაზებიც და ქართველებიც - რუსების მიერ კარგად დადგმული პროვოკაციის მსხვერპლნი ვართ. მართლაც დაუვიწყარი შეხვედრები იყო.

ამის შემდეგ ჩვენი ორი თანამშრომელი რამდენიმე დღე კიდევ დარჩა და ჩვენი მასპინძლების დახმარებით ისინი სოხუმში წაყვნენ აფხაზებს, ყოველგვარი შიშისა და უნდობლობის გარეშე. მათ რამდენიმე დღე დაჰყვეს სოხუმში, იქაც ჰქონდათ შეხვედრები აფხაზ ახალგაზრდებთან. მერე, კოდორის ხეობის გავლით, კვლავ თბილისში დაბრუნდნენ.

**- როგორი ურთიერთობა აქვთ კოდორელებს აფხაზებთან?**

- უნდა აღინიშნოს, რომ კოდორის ხეობის მოსახლეობას დღემდე კარგი ურთიერთობა აქვს აფხაზებთან. ხეობაში ხშირად ამოდიან სოხუმიდან, ეკონტაქტებიან, საერთო გეგმებზე და პრობლემებზე საუბრობენ. არც ჭირი და ლხინი ავიწყდებათ ერთმანეთის. ესაა სწორედ ჭეშმარიტი სახალხო დიპლომატია.

**- მომავალში რისი გაკეთება გინდათ ამ კუთხით?**

- ჩვენ ახლო მომავალში ხეობაში სტუმრობას კვლავ ვგეგმავთ. გვინდა, დანაპირები შევუსრულოთ და ცნობილი მხატვრული კოლექტივები ჩავუყვანოთ, ისეთები, ვისაც ხეობაში ჩასვლა არ შეეშინდება (პირველი სტუმრობისას აფხაზეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი უნდა ჩაგვეყვანა, მაგრამ ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზთა გამო, მათ კოდორში წამოსვლაზე უარი განაცხადეს. ამით ძალიან დაწყვიტეს გული იქაურებს).

უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს რამდენიმე პიროვნებასთან, რომელთაც ჩვენი შეთავაზება დიდი სიხარულით მიიღეს.

მინდა აღვნიშნო, რომ ხეობაში სტუმრობის პერიოდში, მიუხედავად უმძიმესი ეკონომიკური პირობებისა, ჩვენ იქაურების ყურადღება არ მოგვკლებია. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩხალთის გამგებელს, ქალბატონ ნორას, რომელმაც ჩვენს თხუთმეტკაციან დელეგაციას საკუთარ სახლში უმასპინძლა და ბოლოს "გამოცილების" საღამოც კი მოგვიწყო.

## აფხაზეთის მთავრობის პრიორიტეტი

*როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის სექტემბერში გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში ჩატარდა ადგილობრივი მოსახლეობის მრავალპროფილიანი სამედიცინო გასინჯვები. ამის შესახებ გვესაუბრება აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ელგუჯა ბერია:*

- კოდორის ხეობის მოსახლეობის სოციალური პრობლემების დარეგულირება აფხაზეთის ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანია. ზემოაღნიშნული მიზნობრივი ღონისძიება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, ბატონ ირაკლი ალასანიას ინიციატივით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ბატონ ლადო ჭიპაშვილის მხარდაჭერით აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 8-12 სექტემბერს ჩატარდა.

ამ აქციაში მონაწილეობდა 19 ექიმი-სპეციალისტი: 3 თერაპევტი, 3 პედიატრი, კარდიოლოგი, ქირურგი, ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი, გინეკოლოგი, სტომატოლოგი, დერმატოლოგი, ნევროპათოლოგი, ექოსკოპისტი, აგრეთვე, 2 ექიმ-ლაბორანტი და ელექტრო-კარდიოგრაფიის მედდა.

ხეობაში მივლინების პერიოდში გავსინჯეთ 500-ზე მეტი მცხოვრები, მათ შორის, 101 ბავშვი და 10 ორსული. ვიზიტების საერთო რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა. ჩატარდა 185 ულტრაბგერითი, 112 ელექტროკარდიოგრაფიული და 198 ლაბორატორიული გამოკვლევა. ამასთან, განხორციელდა 44 ექსტრაქცია (კბილის ამოღება). ბინაზე მოვემსახურეთ 10 მძიმე ავადმყოფს.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ბატონ ირაკლი ალასანიას ინიციატივით, ავადმყოფებს, რომლებიც კვალიფიცირებულ ან სპეციალიზებულ სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ, მკურნალობის ღირებულება აუნაზღაურდებათ აფხაზეთის მთავრობის მიერ.

1995 წლიდან ჩვენს სამინისტროს ხეობაში არაერთი ანალოგიური აქცია აქვს ჩატარებული, მაგრამ წლევანდელი მაინც გამორჩეული იყო თავისი მასშტაბურობით, სოციალური ორიენტირებულობით, სპეციალისტთა რაოდენობითა და მაღალი კვალიფიკაციით, მაღალი სადიაგნოსტიკო შესაძლებლობებით, მედიკამენტების მრავალფეროვნებით, აფხაზეთის მთავრობის განსაკუთრებული დაინტერესებით.



მიღებაზე ბევრი კოდორელი მოვიდა.

**- რამდენად შეძლო სამინისტრომ ხეობის მცხოვრებთა მედიკამენტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება?**

- აქციის მიმდინარეობის დროს გამოვლენილ ავადმყოფებზე ჩვენებების მიხედვით გაცემული იქნა 78 დასახელების სამკურნალწამლო საშუალება, რომლებიც სწორედ ამ მიზნით იყო შეძენილი აფხაზეთის მთავრობის ფინანსური დახმარებით. დარჩენილი მედიკამენტები სოფელ აჟარის უბნის საავადმყოფოს გადაეცა.

**- როგორც ითქვა, ყურადღება გამახვილდა ინვალიდებზე, პენსიონერებზე, სოციალური დახმარების მიმღებ კატეგორიებზე.**

- დიახ, ამ მიმართულებას სამინისტრო იმთავითვე ითვალისწინებდა. ვინაიდან კოდორის ხეობაში ბევრი იყო ისეთი ავადმყოფი, რომლებიც უსახსრობისა და სატრანსპორტო მიმოსვლის დიდი სიძნელეების გამო ვერ ახერხებდნენ ჩამოსვლას ინვალიდობის ჯგუფის დასადგენად. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ჩვენს მიერ მიღებული იყო გადაწყვეტილება - ადგილზე ჩატარებულიყო საექიმო-საკონსულტაციო კომისიის გამსვლელი სხდომა. ამ სხდომაზე გატარდა 30 ადგილობრივი ავადმყოფი, მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროზე წარსადგენად და მათთვის შეზღუდული შესაძლებლობის (ინვალიდობის) შესაბამისი ჯგუფის განსაზღვრისათვის, რაც შესაძლებელს გახდის პენსიის დანიშვნას.

ხეობაში აღრიცხული იქნა 112 პენსიონერი, რომელთაც რიგი მიზეზების (უმთავრესია ხეობასა და გარესამყაროს შორის სატრანსპორტო მიმოსვლის განსაკუთრებული სირთულეები) გამო, პირველადი რეგისტრაციის გავლა ვერ შეძლეს. საქართველოს სოციალური დაზღვევის ფონდთან უკვე მიღწეულია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ადგილზე შესაბამისი სამუშაოს ჩატარების შემდეგ აღნიშნულ პირებს დაენიშნებათ პენსიები.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან ჩვენი მომსახურების არეალშია აფხაზეთიდან დევნილი, სოციალური დახმარების მიმღები კონტინგენტები (მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები, უსინათლოები, ინვალიდი ბავშვები). ამ მიმართებით არსებობდა დოკუმენტაცია 71 პირზე. მაგრამ იმის გამო, რომ ეს მასალა, რბილად რომ ვთქვათ, მოკლებული იყო სისრულესა და სიზუსტეს, ადგილზე კარდაკარ შემოვლით გადამოწმებულ და დაზუსტებულ იქნა ამ კატეგორიის პირები. არსებული სიიდან "ამოვარდა" 10 მცხოვრები, მაგრამ დამატებით გამოვლინდა 12 ისეთი პიროვნება, რომელთაც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური დახმარება დაენიშნებათ.

**- საიდუმლო არ არის ის გარემოება, რომ ხეობის მცხოვრებთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა – ეს არის დასაქმების პრობლემა. რა გეგმები გაქვთ დასახული ვითარების გამოსწორების მიზნით?**

- ჩვენ სათანადო კონტაქტები გვაქვს შესაბამის სამსახურებთან, შემუშავებული გვაქვს დასაქმების პროგრამები. ჩვენს სამინისტროსთან ერთად, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს (ბატონი ლევან ფერაძე), მიერ კოდორის ხეობაში ტარდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციოლოგიური ანკეტირება "სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში. მისი შედეგების გათვალისწინებით და ადგილობრივი სპეციფიკის მხედველობაში მიღებით შემუშავდება სპეციალური მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც მნიშვნელოვანი აქცენტი გადატანილი იქნება ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჭარბი რაოდენობის რეალიზაციაზე, რაც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს.

**- მალე ხეობა ჩაიკეტება, რა კეთდება მოსახლეობის მომარაგებისთვის?**

- მთავრობის თავმჯდომარის, ბატონ ირაკლი ალასანიას ინიციატივით ხეობაში უკვე შეტანილია სურსათ-სანოვაგის და პირველადი აუცილებლობის საგნების გარკვეული მარაგი. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა კვლავაც გრძელდება, რაც საბოლოო ჯამში, შესაძლებელს გახდის მოსახლეობის სათანადოდ უზრუნველყოფას.

აღნიშნულ მნიშვნელოვან ღონისძიებასთან მიმართებაში, ისევე, როგორც რიგი სხვა სოციალური პრობლემის დარეგულირებაში, აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის მხარდაჭერასა და თანადგომას.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციისგან, რომელსაც ქალბატონი გიული ალასანია კურირებს, მიიღო თანხმობა კოდორის ხეობაში მნიშვნელოვანი ტვირთის, პირველ რიგში, აჟარის უბნის საავადმყოფოს აღჭურვილობის (მათ შორის, ულტრაბგერითი სკანერი (ექოსკოპი), საოპერაციო კრებული და ბევრი სხვა აუცილებელი აპარატურა და ხელსაწყო) შეტანის თაობაზე.

**- თქვენთან ერთად ხეობაში ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი მეუფე დანიელიც ბრძანდებოდა.**

- ცხადია, რომ მოსახლეობის ფიზიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა უდიდესი საქმეა. მაგრამ, როცა ამ მნიშვნელოვან მომენტს სულიერი მისია უძღვის წინ, ეს უსათუოდ ღვთის ნების გამოვლინებაა. ჩვენი მასშტაბური ღონისძიების პერიოდს დაემთხვა მეუფე დანიელის ვიზიტი ხეობაში, რამაც უარლესად დადებითი გავლენა იქონია არა მარტო კოდორის ხეობის მოსახლეობაზე, არამედ ჩვენს სამედიცინო პერსონალზეც. მეუფე დანიელი ზრუნავს უმთავრესზე – ადგილობრივ მცხოვრებთა სულიერებაზე. ჭეშმარიტად ბედნიერნი ვიყავით, როცა თვალნათლივ ვიხილეთ და ვიგრძენით ქრისტეს სჯულისადმი ტრადიციულად უსაზღვრო ერთგულება და თავდადების მზადყოფნაც, რაც ჩვენი ერთიანობისა და ძალის ურღვევი სიმბოლოცაა.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ხეობის მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა აღნიშნული ღონისძიების ჩატარებით და იმედოვნებს, რომ ანალოგიური დახმარება აფხაზეთის მთავრობის მხრიდან შემდგომშიც გაგრძელდება.

*ინტერვიუ მოამზადა აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფმა*

### გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები



გადაღებულია 1996 წელს, ვარჩეში ( სოხუმთან ახლოს), სიჭინავების ოჯახში. აფხაზი მეზობლები იური სიჭინავას ქელეხის სუფრაზე.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს და საიტზე - www.yourabkhazia.ge; www.forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# "მესამე რომი" -

## რუსეთის სახელმწიფოს იდეოლოგიის საფუძველი

რევაზ ლომინაძე

სხვა ქვეყნების მსგავსად, რუსეთის სახელმწიფოს ფორმირება-განვითარების ერთ-ერთ საფუძველს გარკვეული იდეოლოგია წარმოადგენდა, რომელიც დიდად განსაზღვრავდა ამ სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობას, ხასიათსა და მისწრაფებებს.

XV ს. ბოლოს ძველი რუსეთის (კიევის რუსეთის) მიწა-წყლის ჩრდილო- აღმოსავლეთი ნაწილის გაერთიანებამ და თათართა ულლისაგან განთავისუფლებამ (1480წ.) მოსკოვის სამთავრო ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ აქცია. ახალ პირობებში შემდგომი სახელმწიფოებრივი მშენებლობა დიდი მთავრის ხელისუფლების გაძლიერებას, ცხოვრების ყველა სფეროში მნიშვნელოვან ცვლილებებს და საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ხელსაყრელი პოზიციის დაკავებას მოითხოვდა. ამის განხორციელებისათვის რუსეთის მმართველ წრეებს, სხვა საშუალებებთან ერთად, სჭირდებოდა ისეთი იდეოლოგია, რომელსაც შეეძლო მათი მოქმედების გამართლება როგორც საკუთარი ხალხის, ისე უცხო ქვეყნების მოსახლეობის თვალში. ასეთი იდეოლოგიის საფუძვლად მოსკოვის "მესამე რომად" გამოცხადება იქცა.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის ძმისშვილზე სოფია პალეოლოგზე მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის (1462-1505 წწ.) დაქორწინებით გადაიდგა. ეს 1472 წელს მოხდა. სოფიამ თან ჩამოიტანა ბიზანტიის ყოფილი დიდების ანარეკლი, რომლის მემკვიდრედ ამიერიდან რუსეთი უნდა ქცეულიყო. კრემლში დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ქორწინება რუს ხელმწიფეებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში ყველა იმ უფლებას მიანიჭებდა, რასაც ოდესღაც ფლობდნენ ბიზანტიის იმპერატორები. ამიტომაც მოსკოვში სოფიას აფასებდნენ არა იმდენად როგორც რუსეთის დედოფალს, რამდენადაც როგორც ბიზანტიელ პრინცესას. ისიც ყოველმხრივ ცდილობდა ამ თავისი უპირატესობის საჯაროდ წარმოჩენას. სოფია ხშირად უცხო ქვეყნების ელჩობებს პომპეზურად ღებულობდა, რითაც იმის დემონსტრირებას ახდენდა, რომ მან, როგორც ბიზანტიის საიმპერატორო სახლის მემკვიდრემ, თავისი მაღალი უფლებები მოსკოვში გადმოიტანა და მეუღლეს უწილადა. ამის დადასტურებად ისიც უნდა გამხდარიყო, რომ ივანე III-ის ბეჭედზე გაჩნდა ბიზანტიის გერბის ორთავიანი არწივი (რომში ორთავიანი არწივის გერბის გაჩენა უკავშირდება კონსტანტინე დიდის (IV ს. დასაყისი) და იუსტინიანე I-ის (VI ს.) მმართველობის პერიოდს, როცა ორივე იმპერია - აღმოსავლეთისა და დასავლეთის, - გერბებად ერთთავიანი არწივი რომ ჰქონდათ, ერთი სკიპტრის ქვეშ გაერთიანდა). მალე ორთავიანი არწივი და მოსკოვის სამთავროს ძველი სიმბოლო - წმინდა გიორგის გამოსახულება გააერთიანეს, ამას სხვა ელემენტებიც დაუმატეს და ეს ჰერალდიკული ნაზავი რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალურ გერბად მიიღეს.

ამ ტენდენციას კარგად აუღეს ალღო საეკლესიო მოღვაწეებმა და პუბლიცისტებმა. მათი კონცეფციებით, ბიზანტიის დაცემის (1453 წ.) შემდეგ ჭეშმარიტი სარწმუნოების ცენტრად იქცა მოსკოვი, რაც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან შედარებით რუსეთის უპირატესობას ადასტურებდა. მიტროპოლიტი ზოსიმა ივანე III-ს პირდაპირ უწოდებდა "ახალ მეფე კონსტანტინეს", ხოლო მოსკოვს "კონსტანტინეს ახალ ქალაქად" (ე. ი. მეორე კონსტანტინოპოლად) მოიხსენიებდა.

მალე რუს პოლიტიკოსებს ბიზანტიის საიმპერატორო სახლთან მარტო საქორწინო დამოყვრება ეცოტავათ და უმაღლესი ხელისუფლების მსოფლიო ნიმუშთან - ძველი რომის იმპერატორებთან სისხლით ნათესაობის დამტკიცებაც გადაწყვიტეს. XVI ს. პირველ ნახევარში შეთხზულ "თქმულებაში ვლადიმირის მთავრებზე" და სხვა პუბლიცისტურ ნაშრომებში ის იდეაა გატარებული, რომ ქალაქი ვლადიმირი არის კიევის პოლიტიკური მემკვიდრე, ხოლო ვლადიმირისა - მოსკოვი. ავტორებს მოსკოვის მთავრების ძველი კიევის მთავრებთან მემკვიდრეობითი კავშირების დადგენა იმისთვის დასჭირდათ, რომ "დაემტკიცებინათ" მათი ხელისუფლების წარმომავლობა რომის იმპერატორისაგან. მათი ვერსიით, მთელი სამყაროს მფლობელმა იმპერატორმა ავგუსტუსმა, როცა დაძაბუნდა, თავისი სამფლობელო ახლო ნათესავებს დაუნაწილა. მდინარეების ვისლასა და ნემანს შორის ტერიტორია ერგო მის ძმას - პრუსს, რომლის შთამომავალი (მეთოთხმეტე მუხლში) - რიურიკი რუსი მთავრების მამამთავარი იყო. ისინი "ასაბუთებდნენ" აგრეთვე რუს ხელმწიფეთა მთავარი სიმბოლოს - "მონომახის ქუდის" ბიზანტიიდან მიღებას, რომელიც თითქოს ჯერ კიდევ X ს-ში კიევის მთავარს ვლადიმირს, ტახტზე ასვლისას, მისმა პაპამ (დედის მხრიდან), ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა გამოუგზავნა (სინამდვილეში კონსტანტინე მონომახი ვლადიმირის აღზევებამდე დიდი ხნით ადრე გარდაიცვალა). ყოველივე ეს კი, ავტორების ჩანაფიქრით, ადასტურებდა მთელ მართლმადიდებლურ ოიკუმენეში ბიზანტიელ და რუს ხელმწიფეთა ერთობლივ ბატონობას.

ასე ახდენდა XVI საუკუნის პირველი ნახევრის პუბლიცისტიკა კიევის მთავრების (და, მაშასადამე, მათი შთამომავლების - მოსკოვის მთავრების) მაღალი წარმომავლობის, მათი გვირგვინის სიძველის და ბიზანტიიდან მიღების იდეების დეკლარირებას. ამ იდეებმა ოფიციალური პოლიტიკური კონცეფციის ხასიათი შეიძინა, ფართოდ გავრცელდა და ნიადაგი მოამზადა თეორიის - "მოსკოვი - მესამე რომი" გაჩენისათვის. ეს ძირითად ხაზებში პირველად ფსკოველმა ბერმა ფილოფეიმ ჩამოაყალიბა. ღვთის რჩეულ ხალხებსა და მსოფლიო სამეფოთა მემკვიდრეობის შესახებ ბიბლიურ წარმოდგენებზე დაყრდნობით, ის ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის ისტორია ქრისტიანობის იდეის მატარებელი სამი მსოფლიო სამეფოს თანმიმდევრობით მონაცვლეობაა. ამ ბერის მიხედვით, პირველი ორი - რომისა და ბიზანტიის (მეორე რომი) სამეფოები ქრისტიანობის ღალატის გამო დაეცნენ. მათი ისტორიული მემკვიდრე კი მოსკოვის რუსეთია, რომელსაც, როგორც მართლმადიდებელი სარწმუნოების ერთადერთ დამცველს, დაღუპვა არ უწერია. დიდ მთავარს ვასილი III-ს (1505-1533 წწ.) ფილოფეი სწერდა, რომ ყველა მართლმორწმუნე ქვეყანა მის სამეფოში გაერთიანდება, რადგან მართლმადიდებლურ სამყაროში ის ერთადერთი მეფეა, ხოლო მოსკოვი მესამე და უკანასკნელი რომიაო.

ფილოფეის მიერ ვასილი III-ის მეფედ მოხსენიება კარგად ეხმიანებოდა თვით მთავრის მისწრაფებებს, რომელიც უკვე არასაკმარისად თვლიდა საკუთარი ხელისუფლების იმ წყაროს, რომელიც მამა-პაპათა მემკვიდრეობას გულისხმობდა. ახლა მან ამის უმაღლეს დონეზე აყვანა და ყოველგვარი მიწიერი იურიდიული საფუძვლისაგან განთავისუფლება მოიწადინა. ჩნდება კიდეც მისი ხელისუფლების ზეციური, ღვთიური წარმომავლობის იდეა, რომელიც იმდროინდელმა პოლიტიკურმა ლიტერატურამ აიტაცა და თავისი ხელმწიფე არა მარტო და არა უბრალოდ ბიზანტიის იმპერატორების და მთელი მათი ძლიერებისა და ბრწყინვალების მემკვიდრედ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, "ღვთის რჩეულად", "ღვთის კურთხეულად", " თვითმპყრობელად" და ა. შ. გამოაცხადა.

ყოველივე ეს სათანადო გარეგნულ გამოხატულებას პოულობს მთავრის სასახლეში გამართულ მანამდე არნახულ დიდებულ ცერემონიალებსა და მკაცრი ეტიკეტის დაცვაში, რაც აქ სოფია პალეოლოგმა დაამკვიდრა. სწრაფად ქრებოდა ხელმწიფესა და ხალხს შორის ადრინდელი უბრალო და სადა ურთიერთობა. უკვე ვასილი III-ის დროს უმაღლესმა ხელისუფლებამ თავის ირგვლივ შექმნა ის შარავანდედი, რომელმაც იგი მკვეთრად განაცალკევა მთელი დანარჩენი საზოგადოებისაგან. ხალხს შთააგონეს, რომ დიდი მთავრისადმი უსიტყვო მორჩილება ქრისტიანის უმაღლესი სათნოებაა, რადგან ხელმწიფე თვით ღმერთის განსახიერებაა დედამიწაზე.

ასე განდიდებული მთავრები შინაგანი მმართველობის აქტებში საკუთარ თავს ზოგჯერ უკვე სრულიად რუსეთის მეფედ (царь) ასახელებენ (ტერმინი "царь" ლათინური სიტყვის "caesar" ("კეისარი") სამხრეთ სლავური და რუსული ფორმაა), ხოლო 1547 წ. ივანე IV მრისხანე მეფედ აკურთხეს კიდეც. ესეც ხაზს უსვამდა იმას, რომ რუსი ხელმწიფეები იყვნენ რომისა და ბიზანტიის მეფეთა ხელისუფლების მემკვიდრენი.

ამგვარად ჩამოყალიბდა რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალის სახე, რომელიც სამი ძირითადი ნიშნით ხასიათდებოდა: ღვთიური წარმომავლობა, კიევის დიდი მთავრის ვლადიმირ მონომახის პირდაპირი მემკვიდრეობის საბუთით საერთო რუსული ეროვნული მნიშვნელობა და დაცემულ ბიზანტიასთან საეკლესიო-ისტორიული კავშირის საფუძველზე მთელ მსოფლიოში მართლმადიდებლობის პოლიტიკური წარმომადგენლობა.

ამ ნოვაციების დანერგვისა და ათვისების შემდეგ მოსკოვის მთავრები უკვე ასე იწოდებოდნენ: "იოანე" (მთავრები აღარ კადრულობდნენ ტრადიციულ რუსულ სახელს "Иван" და უკვე საეკლესიო ფორმით "Иоанн" იწერებოდნენ - რ. ლ.), ღვთის წყალობით სრულიად რუსეთის ხელმწიფე...". ამ ტიტულს, როგორც მისი ისტორიული გამართლება, მოსდევდა ყოფილი საუფლისწულო სამთავროებისა და გეოგრაფიული სახელების გრძელი სია, რომლებიც მიუთითებდნენ რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებს: "... და ვლადიმირის, და მოსკოვის, და ნოვგოროდის, და ფსკოვის, და სხვათა დიდი მთავარი". ახალ-ახალი ტერიტორიების მიერთების კვალობაზე ხდებოდა ამ ტიტულის შევსება. მოგვიანებით ამ ჩამონათვალში ხვდებიან იმ ქვეყნების სახელებიც, რომლებიც თუმცა ჯერ არ იყვნენ რუსეთთან მიერთებული, მაგრამ მისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. საინტერესოა, რომ უკვე XVI ს. მეორე ნახევარში, საქართველოს მიერთებამდე ორი საუკუნით ადრე, როცა ამ ქვეყნებს შორის პოლოტიკური ურთიერთობები მხოლოდ იწყებოდა, რუსეთის მეფეების ტიტულში, ზემოთ აღნიშნულის დამატებით, ჩნდება სიტყვები: "... და ივერიის მიწა-წყლის, ქართლისა და საქართველოს მეფეთა ხელმწიფე" (აქ უადგილოა ამ ტერმინების სისწორეზე საუბარი).

აი, ასეთი გზით და ასეთი "მყარი" არგუმენტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე თეორიამ "მოსკოვი - მესამე რომი" საბოლოო, დასრულებული სახე მიიღო. ეს იყო მთელი პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ახასიათებდა არა იმდენად არსებულ, რამდენადაც სასურველ, ჯერ კიდევ მოსაპოვებელ მდგომარეობას და ფართო საგარეო პოლიტიკურ მისწრაფებებზე იყო ორიენტირებული. წარმოდგენა მოსკოვზე, როგორც "მესამე რომზე", რუსი ფილოსოფოსების, მწერლების, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეების აზროვნებაში ტრანსფორმირდებოდა მთელ მართლმადიდებლურ სივრცეში რუსეთის ბატონობის დამყარების უფლების წარმოდგენაში, რაც მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობის განუყოფელ თვისებად იქცა. მათი ზეგავლენით უბრალო ხალხშიც ჩნდება რწმენა მოსკოვის, როგორც ყველა მართლმადიდებლური ქვეყნის ხელმძღვანელის, როლზე, და, აქედან გამომდინარე, საკუთარ თავზე, როგორც ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოების ერთადერთ მატარებელზე. რელიგიური უპირატესობის ამ რწმენამ, თავის მხრივ, რუს ხალხში წარმოშვა წარმოდგენა სხვა ხალხებთან შედარებით მის უდიდეს აღმატებულებაზე. რუს ხალხს არ ეეჭვებოდა, რომ ღვთის რჩეული იყო და ღმერთმა მონობის ჯოჯოხეთის ცეცხლში (თათარ-მონღოლთა ულელი) იმიტომ გამოსცადა, რომ ახლა სხვა ხალხებზე მაღლა დაეყენებინა.

პოლიტიკური თეორია "მოსკოვი - მესამე რომი" რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგიის საფუძვლად იქცა. მან სათავე დაუდო აგრეთვე რუსი ხალხის წარმოდგენათა სისტემის, მისი იდეალის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა რუსეთის საერთო მიზანი. ამ თეორიის საფუძველზე რუსი მეფეები ყოველთვის მიისწრაფოდნენ, თავის პოლიტიკურ ინტერესებში აქტიურად გამოეყენებინათ ბიზანტიის მორალური პრესტიჟი, ცდილობდნენ სხვადასხვა საშუალებებით გაემაგრებინათ რუსეთის უფლების განცხადება ბიზანტიის მემკვიდრის როლზე და ამით აემაღლებინათ საკუთარი ავტორიტეტი მართლმადიდებელ ხალხებში. მოსკოვი იმედოვნებდა, რომ მართლმადიდებლობის დაცვის რელიგიური მოტივის გამოყენებით მოხერხდებოდა ამ ხალხებში პოლიტიკური გავლენის დამკვიდრება და, საბოლოოდ, მათი დამორჩილება. მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს ექსპანსიის გამამართლებელი ეს დოქტრინა უნაყოფო დოგმად რჩებოდა მანამ, სანამ მოსკოვს არ შეეძლო მისი ძალით განმტკიცება. ექსპანსიის მასშტაბები, რომლის ფარგლები არასდროს განუსაზღვრავთ, ყოველთვის იარაღის წარმატებაზე და რუსეთის სახელმწიფოს კოლონიზატორულ წინსვლაზე იყო დამოკიდებული. მრავალი მაგალითის მოტანა შორს წაგვიყვანს. საკმარისია ითქვას, რომ ამის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურება საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობათა მწარე ისტორიაა.





# ტელეკომპანია 202

## პროპაგანდა, დებატები...



/წამყვანები - ფამილარულად მოსაუბრე გოგონა და ბიჭი, სათვალით - მაღალ სკამებზე სხედან/

**წამყვანი ბიჭი**. ტელემაყურებელო, რაზეც გინდა, იმაზე ვისაუბროთ... ქალიშვილობის ინსტიტუტზე, მაგალითად... ხო საინტერესოა?!

**წამყვანი გოგონა**. /ხელით აჩერებს კოლეგას, მათქმევინეო/ ჩემი აზრით, ჩვენი... რა ქვია... მენტალიტეტი ჯერ მზად არ არის, რა... იმიტო კი არა, რო რაღაც...

**წამყვანი ბიჭი**. /კოლეგა რო ლაპარაკში აიყოლია, გაუხარდება/ აი, სექსი, მაგალითად... სექსი საქართველოში...

**წამყვანი გოგონა**. აუ, მაცალე, რა, ერთი წამი... ელემენტალური წაყვანის კულტურა არა გაქ...

**SMS**: მაგარი ქაჯები ხართ. უგოიმესი გოგო ხარ.

**წამყვანი გოგო**. /აღშფოთდება/ აუ, ვაფშე არ მაინტერესებს შენი აზრი, რა... /გაახსენდება, რომ მაყურებლის ლანძღვა არ შეიძლება/ მაგრამ ძაან დიდი მადლობა გულახდილობისთვის...

**წამყვანი ბიჭი**. პედოფილია?.. პედოფილიაზე ხო არ ვილაპარაკოთ?!

**SMS**: ჩემი გოგო, ჯერ ლ-ებს მიხედე და ჭკუა მერე გვასწავლე.

**წამყვანი გოგო**. /სიბრაზისგან კინაღამ გადაირევა/ დედას ნუ მაგინებინებ, ლამაზო!../ კვლავ გაახსენდება, რომ მაყურებლის ლანძღვა არ შეიძლება/ მაგრამ ძაან დიდი მადლობა, რო შეგვეხმიანე...

**წამყვანი ბიჭი**. ზოოფილია?.. ზოოფილიაზე ხო არ ვილაპარაკოთ!.. საინტერესო თემაა!.. დაგვირეკეთ...

**SMS**: ეს გოგო მოგვაშორეთ, რა!

**წამყვანი გოგონა**. /მთლად გაავდება/ დედები გყაავთ? /ისევ გაახსენდება, რომ თუკი მაყურებელს გალანძღავს, შესაძლოა, თვის ბოლოს ხელფასიც კი არ მისცენ, ან სამსახურიდან გააგდონ კიდეც/ მაგრამ აი, უდიდეს პატივს გცემთ ყველას... მართლა!

**წამყვანი ბიჭი**. მოდით, ორალურ სექსს შევეხოთ!.. ვიკამათოთ... ვიმსჯელოთ... აი, მაყურებელიც გვირეკავს... გისმენთ...

**მაყურებელი**. ძაან მიყვარხართ. ძაან კარგები ხართ და... /გაითიშება/

**წამყვანი გოგონა**. /თავის მხრივ, ესეც გიჟდება ასეთ მაყურებელზე, - ასეთი მაყურებლის გამო ზის თითქმის ყოველდღე ხუთ-ხუთი საათი პირდაპირ ეთერში / სამწუხაროდ გაითიშა... მაგრამ ჩვენ მაინც მოვასწარით და რამდენიმე საინტერესო თემას შევეხეთ...

**წამყვანი ბიჭი**. ახლა კი დებატების დროა.

/ეკრანზე დებატების ელეგანტური წამყვანი გამოჩნდება, თავისი უცვლელი სტუმრებით - ძირითადად, ესენი ან "ახალი მემარჯვენეები" არიან, ან "კონსერვატორები". ზოგჯერ, დებატებში მომღერალი უცნობიც სტუმრობს ხოლმე. ამჯერად, სწორედ ისაა სტუმრად /

**დებატების ელეგანტური წამყვანი**. /ისტერიულად/ ვანო მერაბიშვილო!.. მეზიზღები!.. ხო უყურებ ჩვენ გადაცემას?.. რატო არ მოდიხარ ჩვენთან სტუმრად?.. ხალხის გეშინია, არა?.. გამოტყდი, რო შენ მოკალი პრეზიდენტი კენედი!..

**SMS**: ძალიან ლამაზი ხარ, ბიჭო! დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი ბიჭი ხარ! თბილისელი გოგოები.

**დებატების ელეგანტური წამყვანი**: ვანო მერაბიშვილო და გიგა ბოკერიავ... ჰა-ჰა-ჰა!.. რატომ შეაცდინეთ ჩვენი შალვა?.. არა... მაინც ვერ შეაცდინეთ ბოლომდე!.. ბექაური რო მიუჩინეთ... ბექაური უკვე ხუთი წელია შალვას დასდევს და მის შეცდენას ცდილობს... ჯერ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან უნდოდა შალვას წაყვანა, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია - ვერ შეაცდინა... იფიქრა, ცოლს გავაშორებო... ბებიათქვენისამ! არ გამოგივიდათ!.. მერე უნიჭო, თქვენს ბინძურ კორპორაციაში შეთითხნილი სცენარის მიხედვით დაუდგით სპექტაკლი და კაცი ეთერს ჩამოაცილეთ... ჰა-ჰა-ჰა, ვანო!.. და შენც, ჰა-ჰა-ჰა, პრეზიდენტის ბიძავ... საეჭვო კაცო!.. ვინა ხარ? რა გინდა?..

**SMS**: ძალიან ლამაზი ჰალსტუხი გიკეთია. რატო დაგვივიწყე საბურთალოელები?

**დებატების ელეგანტური წამყვანი**: გიგავ, რატო არ მოდიხარ ჩვენ გადაცემაში?.. ვერ ეღირსებით ჩვენს მარგინალიზირებას!.. მთავრობა ბოიკოტს გვიცხადებთ, არა!.. აღიარეთ, რო თქვენ მოკალით ულოფ პალმე!.. უცნობო, რას იტყვი, ყოველივე ამაზე?

**უცნობი.** /გულწრფელად/ მე... მე... თქვენკენ ვარ.

**დებატების ელეგანტური წამყვანი**. გესმის, ვანო?.. გეშინოდეს!.. ხალხი ჩვენკენაა!

# ადგილობრივი ქსელები აბონენტებს "საქართველოს ტელეკომის" კოდზე 8-10-ზე გასვლას უზღუდავენ...

...აღნიშნული განცხადების საბაბი გახდა, ბოლო პერიოდში, "საქართველოს ტელეკომში" შემოსული უამრავი სატელეფონო ზარი, სადაც მომხმარებელი ცალსახად აღნიშნავს, რომ მას მოსწონს "საქართველოს ტელეკომის" მომსახურების პირობები, მაგრამ მისი სახლის ტელეფონიდან კოდი 8-10 არ იკრიფება ან, აკრეფის შემთხვევაში, პერმანენტულ დაკავებას აჩვენებს. საუბარია როგორც საერთაშორისო კოდი 8-10-ით, ისე საქალაქთაშორისო და მაგთიზე და ჯეოსელზე ქალაქის ტელეფონებიდან გასვლის კოდით 8-100-ით სარგებლობაზე; ზარების ავტორები კი არიან როგორც თბილისის, ისე მთლიანად საქართველოს ადგილობრივი ქსელების აბონენტები.

მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში, "საქართველოს ტელეკომის" სატარიფო პოლიტიკამ, საერთაშორისო, საქალაქთაშორისო და მობილურ სატელეფონო ზარებზე ფასების მაქსიმალური შემცირების ტენდენციით, კომპანიის მომხმარებელთა რიცხვი საგრძნობლად გაზარდა - სახელმწიფოს მხრიდან სავალდებულო ზღვრული ტარიფების გაუქმების შედეგად, "საქართველოს ტელეკომის" მაღალი ხარისხის მომსახურება მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი გახდა პრაქტიკულად მინიმალურ ფასებში. ამასთან, კომპანიამ დახვეწა სერვისის ფორმები და, ზოგადად, თავისი საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებად მომხმარებელთა ინტერესები გამოაცხადა.

ყოველივეს გათვალისწინებით "საქართველოს ტელეკომმა" სერიოზული კონკურენცია გაუწია სხვა საერთაშორისო ოპერატორებს. თუმცა, ვერავინ მოგვედავება იმაში, რომ ჩვენი კომპანია როდესმე გასცდენია ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებს. სამწუხაროდ იგივეს ვერ ვიტყვით სხვა კომპანიებზე, კერძოდ კი ადგილობრივ ოპერატორებზე, რომლებიც, ადგილობრივი ქსელების გარდა, ფლობენ საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირების კოდებსაც.

ბუნებრივია, მათ იგივე ინტერესები ამოძრავებთ, როგორც "საქართველოს ტელეკომს"- გაზარდონ საკუთარი მომსახურების რეალიზაცია. მაგრამ ადგილობრივი ქსელების ფლობა, შესაბამისად, მათი მართვის შესაძლებლობა მათ არ აძლევს უფლებას სხვა კომპანიის საზიანოდ გამოიყენონ ეს ტექნიკური უპირატესობა და დაუკითხავად შეუზღუდონ აბონენტს სხვა საერთაშორისო კოდზე გასვლა.

როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით მომხმარებელი თავისუფალია სატელეფონო კოდის არჩევაში და არავის არა აქვს უფლება წაართვას მას ეს არჩევანი. სამწუხაროდ, ჩვენს შემთხვევაში სწორედ ასეთ ქმედებებთან გვაქვს საქმე. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ თბილისის ერთ-ერთი ადგილობრივი ქსელი აბონენტებს 8-10-ის ჩასართველად, ერთჯერადად, 50 თეთრის გადახდას სთხოვს, ამ ოფიციალური თანხის გადახდის შემდგომაც, მთელ რიგ შემთხვევებში, აბონენტები "საქართველოს ტელეკომის" კოდით დარეკვას ვერ ახერხებენ. აღნიშნული ფაქტი გადამოწმებულია "ტელეკომის" ტექნიკური სამსახურის მიერ და ჩვენი კომპანიის ბრალი ამგვარ შეფერხებებში არ ფიქსირდება. გამოდის შეზრუდვა თვითონ ადგილობრივი ქსელებიდან მოდის და ამის ერთადერთი ახსნა შეიძლება იყოს საკუთარი საერთაშორისო კოდის რეალიზაციის ხელოვნურად სტიმულირება.

აღსანიშნავია, რომ 8-10-ზე შეზღუდვებს არა აქვს გლობალური და გრძელვადიანი ხასიათი. აბონენტების ინფორმაციაზე დაყრდნობით და ჩვენი დაკვირვებით, დაბლოკვები ხდება ხანმოკლე პერიოდებით, მონაცვლეობით - ხან ერთი, ხან მეორე ინდექსის სატელეფონო სადგურებზე, ალბათ, იმიტომ, რომ გაძნელდეს ამ ფაქტის ოფიციალურად დაფიქსირება. ამასთან, აბონენტებთან საუბარში გაირკვა ის გარემოებაც, რომ მათ ვინც აღნიშნული პრეტენზიით დაუკავშირდა ადგილობრივ ქსელებს, შეზღუდვა 8-10-ზე დაუყოვნებლად მოეხსნა.

ცალკე აღსანიშნავია საქართველოს რაიონებში მცხოვრები აბონენტების სატელეფონო ზარები. როგორც ჩანს, 8-10-ის შეზღუდვა არა მარტო თბილისის მასშტაბით ხდება და ამ პროცესსაც, ანალოგიურად, პერიოდული და მონაცვლეობითი ხასიათი აქვს. ამასთან, როგორც ირკვევა, 8-10-ის მომხმარებლებს რაიონებში პრობლემები ექმნებათ დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებითაც, მათი თქმით, ადგილობრივი ქსელების მომსახურე პერსონალიდან ხშირია სიტყვიერი ზეწოლა 8-10-ის ნაცვლად საკუთარი საერთაშორისო კოდის გამოყენების თაობაზე.

ყოველივეს შედეგად, შეიძლება დაფიქსირდეს საქართველოს ადგილობრივი ქსელების მხრიდან "საქართველოს ტელეკომთან" არაკორექტული მეთოდებით ბრძოლის ფაქტი. ვგონებთ, დღევანდელ ეკონომიკურ გარემოში, ჯანსაღი კონკურენციის წარმართვა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს კომპანიისათვის, რომელსაც ჯანსაღი ხედვა და სათანადო რესურსები გააჩნია. ამდენად, მოვუხმობთ რა ადგილობრივი სატელეფონო კომპანიების კეთილგონიერებას, ამ ეტაპზე მხოლოდ აღნიშნული წერილით შემოვიფარგლებით. ჩვენს მომხმარებლებს კი მოვუწოდებთ, შეფერხების შემთხვევაში, დაუკავშირდნენ ადგილობრივ ქსელებს და მოითხოვონ საკუთარი სამომხმარებლო უფლებების დაცვა. ასევე, დაგვიკავშირდნენ ჩვენ - "საქართველოს ტელეკომს" (ტელ.: 44 28 28), რათა მოგვეცეს საშუალება, ოფიციალურ დონეზე ვიზრუნოთ პრობლემის მოგვარებაზე.

*"საქართველოს ტელეკომის"*
*საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შუახევის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს საწვავის შესაძენად და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესასყიდია დიზელის საწვავი 12 000 ლიტრი და ბენზინი ა92 - 13 000 ლიტრი;
2. საქონლის მოწოდება იწარმოებს პარტიებად გარკვეული ინტერვალით;
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 27 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრამდე შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.№30.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისთვის

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაციაან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან) და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

ბ) ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენლი უნდა იყოს შსს-ს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

4.2. ფიზიკური პირისთვის:

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ ის უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენლი უნდა იყოს შსს-ს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

4.3 როგორც ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის:

ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას, ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 31 ოქტომბრის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.№30, შუახევის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია.
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო აპარატში, ტელ: 6 00 15 ან მობ: 893 31 54 10.

*შუახევის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია.*

# ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ

## კონფერენცია სამუშაოს შეთავაზების შესახებ ქართველი ქვეკონტრაქტორების და მომწოდებლებისთვის

ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ. - ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ბექტელის წარმომადგენლობითი ოფისი, ბექტელთან წინასწარ კვალიფიცირებული ქვეკონტრაქტორების ან მომწოდებლების რანგში თანამშრომლობით დაინტერესებულ კომპანიებს იწვევს **კონფერენციაზე**, რომელიც გაიმართება **2005 წლის 20 ოქტომბერს, 09:30 დან 12:00 მდე "მარიოტ ქორთიარდში, დარბაზი N2 (მე-2 სართული)**.

კონფერენციის მსვლელობისას ბექტელი წარმოადგენს შემდეგ საკითხებს:

საქართველოში ბექტელის საქმიანობის მიმოხილვა

- სამომავლო შესაძლებლობები ახალი, თანამედროვე სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის მხარდასაჭერი სამუშაოების დროს (განთავსდებიან თბილისში და დანარჩენ საქართველოში)

მოთხოვნები და პროცედურები, რომელიც საჭიროა, რათა გახდეთ ბექტელის ტენდერის მონაწილე

- ჩვენი წინადადებაზე მოთხოვნების პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა ტექნიკური და სამშენებლო მომსახურებისთვის და კვოტირებაზე მოთხოვნის პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა აღჭურვილობის და მასალების შესყიდვაზე

ბექტელის ტენდერის, შეფასების და კონტრაქტის გაფორმების პროცესის ახსნა

- საკონტრაქტო შეთანხმების ტიპები, რომელსაც ბექტელი ყველაზე ხშირად იყენებს

ფასების კალკულაციის და ანაზღაურების პირობები

- პირობებთან შესაბამისობის და ეთიკის მნიშვნელობა ჩვენს ბიზნეს შეთანხმებებში

ბექტელის გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის მოთხოვნების და ქვეკონტრაქტორების მიერ მათი შესრულების მნიშვნელობა

- რა შედის ბექტელის მიერ მომზადებულ სამუშაოს აღწერის ტიპიურ დოკუმენტში

წარსადგენი მასალები, რომლებიც, როგორც წესი, მოეთხოვებათ ქვეკონტრაქტორებს სამუშაოების დაწყებამდე

- რა ტიპის აღჭურვილობას და მასალებს შეისყიდის ბექტელი ამჟამად ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები

რა ტიპის ტექნიკური და სამშენებლო მომსახურების ქვეკონტრაქტების დებს ამჟამად ბექტელი ქვეყანაშიUდა ჩვენი სამომავლო მოთხოვნები

- დამსწრე საზოგადოების შეკითხვები ბექტელის პრეზენტაციის ბოლოს.

ამ კონფერენციის დროს პოტენციურ ქვეკონტრაქტორებს და მომწოდებლებს გადაეცემათ კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის / ქვეკონტრაქტორის კითხვარის პაკეტები და ეცნობებათ თუ როდის და რა მისამართზე უნდა გაუგზავნონ თავიანთი პასუხი ბექტელს. კომპანიების მიერ შევსებულ კითხვარს კი ბექტელი გამოიყენებს თქვენი კომპანიის კვალიფიკაციის შესაფასებლად და იმის გადასაწყვეტად, ჩართოს თუ არა თქვენი კომპანია ტენდერის მონაწილეთა სიაში, რის შემდეგაც კომპანიას გაეგზავნება წინადადებაზე მოთხოვნის პაკეტები.

იმისთვის რომ თქვენი კომპანია ჩაითვალოს წინასწარ კვალიფიცირებულ ქვეკონტრაქტორად, მას უნდა გააჩნდეს გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმა და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბექტელის სტანდარტებს, რომლებიც განიხილება ამ კონფერენციის დროს.

თუ თქვენი კომპანიას აქვს საქართველოში მუშაობის ლიცენზია, სტაბილური ფინანსური მდგომარეობა და არის გამოცდილი, გირჩევთ აუცილებლად დაესწროთ ჩვენს კონფერენციას.

სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თავისუფლების მოედანი 4, 0105, თბილისი, საქართველო

**თქვენს კომპანიას ვთხოვთ წინასწარ შეგვატყობინოს კონფერენციაზე დასწრების შესახებ. შეტყობინება უნდა გაუგზავნოთ ქ-ნ ლელა მაჩაიძეს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე lmachaid@bechtel.com ან ტელეფონის ნომერზე 995 32 47 40 40, ან კიდევ გამოგზავნოთ ფაქსით ნომერზე 995 32 92 29 96 2005** ***წლის 13 ოქტომბრამდე.*** **რაკილა კონფერენციაზე ველით დამსწრეთა დიდ რაოდენობას, უმორჩილესად ვთხოვთ თითოეულ კომპანიას გამოგზავნონ ორი (2) მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი.**

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ კომპიუტერული მოწყობილობების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერში გაიმარჯვეს შემდეგმა კომპანიებმა:

1. პირველი და მეოთხე ლოტი შპს "ალგორითმი";
2. მეორე ლოტი შპს "ორიენტ ლოჯიკი";
3. მესამე ლოტი შპს "ესაბი".

*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს*
*სატენდერო კომისია*

# თბილისში უკვე „როლს როისის" ყიდვაც შეიძლება









იმ დროს, როდესაც სხვადასხვა გარემოებათა გამო, გაძნელებულია ქართულ საავტომობილო ბაზარზე მუშაობა, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ჩვენს ქვეყანაში საავტომობილო ინდუსტრიის ისეთი იკონა შემოდგამდა ფეხს (ბორბალს), როგორიც "როლს როისია".

მაგრამ ხანდახან სასწაულებიც კი ხდება ხოლმე და ასეთი სასწაული ათ ოქტომბერს მოხდა, უფრო სწორედ, "ბეემვეს" დისტრიბუტორმა, კომპანია "ომეგა მოტორსმა" შემოგვთავაზა - თბილისში ორი დღით ჩამოიყვანა უმაღლესი კლასის ავტომობილი, "როლს როისის" ერთადერთი და განუმეორებელი მოდელი სახელად "ფანტომ".

შეგახსენებთ, რომ ეს მოდელი პირველია ინგლისური მარკის საწარმოო პროგრამაში, რომელიც მას შემდეგ შეიქმნა, რაც "როლს როისი" გერმანულ ავტოგიგანტ "ბეემვეს" კუთვნილება გახდა (2003 წელს). მის შექმნაში ინგლისელ კოლეგებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ბავარიელმა კონსტრუქტორებმა.

შედეგად, ინგლისურ "ფანტომს" გერმანული "გული" აქვს. ესაა 6.75-ლიტრიანი V12 არქიტექტურის ძრავი, რომლის ცილინდრების ორ რიგს შორის გაშლის კუთხე 60 გრადუსს შეადგენს. ძრავის ესოდენ დიდი მუშა მოცულობა გასაკვირი არაა, მაგრამ სამაგიეროდ, შთაბეჭდლებას ახდენს მისი ტექნიკური მახასიათებლები.

კერძოდ, აგრეგატი მუხლა ლილვის პირველ ათას ბრუნზე უკვე ავითარებს უზარმაზარ მაბრუნ მომენტს (560 ნმ), რომლის მაქსიმუმი წარმოუდგენლად დიდი, 720 ნმ-ია და ის მუხლა ლილვის 3500 ბრ/წთ-ზე მიიღწევა. სხვათა შორის, ქალაქში მოძრაობისას ბრუნთა რიცხვის დიაპაზონი ყველაზე ხშირად სწორედ 1000-დან 3000 ბრ/წთ-ს ფარგლებში მერყეობს. ასეთი მახასიათებელი კი მძღოლს იმის საშუალებას აძლევს, რომ ყოველთვის რბილად და ზედმეტი რყევების გარეშე დაძრას ავტომობილი.

ძრავის სიმძლავრე 453 ცხენის ძალაა და ამ ნიშნულს ის მაშინ ავითარებს, როცა მუხლა ლილვის ბრუნვები წუთში 5350-ს აღწევს. ამ მონაცემების მეშვეობით, თითქმის 2.5-ტონიანი ავტომობილს ადგილიდან 100 კმ/სთ-მდე ასაჩქარებლად სულ რაღაც 5.9 წამი ჰყოფნის. სხვათა შორის, მსგავსი დინამიკით ბევრი თანამედროვე ავტომობილი (მაღალი კლასისა) ვერ დაიკვეხნის.

ძრავთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი, ნახევრად ავტომატური გადაცემათა კოლოფი, რომლის შექმნის დროსაც კონსტრუქტორებმა მაქსიმალურად გაითვალისწინეს ძრავისა და მთლიანად ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები. ნახევრად ავტომატურ რეჟიმში კოლოფის მუშაობას უზრუნველყოფს ელექტრონული სისტემა, რომელიც მძღოლის მითითებებს "მავთულის" მეშვეობით ღებულობს და იმავე გზით გადასცემს კოლოფში განთავსებულ "შემსრულებელ" მექანიზმებს. საფეხურების შესაცვლელად მძღოლი სპეციალურ ბერკეტებს იყენებს. ნორმალურ რეჟიმში მუშაობისას, კოლოფი მუშაობას მეორე საფეხურიდან იწყებს. პირველი კი მაშინ ხდება საჭირო, როცა ავტომობილი აღმართში, ან დაღმართში მოძრაობს.

ძრავსა და კოლოფში გამოყენებულ უამრავ ტექნოლოგიურ სიახლეზე ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ერთს ვიტყვით - ელექტრონიკა პრაქტიკულად ყველაფერს აკონტროლებს, რასაც საერთოდ კონტროლი ესაჭიროება. ელექტრონიკისვე მეშვეობით, ორივე აგრეგატის (ძრავი და კოლოფი) მუშაობა მაქსიმალურად ეფექტურია.

უზარმაზარი გაბარიტებისა და ძრავის დიდი მუშა მოცულობის მიუხედავად, ქალაქში მოძრაობისას, ყოველ ას კილომეტრზე "ფანტომი" დაახლოებით 16 ლიტრ მაღალხარისხოვან ბენზინს წვავს, შერეული ციკლით გადაადგილებისას კი ხარჯი წარმოუდგენლად დაბალია - 11 ლიტრი ას კილომეტრზე. ეს მაშინ, როცა ავტომობილის საწვავის ავზი ას ლიტრს იტევს.

განსაკუთრებულად აღნიშვნას იმსახურებს ავტომობილის ძარა. ის ალუმინისგანაა შეკრული, რისი წყალობითაც, შიშველი ძარის წონა "მხოლოდ" 550 კილოგრამია. სამაგიეროდ, ის წარმოუდგენლად ხისტია. ასე განსაჯეთ, ორჯერ უფრო ხისტი, ვიდრე ამ და უფრო დაბალი კლასის, გაცილებით მცირე ზომის ავტომობილებიც კი. სიხისტეს დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი დიდგაბარიტიანი ავტომობილისთვის, როგორიც "ფანტომია".

შასის და ძარის დასამზადებლად, კონსტრუქტორებმა მეტწილად ალუმინი და კომპოზიციური მასალები გამოიყენეს, რითაც ათეულობით კილოგრამით შეამსუბუქეს კონსტრუქცია. სხვათა შორის, ძარის კონსტრუქცია მონოკოკურია, როგორც 40 წლის წინ. თუმცა, ეს არ არის ტრადიციისადმი გაწეული ხარკი. უბრალოდ, ექსკლუზიური ავტომობილების წარმოებისას, ეს ყველაზე მოსახერხებელი და საიმედო კონსტრუქციაა.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. პლატფორმა, რომელზეც "ფანტომია" ბაზირებული, სხვა ავტომობილებისთვის არასოდეს იქნება გამოყენებული. მისი მთავარი ნაწილი ფოლადის მილებისგან შეკრული ჩარჩოა, რომელიც ძარას 6 წერტილში, ხისტად უკავშირდება.

"ფანტომი" შთამბეჭდავი გაბარიტებით გამოირჩევა და ესეც "როლსების" ტრადიციაა. მისი ზომებია: სიგრძე - 5834 მმ, სიგანე - 1990 მმ, სიმაღლე - 1632 მმ, ბაზა კი - 3570 მმ.

რაც შეეხება გარეგნობას, მასზე დიზაინერთა სამი ჯგუფი მუშაობდა, რომლებსაც საწყის ეტაპზე ორორი მასშტაბური (40-პროცენტიანი) მოდელის შექმნა დაევალათ. მათ რამდენიმე თვეში დაასრულეს მუშაობა და თავიანთი შედევრები სპეციალურ კომისიას წარუდგინეს, რომელმაც საბოლოო არჩევანი 1999 წლის ბოლოს გააკეთა.

"როლს როისის" მთავარი დიზაინერის, იან კამერონის თქმით, მათი მიზანი იყო "ნამდვილი როლს როისის შექმნა. და ეს მაშინაც უნდა ყოფილიყო საგრძნობი, თუ თვალთახედვის მიღმა დარჩებოდა რადიატორის როლსებისთვის დამახასიათებელი, მონუმენტური ჰაერამღებები". შედეგი სახეზეა, თქვენს წინაშეა ავტომობილი, რომელსაც არსად და არასოდეს, ვერანაირი მისი "ნათესავი" ვერ შეედრება.

დავუბრუნდეთ "ფანტომის" თბილისურ ვოიაჟს. მისი ჩამოყვანით "ომეგა მოტორსს" სულაც არ სურდა იმის განცხადება, რომ ის ამიერიდან "როლს როსის" ავტორიზებული დილერი ხდება. ეს რომ მოხდეს, ამისათვის საჭიროა სრულყოფილი სერვის-ცენტრის მომზადება, ჩვენს პირობებში კი მსგავსი რამ წარმოუდგენელია, რადგან თითოოროლა ავტომობილის მოსამსახურებლად ძვირადღირებული აპარატურის შენახვა და მათი მომსახურე პერსონალის მომზადება მეტისმეტად ძვირი ფუფუნება და უმძიმესი ტვირთია.

უბრალოდ, თბილისში ორი "ფანტომის" ჩამოყვანით, "ომეგა მოტორსმა" გვაუწყა, რომ ის იწყებს ამ ავტომობილის შეძენის მსურველთაგან წინასწარი შეკვეთების მიღებას. ფასი? მოდით, ამაზე აქ ნუ ვილაპარაკებთ. გეტყვით მხოლოდ, რომ კომპლექტაციის მიხედვით, მისი ღირებულება 324 000 ევროდან იწყება. ამასთან, აღნიშნულ ფასთან შედარებით, არცთუ დიდი საბაჟო მოსაკრებელია გადასახდელი.

შეკვეთის განთავსების შემდეგ, გავა გარკვეული დრო და გუდვუდის (ინგლისი) ქარხნიდან მოვა ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისისკენ შეკვეთილი ავტომობილი მოემგზავრება. მას თან გამოჰყვება ინსტრუქტორი, რომელიც აუცილებელ ინსტრუქტაჟს ჩაუტარებს მყიდველს და მასთან ერთად, გასაცნობ გასეირნებასაც მოაწყობს.

გარდა ამისა, ის "ომეგა მოტორსის" იმ სპეციალისტებთანაც იმუშავებს, რომლებიც "ბეემვეს" მე-7 სერიის ავტომობილებს ემსახურებიან. შედეგად, აღნიშნულ სპეციალისტებს შესაძლებლობა ექნებათ, საჭიროების შემთხვევაში, მინიმალური მომსახურება გაუწიონ გაყიდულ "ფანტომს". სერიოზული პრობლემის შემთხვევაში კი (თუ ოდესმე ასეთს ადგილი ექნა) ინგლისიდან გამოძახებულ იქნება საქარხნო სპეციალისტი, რომელიც ადგილზე, ესე იგი, თბილისში აღმოფხვრის წარმოქმნილ პრობლემას. სხვათა შორის, სერვისის მსგავსი მექანიზმი უკვე დიდი ხანია, აპრობირებულია "როლს როისის" მიერ.

ალბათ საინტერესოა, თუ რა რაოდენობით უშვებს "როლს როისი" ამ შესანიშნავ ავტომობილს. გუდვუდის ქარხნის სიმძლავრე წლიურად ორ ათასამდე ავტომობილზეა გათვლილი. 2003 წელს, როდესაც ქარხანამ ფუნქციონირება დაიწყო, ნავარაუდები იყო, რომ ის წლიურად ათას ცალ "ფანტომს" გამოუშვებდა. მაგრამ ბაზრის ამ სეგმენტში სწრაფად მზარდი კონკურენციის გამო, წარმოების ეს მოცულობა ჯერჯერობით მიუღწეველია. სხვათა შორის, ანალოგიური პრობლემები აქვს სუპერავტომობილების მწარმოებელ ისეთ კომპანიასაც, როგორიცაა "მერსედეს-ბენცის" "მაიბახი".

გუდვუდის ქარხანას დღეში რამდენიმე "ფანტომი" ტოვებს. თითოეულის ასაწყობად კი სულ 260-საათიანი ხელით შრომაა საჭირო. მეტწილად სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მის სიძვირეს. გარდა ამისა, "ფანტომის" ინტერიერის გაწყობისას გამოიყენება უაღრესად ძვირადღირებული ტყავისა და ხის მასალა.

შედეგი კი სახეზეა - ამ ავტომობილს ყიდულობენ ისეთები, რომლებიც ყველასა და ყველაფრისგან განსხვავდებიან. ცნობისათვის, კომპანია აცხადებს, რომ "ფანტომის" მყიდველთა საშუალო წლიური შემოსავალი 30 მილიონი დოლარია. ასეთების რაოდენობა კი მთელს მსოფლიოში დაახლოებით 16 ათასია (ბოლო მონაცემებით). ისიც უნდა ითქვას, რომ ავტობაზრის ეს სეგმენტი საკმაოდ სწრაფად იზრდება, თუმცა მის ზრდასთან ერთად, მრავლდება სუპერავტომობილების მწარმოებელთა რიცხვიც, რომელსაც ამიერიდან "ბუგატი" დაუბრუნდა.

იმ დროს, როდესაც სუპერავტომობილების სეგმენტში სულ უფრო მეტი კომპანია ერთვება, "როლს როისმა" უფრო დაბალი კლასის ავტომობილების წარმოებაზეც დაიწყო ფიქრი. კერძოდ, სულ ახლახან, კომპანიის შეფმა იან რობერტსონმა (ადრე ის "ბეემვეს" სამხრეთაფრიკულ შტოს ხელმძღვანელობდა) გამოაცხადა, რომ "როლს როისი" მალე მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ დაიწყოს მუშაობა ულტრა-ლუქსის კლასის ავტომობილების შექმნაზე.

ასეთი ავტომობილების ფასი 150-200 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბაზრის ეს სეგმენტი ძალიან სწრაფად იზრდება და მიუხედავად იმისა, რომ შესაბამის ავტომობილებს უფრო მეტი კომპანია აწარმოებს, ვიდრე სუპერკლასისას, იქ მუშაობის დაწყებას მაინც შეუძლია "როლს როისის" ფინანსური პოზიციის გამყარება.

ცნობისათვის, შარშან "ბენტლიმ" 171 000 დოლარად ღირებული 5000 ცალი "კონტინენტალ GT" გამოუშვა. ეს რიცხვი კი დაახლოებით 6-ჯერ სჭარბობს "როლს როისის" მიერ იმავე პერიოდში გამოშვებული "ფანტომების" რაოდენობას. რობერტსონის თქმით, 150,000 დოლარად ღირებული და უფრო ძვირი ავტომობილების პოტენციურ მყიდველთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში 20 ათასს აღწევს და მფლანგველობა იქნებოდა, ამ სეგმენტის შესაბამისი ავტომობილების წარმოებაზე უარის თქმა.

დაბოლოს, რობერტსონი ამბობს, რომ "როლს როისი" 2009 წლამდე არ აპირებს სრულიად ახალი მოდელის შექმნას. თუმცა, მანამდე ალბათ ბაზარზე გამოჩნდება "ფანტონის" ბაზაზე შექმნილი კაბრიოლეტი. რობერტსონი იმასაც ამბობს, რომ კომპანიის სამომავლო პროგრამის შედგენისას, მას "ბეემვეს" აღმასრულებელ ჰელმუტ პანკეს სრული მხარდაჭერა აქვს. ახალი მოდელებისთვის მწვანე შუქის ანთებას კი ის ერთი წლის განმავლობაში მოელის.

# კუპე „ბეემვე Z4" - შტუტგარტული „კაიმანის" კონკურენტი







როგორც წესი, ავტომწარმოებლები ჯერ კუპესძარიან ავტომობილებს გამოუშვებენ ხოლმე და თუ ის პოპულარული გახდება, ცოტა ხანში მას როდსტერიც დაუმშვენებს მხარს. ძალიან იშვიათად, პირიქითაც ხდება, ისე, როგორც "ბეემვე" მოიქცა - ბავარიელებმა პირველად როდსტერი Z4 დაამზადეს, ახლა კი, ფრანკფურტის ავტოსალონზე, მყიდველს მისი დახურული ვარიანტიც შესთავაზეს.

თავისი დახვეწილი გარეგნობის წყალობით, როდსტერი Z4 მეტად პოპულარულია მყიდველს შორის, მაგრამ როგორც ბევრი ამბობს, კუპე კიდევ უფრო ელეგანტური და მიმზიდველია და მას აუცილებლად დააფასებენ ის ავტომოყვარულები, რომლებსაც ჩამოყალიბებული "საავტომობილო გემოვნება" აქვთ.

კუპკ Z4-ის დიზაინი "ბეემვეს" შეფ-დიზაინერ კრის ბენგლის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ეს ის კაცია, ვისი თაოსნობითაც, ბავარიულმა კომპანიამ რადიკალურად შეცვალა თავისი ავტომობილების სტილი, რამაც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბენგლი კრიტიკოსებს არ მოერიდა და კომპანიის ფლაგმანს, მე-7 სერიის სედანს საკმაოდ ავანგარდული იერი მიანიჭა. სხვათა შორის, სწორედ ეს იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ ავტომობილს მეტად მოკლე დროში, დაახლოებით სამ წელიწადში ჩაუტარდა რესტაილინგი, რის შემდეგაც მან შედარებით კონსერვატიული გარეგნობა მიიღო.

რაც შეეხება Z4-ს, მისი დიზაინის დამუშავებისას ბენგლმა თავიდანვე გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ავანგარდს ყოველთვის არ მოაქვს სასურველი შედეგი. დიზაინერის თავშეკავებულობის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ Z4-ს ბაზარზე მეტად კონკურენტუნარიანი და ექსტრავაგანტური მეტოქე, "პორშე კაიმანი" ელოდება, რომლის დებიუტიც ახლახან შედგა. ექსპერიმენტირება იმ დროს, როდესაც შენი მთავარი კონკურენტი წლების განმავლობაში, ფაქტობრივად ერთ სტილს ხვეწს და ყოველთვის სულ უფრო უკეთეს შედეგს აღწევს, სახიფათოა. ჰოდა, ბენგლმაც უარი თქვა თავის ჩვევაზე.

დიზაინერებმა თითქმის ხელუხლებლად დატოვეს როდსტერის გარეგნობა. უბრალოდ, ავტომობილს სახურავი დაუმატეს. სხვათა შორის, სახურავი როდსტერსაც ოპციის სახით მოჰყვებოდა, ოღონდ ის დასაკეცი იყო. ახლა კი ავტომობილს მუდმივი ჭერი აქვს, რისი წყალობითაც, შასის სიხისტეც საგრძნობლად გაიზარდა.

სახურავი იდეალურად შეერწყა ავტომობილის დიზაინს. მეტად დახრილი წინა საყრდენების წყალობით, წინა საქარე მინა რბილად გადადის სახურავში და ლამის ერთ მთლიან სიბრტყეს ქმნის, რითაც მცირდება ჰაერისადმი წინააღმდეგობა. თავის მხრივ, სახურავი უკანაც "რბილად" გრძელდება, გადადის უკანა კარში და დინამიურად ერწყმის უკანა სპოილერს. ეს უკანასკნელი სპორტული ავტომობილების განუყრელი ელემენტია და მისი დანიშნულება უკანა ბორბლებზე დინამიკური დატვირთვის გაზრდაა.

კუპე Z4 ძალიან ჰგავს როდსტერ Z4-ს. სხვაობა მინიმალურია და მხოლოდ მაშუქების განსხვავებულ ფორმებში აისახება. რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება, რომ კუპეს მუდმივი სახურავიც აქვს. ბევრად არც ამ ორი ავტომობილის ინტერიერი განსხვავდება. კუპეს შიგნითაც ტყავითა და ალუმინით გაწყობილი დეტალების სიჭარბე იგრძნობა.

თუმცა, ადრენალინის მოყვარული მძღოლებისთვის მთავარი სულ სხვა რამაა და ამ სხვა რამეს ძრავი ჰქვია. პირველ ხანებში, Z4 აღიჭურვება მხოლოდ ერთი, 6-ცილინდრიანი, 3 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე აგრეგატით, რომელიც 265 ცხენის ძალასა და 315 ნმ მაბრუნ მომენტს იძლევა. ეს მონაცემები საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა ჯერჯერობით ვერ შეედრება "პორშე კაიმანის" შესაბამის მონაცემებს. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ შტუტგარტულ რეპტილიას (კაიმანი ნიანგის სამხრეთამერიკული სახეობაა) ძრავიც უფრო დიდი აქვს.

მაგრამ ძრავის მთავარ პარამეტრებში საკმაოდ სოლიდური განსხვავების მიუხედავად, Z4-ს "კაიმანთან" შედარებით უკეთესი დინამიკური მონაცემები აქვს. პირველ რიგში, ეს მთავარი გადაცემის "დამსახურებაა", რომელშიც გადაცემის რიცხვი გაზრდილია. შედეგად, ბავარიული კუპე ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს უფრო სწრაფად, 5.7 წამში აღწევს. რაც შეხება მაქსიმალურ სიჩქარეს, ის ორივე ავტომობილს ერთნაირად, 250 კმ/სთ-ით აქვთ შეზღუდული.

კომპანია აცხადებს, რომ ახალი ავტომობილისთვის უკვე ამზადებს ახალ ძრავს. უფრო სწორედ, ის უკვე მზადაა და დიდი ხანია, გამოიყენება მე-3 სერიის სედანების სპორტულ მოდიფიკაცია M3-ში. ამ ძრავის სიმძლავრე 340 ცხენის ძალაა და ბუნებრივია, მისი წყალობით, ავტომობილის საწყისი დინამიკური მახასიათებლები საგრძნობლად გაუმჯობესდება.

კუპე Z4-ის წარმოება მოხდება შტატ ჩრდილოეთ კაროლინას ქალაქ სპარტანბურგში, სადაც ადრე კუპე Z3-ს აწარმოებდნენ. დიდი ხანი არაა გასული მას შემდეგ, რაც იქ ამ მოდელის წარმოება შეწყდა. ჰოდა, ახლა კონვეიერი Z4-ს დაეთმობა.

ახალი ავტომობილის ფასი ჯერ დადგენილი არ არის, თუმცა ცნობილია, რომ ის "კაიმანზე" ძვირი ეღირება. ორივე ავტომობილის გაყიდვების ძირითადი ბაზარი ჩრდილოეთ ამერიკაა. და თუ პატარა "პორშე" ბაზარზე იანვრიდანვე გამოჩნდება, Z4-ს პირველი მყიდველი მერმის ზაფხულში მიიღებს.

# „ბეემვე" Z8-ს შეცვლის

მიუხედავად იმისა, რომ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, "ბეემვეს" სპორტულმა როდსტერმა Z8-მ სულ სამი წელი იარსება, რის შემდეგაც, კერძოდ კი 2003 წელს, ბავარიელებმა მისი წარმოება შეწყვიტეს. და აი, ახლა კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ 2008 წელს კვლავ გამოუშვებს ანალოგიური კლასის ავტომობილს, რომელიც ასი ათას ევროზე ძვირი ეღირება.

ახალი ავტომობილის კოდური ინდექსია Z9. ბავარიელთა განცხადებით, ის წინამორბედისგან რადიკალურად განსხვავებულ კონსტრუქციას მიიღებს. კერძოდ, მასში ძრავი ბაზაში, მძღოლის სავარძლის უკან განთავსდება, როგორც ეს სპორტულ ავტომობილებშია გავრცელებული.

ახალი ავტომობილი აღიჭურვება ან 400 ცხენისძალიანი V8 ძრავით, რომელიც დღეისათვის მოდელ M3-ში გამოიყენება, ანაც M5-ის V10-ით, რომლის სიმძლავრე 550 ცხენის ძალაა. ამ მწირი ინფორმაციის მეტს ბავარიელები წინასწარ არაფერს აქვეყნებენ. ცნობილია ისიც, რომ ავტომობილის ღირებულება არ გასცდება 120 ათას ევროს.

რაც შეეხება Z8-ს, მისი წარმოების შეჩერებას ასე განმარტავს კომპანიის წარმომადგენელი დეივ ბუჩკო: "ჩვენ თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ Z8 არ იყო განკუთვნილი მასობრივი წარმოებისთვის. მისმა გაყიდვებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, თუმცა ყოველივეს მიუხედავად, ჩვენ გადაწყვეტილება მაინც არ შეგვიცვლია და როგორც კი ქარხნიდან წინასწარ განსაზღვრული პარტიის ბოლო ავტომობილი გამოვიდა, მაშინვე შევწყვიტეთ მისი წარმოება".





შეგახსენებთ, რომ Z8 პირველად 1997 წელს, ტოკიოს ავტოსალონზე, კონცეპტუალური Z07-ის სახით გამოჩნდა. ამ ავტომობილმა პოპულარობა 1999 წელს მოიხვეჭა, როცა მონაწილეობა მიიღო ჯეიმს ბონდზე გადაღებულ მორიგ ფილმში "მთელი მსოფლიოც ცოტაა".

ყოველივეს მიუხედავად, Z8-ს (ეს ავტომობილი აღჭურვილი იყო M5-სგან აღებული 400 ცხენისძალიანი V8 ძრავით და 100 ათასი დოლარი ღირდა) გაყიდვების დაწყებიდან (2000 წლის აგვისტო) პირველ 11 თვეში აშშ-ის ბაზარზე მხოლოდ 495 ცალ როდესტერს გამოუჩნდა მყიდველი. სულ კი, სამი წლის განმავლობაში, 5700 ცალი Z8 გაიყიდა.

*გვერდი მოამზადა*
*მერაბ ლორთქიფანიძემ*

# ლაშა და კობა

**ლაშა ბუღაძე**: საღამო მშვიდობისა. დღევანდელ გადაცემაში, ჩვენს სტუმართან, კობა დავითაშვილთან ერთად, ჩვენ ვისაუბრებთ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით. ბატონო კობა, იქნებ უფრო ზუსტად აგვიხსნათ, რას ნიშნავს ეს დროებითი საგამომძიებლო კომისია?

**კობა დავითაშვილი:** თუ გახსოვთ, ბექაურის შესახებ ფილმის გასვლის შემდეგ, უმრავლესობის ლიდერებს გაუჩნდათ ასეთი ილუზია, რომ ამ ფილმში დეპუტატის მაკომპრომიტირებელი არაფერი იყო. და რა იყო ამის მიზეზი? მათ ხომ სინამდვილეში უფრო მეტი ინფრომაცია აქვთ ბექაურის კორუფციული საქმიანობის შესახებ, ვიდრე იმ ფილმში იყო. ამიტომ, რასაკვირველია, გაჩნდა სრულიად ლოგიკური შეგრძნება იმისა, რომ ზემოხსენებულ ფილმში არაფერი საინტერესო არ ყოფილა. ამიტომ უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, მიხეილ მაჭავარიანი მეორე დღეს გამოვიდა ტელევიზიით და გაბედულად შემოგვთავაზა ბექაურის საქმის გამოძიება. ამის შემდეგ მათი ილუზორული წარმოდგენები ჩვენსა და ხალხის სიბეცესთან დაკავშირებით გაქარწყლდა და მათ დაინახეს რეალური საშიშროება იმისა, რომ საგამოძიებო კომისიას უნარი აქვს უფრო დეტალურად შეისწავლოს როგორც ბექაურის კორუფციული მაქინაციები, ასევე მასთან დაახლოებული სხვა დეპუტატების. ამიტომ, ამის შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი, იმის შესახებ, რომ ამ კომისიის წარმომადგენლების უმეტესობა არ უნდა იყოს ოპოზიციიდან. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, მაშინ როდესაც საუბარი იყო ჩემს კანდიდატურაზე, როგორც ამ კომისიის თავმჯდომარის, ბუნებრივია, მათ შეეშინდათ და მიხვდნენ, რომ მე სინამდვილეში გამოვიძიებდი ამ საქმეს.

**ლაშა ბუღაძე:** სტუდია რეპორტიორის მიერ გადაღებული ფილმის მიმართ ორგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. მე მაინტერესებს, პირადად თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ტერმინალ "ოპიზასთან" დაკავშირებით?

**კობა დავითაშვილი:** ჩემთვისაც, ფილმიდან გამომდინარე ნათელია, რომ ბექაურის მიმართ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ ბრალი დავდოთ თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში. არსებობდა საზოგადოებაში ასეთი აზრი, რომ ხელისუფლება ბექაურს გაწირავდა და გამოიყენებდა მას მორიგი PRაქციისათვის. მაგრამ მე თავიდანვე მეპარებოდა ამაში ეჭვი, ვინაიდან ბექაური არ არის მარტო, და მის უკან დგანან სხვა პარლამენტის წევრები. ამიტომ, ისინი არა თუ ბექაურს, არამედ საკუთარ თავს არ გაწირავდნენ.


*კობა დავითაშვილი*

**ლაშა ბუღაძე:** კონკრეტულად რა ბრალდება შეგვიძლია წავუყენოთ ამ შემთხვევაში კობა ბექაურს?

**კობა დავითაშვილი:** თავდაპირველად წამყვანი ტერმინალი იყო "ლილო 1", სადაც ხდებოდა ტვირთების განბაჟება, ვინაიდან იქ იყო საბაჟო ადმინისტრაცია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტერმინალში იყოს საბაჟო ადმინისტრაცია, რადგან ადგილზე მოხდება ტვირთის განბაჟება და არ დაჭირდება ტვირთის პატრონს სხვაგან წასვლა. ესე იგი, რა მოხდა. ტერმინალი "ოპიზა" მანამდეც არსებობდა, ის კახა თარგამაძის საკუთრებაში იყო, შემდეგ როგორც ხდება ხოლმე, ახალი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა ძველი ხელისფულების ნაშთი გადაინაწილეს. მოხდა წილების გადანაწილება. ამის შემდეგ დაიწყო, "ლილო 1"-ის, სახელმწიფო ტერმინალის ხელოვნურად გაკოტრების პროცესი. ანუ "ლილო 1"-დან სახელმწიფო ტერმინალიდან, საბაჟო ადმინისტრაციამ გადაინაცვლა ტერმინალ "ოპიზაში", ანუ კერძო ტერმინალში. ბოლოს, ხელოვნური გაკოტრების პირობებში "ოპიზას" მფლობელებმა შეისყიდეს "ლილო 1"-იც.

**ლაშა ბუღაძე.** ახლა მხოლოდ ბექაურზე რომ არ ვისაუბროთ. შემდეგი კითხვა ასეთია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბექაურისნაირი კორუმპირებულების შესაებ ხელისუფლებამაც იცის, მაგრამ მისთვის ის პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან მას აღიქვამს, როგორც საკუთარ კორუმპირებულს, მის თანამებრძოლს - შესაძლებელია. პარლამენტის სრულ შემადგენლობას საზოგადოება არ იცნობს, გარდა რამდენიმე გვარისა. როგორ არის მდგომარეობა, ძირითადი ნაწილი რა მიზნებით არის მისული პარლამენტში?

**კობა დავითაშვილი.** მიზნები სხვადასხვაგვარია. ზოგს მაღალი ხელფასი ხიბლავს, ზოგს ძალაუფლება, ზოგს გამდიდრების პერსპექტივა, ზოგი კი გულწრფელად ქვეყნის მომავალზე ფიქრობს. მაგრამ ასეთები ერთეულები არიან. ძალაუფლების თუ გამდიდრების პერსპექტივით მისული ძალა, ორად იყოფა. მაგალითად, კობა ბექაური მიეკუთვნება მაჭავარიანის ჯგუფს, მაჭავარიანის დაპირისპირებულ ჯგუფს ხელმძღვანელობს გიგა ბოკერია. მაგრამ, მაშინ როდესაც ბექაურის და ასევე მაჭავარიანის მომავალი სასწორზე იდგა, მათ ბოკერიას ჯგუფს შესთავაზეს შალვა რამიშვილის თავი და ამით, დროებით მაინც გააჩერეს დარტყმები მაჭავარიანის ფრთაზე.

**ლაშა ბუღაძე:** სურათი, რომელსაც თქვენ ხატავთ, ნამდვილად "კოშმარულია". როგორც გავიგეთ, უმრავლესობა ამ პროცესს, რასაც ამ საქმესთან დაკავშირებით საგამომძიებლო კომისიის შექმნა ჰქვია, დროში წელავს და ფეხს ითრევს. და შესაძლებელია, ეს კომისია ახალ წლამდე არც კი შეიქმნას, ამ ხნის განმავლობაში კი შესაძლებელია იმდენი რამე და იქნება უარესიც მოხდეს, რომ ბექაურის საქმე ყველას მიავიწყდეს. და უკვე გამოჩნდა კიდეც, მაგალითად, ამ დღეებში თქვენ საუბრობდით გივი თარგამაძის ბიზნესინტერესებთან დაკავშირებითაც, რომელიც იპოდრომთან მიმართებაში გაისმოდა. იქნებ ამ შემთხვევაშიც გვითხრათ, რაშია საქმე?

**კობა დავითაშვილი:** საზოგადოებისათვის გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იპოდრომის ტერიტორიაზე დაგეგმილია სპორტული, კულტურული და დასვენების ცენტრის ლიკვიდაცია, მწვანე ნარგავების გაჩეხვა და იქ საცხოვრებელი კორპუსების აგება. რაც, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ არის კანონის დარღვევა, ვინაიდან პარლამენტის დადგენილებით, ტყე-პარკების ტერიტორიაზე კრძალავს მშენებლობებს. და სხვადასხვა ტყე-პარკების შენარჩუნებისთვის თავად მიხეილ სააკაშვილი იბრძოდა ხმალამოღებული, ეს იყო წყნეთში, დიღომში და სხვადასხვა გამწვანებულ ადგილებში. მაგრამ დღეს ეს ბრძოლა იქამდე მივიდა, რომ დღეს იპოდრომსაც ანადგურებენ. უნდა თავიდანვე მოგახსენოთ, რომ ახლა მე რაზეც ვისაუბრებ ამის იურიდიული მტკიცებულება არ გამაჩნია, და ვიტყვი, რომ ეს არის ინფორმაცია, რომელიც ხალხმა მოგვაწოდა. საქმე ის გახლავთ, რომ იპოდრომზე არსებობდა და დღესაც არსებობს ტყეშელაშვილების ოჯახის ინტერესი (ბატონი მერაბი და მელორი), როგორც "ოპიზის" შემთხვევაში, აქაც მოხდა წილების გადანაწილება და როგორც საბურთალოს რაიონის დეპუტატს, ეს ტერიტორია გივი თარგამაძეს ერგო წილად. არაპირდაპირი მტკიცებულება ამის ის გახლავთ, რომ თარგამაძე ამ საქმესთან დაკავშირებით თავს იკავებს რაიმე პოზიციის დაფიქსირებისაგან, თუმცა სხვა შემთხვევაში ასე არ იქნებოდა, ვინაიდან ის ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია. მას კი მინიმალური ინტერესიც კი არ გამოუჩენია ამ პრობლემის მიმართ. ეს ნამდვილად აღმაშფოთებელი საკითხია - არ შეიძლება ქალაქი იყოს მხოლოდ კორპუსები და არავითარი გამწვანება. ტყე-პარკები ისეთივე აუცილებელია ქალაქისათვის, როგორც საცხოვრებელი სახლი. და რაც მთავარია, ეს არის უკანონობა. დოკუმენტების მიხედვით, ჩვენ ჯერ ვერ შევძელით რეალურად დაგვედგინა, ვინ დგას ამ უმეცარი წამოწყების უკან. მაგრამ ვინც არ უნდა იდგეს, ეს საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან ეს საკრებულოს დასადგენი საქმეა, და მათ ტყე-პარკს უნდა შეუცვალონ სტატუსი იმისათვის, რომ ამ ახალი მშენებლობის უფლება მოიპოვონ. მაგრამ ჩვენ ამისათვის ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვინაიდან ბავშვებს და არა მხოლოდ მათ, - ქალაქში მცხოვრებლებს სჭირდებათ ჰაერი, ჟანგბადი.


*ლაშა ბუღაძე*

**ლაშა ბუღაძე**: სამწუხაროა, მაგრამ რევოლუციის შემდეგ თუკი ჩვენ არ გვქონდა იმის ილუზია, რომ ქვეყანა რამდენიმე თვეში სრულყოფილი გახდებოდა, იმის მაინც გვჯეროდა, რომ ამგვარ კორუფციულ და კანონდამრღვევ მოვლენებთან აღარ გვექნებოდა საქმე, როგორიც, მაგალითად, იპოდრომის საკითხია.

**კობა დავითაშვილი.** სამწუხაროდ, ასეა. რევოლუციის შემდეგ კორუფციული წყობილება არ დამარცხებულა ქვეყანაში, ამ გაგებით რევოლუცია არ მომხდარა. თუკი რევოლუცია გულისხმობს წყობილების შეცვლას, ის არ შეცვლილა. თუმცა შემცირდა კორუფციის შემთხვევები, როგორც სიხშირე, მაგრამ გაიზარდა ე.წ. "სტავკები" და მაღალჩინოსნების მადა. და არსებობს ხელშეუხებელთა კასტა, რომელთაც, რაც არ უნდა დააშავონ, პასუხს არავინ მოსთხოვს, მაგალითად, კეზერაშვილი, კირკიტაძე, თარგამაძე, მერაბიშვილი და ა.შ. ყოველ მათგანზე ძალიან საფუძვლიანი ეჭვები არსებობს იმისა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი კორუფციის მორევში ტრიალებენ.

**ლაშა ბუღაძე:** გადაცემის ბოლოს მინდა ჩვენს მსმენელს დავემშვიდობო იმ იმედით, რომ ისევე როგორც ტერმინალ "ოპიზას" საქმე, ასევე სხვა მსგავსი კორუფციული გარიგებები, სწორედ ჩვენი საზოგადოების მოთხოვნით გამოძიებული და გამოაშკარავებული იქნება უახლოეს მომავალში. მე ხვალამდე გემშვიდობებით და შეგახსენებთ, რომ ხვალ 8 საათზე ჩვენ ისევ რადიო უცნობის ეთერში ვიქნებით.


## მერი პოპინსი
1997 წლიდან

- ძიძები
- აღმზრდელები
- დამლაგებლები
- მზარეულები
- მოხუცებისა და ავადმყოფების მომვლელები

ვებ გვერდი: www.marypoppins.ge
ტელ: 44 34 60, 877 44 34 50



უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ საქართველოს შესახებ!
ლაკონიური, შუქჩრდილიანი და მართალი პასუხები ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის **ლელა ბერიძის** ფილმში
**"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"**
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის" მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!






**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მიღებას მოსამზადებლად:სწავლის სრული კურსის ღირებულებაა 1000 ლარი.**

**მისამართი:ილია ჭავჭავაძის გამზ.32. ტელ.22 -34-26**



## ყურადღება!
რესტორანი
## "დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207



## ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემის "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა





გადაცემა
## სუსტი რგოლი
მოთამაშის ანკეტა